მწვანე
ალტერნატივა

საქართველოს სატყეო სექტორის მონიტორინგი 2007–2008

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

მწვანე ალტერნატივა

საქართველოს სატყეო სექტორის მონიტორინგი 2007–2008

თბილისი 2008

პუბლიკაცია მომზადდა ასოციაცია **მწვანე ალტერნატივას** მიერ პროექტის "ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის პროცესისა და ადგილობრივი ტყეების მართვის მონიტორინგის საკითხებში" ფარგლებში

ტექსტი: ი. მაჭარაშვილი

წიგნი გამოიცა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით (გრანტი N.:CO8-0029) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრების მეშვეობით. მასში გამოხატული თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

საქართველოს სატყეო სექტორის მონიტორინგი 2007-2008

შესავალი

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა დაარსების დღიდან (2000 წ.) აქტიურად აწარმოებს საქართველოს სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს. ამ საქმიანობის მთავარი მიზანია ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და მდგრადი მართვის ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად მწვანე ალტერნატივა ცდილობს ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებას სატყეო სექტორში კორუფციისა და არალეგალური ქმედებების აღმოსაფხვრელად; ორგანიზაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობას; მწვანე ალტერნატივა ახორციელებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესების ეკოლოგიური, სოციალური და ეკომიკური შედეგების შესახებ საზოგადოების სრულყოფილად ინფორმირება, ასევე არსებული კანონმდელობისა და გატარებული რეფორმების ეფექტურობის შეფასება, რეკომენდაციების მომზადება და ლობირება.

2006 წელს გამოიცა მწვანე ალტერნატივას პირველი ანგარიში რომელშიც აღწერილი იყო 2005–2006 წლებში სატყეო სექტორის მონიტორინგის შედეგები. მასში ასახული იყო კანონდარღვევათა ტიპიური შემთხვევები. აღწერილი იყო ის გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ სატყეო სექტორში კორუფციას და სხვა უკანონო ქმედებებს. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მიიღებდნენ ზომებს ანგარიშში წარმოდგენილი კანონდარღვევების აღსაკვეთად და საკანონმდებლო ხვრელების აღმოსაფხვრელად. მართლაც, ცალკეული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა. თუმცა, მომდევნო წლებში საქართველოს სატყეო სექტორში განვითარდა ერთობ წინააღმდეგობრივი პროცესები. სიმართლისგან ძალზე შორს ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ამ პროცესების შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა ტყის მართვის უკეთესი სისტემა, აღმოიფხვრა კორუფცია ან არსებობს ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების რაიმე ტენდენცია. წინამდებარე პუბლიკაციაში ასახულია სწორედ ამ წლებში (2007-08) საქართველოს სატყო სექტორში მიმდინარე პროცესები და გაანალიზებულია მათი შედეგები[1].

ანგარიშის I თავში ქრონოლოგიურად, არის დალაგებული საქართველოს სატყეო სექტორთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები. მომდევნო თავებში გაანალიზებულია ზოგიერთი ეს მოვლენა, ნაჩვენებია მათ შორის კავშირები. პუბლიკაციის შინაარსის აღსაქმელად უფრო მარტივი იქნება, თუ II-VIII თავებებში განხილული საკითხების გაცნობისას მკითხველი თვალს მიადევნებს პირველ თავშსაც.

II თავში მოთხრობილია საქართველოს სატყეო სექტორის „რეფორმირებისა“ და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური/სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესის შესახებ, რომელიც სათავეს იღებს 2004 წლიდან. ამ თავთან ერთად, I თავში თარიღების მიხედვით დალაგებული მოვლენები ნათლად წარმოაჩენს, თუ რამდენად "თანამიმდევრული" იყო მთავრობა. ამ ე.წ. „რეფორმის“ დღევანდელი შედეგების გათვალისწინებით, ძალზე საინტერესო იქნება მკითხველისთვის 2007 წლის განმავლობაში მთავრობის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებების შინაარსის გახსენება I თავის მეშვეობით.

III თავში მოკლედ არის აღწერილი 2007-08 წლებში საქართველოს მთავრობის სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის წარულეტებელი მცდელობა, მოცემულია ამ წარუმატებლობის მიზეზები და შედეგები.

IV თავში განხილულია ის მიზეზები, რომელთა გამო შეიზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ტყის რესურსებზე. აღწერილია, თუ რამდენად მოუხერხებელია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის საშეშე და სამასალე მერქნის ლეგალურად მოპოვების პრეცედურები.

V თავში მოცემულია 2005 წელს მთავრობის მიერ „წითელი ნუსხის“ სახეობის - წაბლის მოპოვებაზე უკანონოდ გაცემული ნებართვის ისტორიის გაგრძელება.

VI თავში განხილულია კანონის ის დარღვევები, რომელიც ახლდა ერთწლიანი ლიცენზიების გაცემას, ამ დარღვევების საფუძველზე კორუფციისა და უკანონო ჭრების შესაძლებლობები და როგორ მოხდა ამ შესაძლებლობების რეალიზაცია.

VII თავში აღწერილია ტყითსარგებლობის გრელვადიანი ლიცენზიების გაცემისას დაფიქსირებული კანონმდებლობის უხეში დარღვევები. პირველ, ასევე მეორე თავში აღწერილ საკითხებთან ერთად, მკითხველისთვის ნათელი გახდება, თუ რა შედეგები მოიტანა ე.წ. „რეფორმამ“ ქვეყნისათვის, ტყის ეკოსისტემებისათვის და საკუთრივ „რეფორმატორებისათვის“.

VIII თავში დასკვნის სახით არის შეჯამებული 2008 წლის ბოლოსათვის საქართველოს სატყეო სექტორში არსებული ვითარება. მოცემულია რეკომენდაციები ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად.

IX თავში მოკლედ არის აღწერილი სატყეო სექტორის დამოუკიდებელმა მონიტორინგისა და მწვანე ალტერნატივას ლობირების შედეგები.

---

[1] ანგარიშში მოყვანილი ყველა ფაქტი ეყრდნობა საჯარო დაწესებულებების მიერ მოწოდებულ და/ან ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებულ და გადამოწმებულ ინფორმაციას.

I. სატყეო სექტორთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენები 2007-08 წლებში

- **05.01.07** გაუქმდა ახალციხის რაიონში 20 წლის ვადით ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის მოსაპოვებლად გამოცხადებული აუქციონი, აუქციონში მონაწილეობის მსურველთა არარსებობის გამო.

- **12.01.07** საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი დავით ტყეშელაშვილი მთავრობის უახლოეს სხდომაზე წარადგენდა სატყეო სექტორის რეფორმის პროექტს.

- **26.01.07** გაზეთ "24 საათში" სატყეო დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ **ზვიად ჭეიშვილმა** გააკეთა განცხადება დაგეგმილი სატყეო რეფორმის შესახებ. **"რეფორმა სამეურნეო ტყეების მაქსიმალური ოდენობით გაცემას გულისხმობს. ამ ტყეების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი 2007 წელს უკვე კერძო მართვაში იქნება. ეს საქართველოს მთავრობის ნება და მიმართულებაა.** ამას ადმინისტრაციული რესურსის გაძლიერება, ოპტიმიზაცია, სათანადო ბაზის შექმნა და რეალური განხორციელება სჭირდება". გაზეთის ცნობით, საქართველოს მთავრობაში ტყეების 30 პროცენტს ეკონომიკურ ტყეებად მოიაზრებენ და მომდევნო წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ გარანტად თვლიან. გაზეთის ამავე ნომერში თავისი გეგმები გაამჟღავნა სააქციო საზოგადოებამ "საქართველოს ხის გადამამუშავებელი კორპორაცია". ეს ორგანიზაცია ჩინური "სილძეანის ტურისტული კომპანიის" მიერ არის დაარსებული. ის ფლობს ხე-ტყის გადამამუშავებელი მსხვილ კომბინატს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში, რომელიც აშენდა ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს ბაზაზე. სს-ის დირექტორის მოადგილემ ლევან ანთიამ განაცხადა: "წელს 2500 კუბური მეტრი წიფელი დამზადდა. სხვადასხვა ზომაზე დახერხილი მასალა ჩინეთსა და სომხეთში მიდის. მომავალი წლიდან კომპანია უცხოეთიდან ხე-ტყის გადამამუშავებელი თანამედროვე დანადგარების ჩამოტანას გეგმავს, რის შემდეგაც ეს ციფრი 30000-მდე გაიზრდება. სამასალე ხე-ტყე ზემო სვანეთსა და სამეგრელოში იჭრება. ჩვენი კომპანიონები ანალოგიური კომბინატების გახსნას კახეთში, გურიასა და აჭარაში გეგმავენ" (წყარო: გაზეთი „24 საათი“).

- **30.01.07** არასამთავრობო ორგანიზაციებმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, დავით ტყეშელაშვილს მიმართეს ღია წერილით, რომელშიც დააფიქსირეს პოზიცია სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში. ორგანიზაციებმა პროტესტი გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ მინისტრმა არ გაიზიარა საზოგადოების მოთხოვნა მოეწყო საჯარო განხილვა სატყეო სექტორში დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ორგანიზაციებმა წუხილი გამოთქვეს, რომ ამჟამინდელი მინისტრი, თავისი დანიშვნის დღეს საჯაროდ გაკეთებული დაპირების მიუხედავად, აგრძელებდა მისი წინამორბედის მიერ დამკვიდრებულ საზოგადოებისგან გაუცხოების პრაქტიკას, ზღუდავდა გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოების აზრის მოსმენისა და გათვალისწინების გარეშე წარუდგენდა ტყეებთან დაკავშირებულ სტრატეგიულ დოკუმენტს მთავრობას დასამტკიცებლად. ორგანიზაციები მოითხოვდნენ მინისტრისგან საკითხის მთავრობის სხდომაზე გატანამდე მოეწყო ღია შეხვედრა. ორგანიზაციები შეახსენებდნენ მთავრობის წევრებს, რომ გადაწყვეტილებების მიღება მოკლევადიანი სარგებლისათვის, შედეგების სრულად გააზრების გარეშე, ისეთ სფეროში, როგორიცაა სატყეო სექტორი, მოკლე ხანში ბუმერანგივით დაუბრუნდება საქართველოს მოსახლეობას უდიდესი ეკოლოგიური ზიანისა და გაზრდილი დანახარჯების სახით; ასევე მოუწოდეს მინისტრ დ. ტყეშელაშვილს გაეცნობიერებინა საკუთარი პასუხისმგებლობა საქართველოს ახლანდელი და მომავალი თაობებისადმი.

- **30.01.07** გამოიცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №76, რომლითაც დამტკიცდა სატყეო დეპარტამენტის ახალი დებულება.

- **06.02.07** მწვანე ალტერნატივამ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელმა (CEE Bankwatch Network) წერილით მიმართეს მსოფლიო ბანკს, რომელშიც გამოხატეს შეშფოთება მსოფლიო ბანკის „სატყეო სექტორის განვითარების პროექტის“ მიმდინარეობის გამო და მოითხოვეს მისი შეჩერება. წერილში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს მთავრობა არღვევდა აღებულ ვალდებულებებს ამ პროექტთან დაკავშირებით, უგულებელყოფდა როგორც პროექტის ამოცანებს, ისე მდგრადი მეტყევეობის პრინციპებს, გადაწყვეტილებები კი მიიღებოდა ერთპიროვნულად, დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციების გარეშე. მიმდინარე და დაგეგმილ ქმედებებთან დაკავშირებით არ იყო ინფორმირებული არათუ ფართო საზოგადოება, არამედ პარლამენტის წევრები და დონორი ორგანზაციებიც კი. წერილში აღნიშნული იყო, რომ მთავრობის ე.წ. „რეფორმა“ ნაჩქარევი და გაუთვლელი იყო, ამიტომ გამოიწვევდა ტყეების დეგრადაციას და უკანონო ჭრების მოცულობის მომატებას, რასაც მოჰვებოდა ნიადაგის ეროზია, მეწყერები და სიღარიბის დონის ზრდა ტყის რესურსებზე დამოკიდებულ თემებში. წერილის ასლი გაეგზავნა გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების მინისტრს დ. ტყეშელაშვილს. მსოფლიო ბანკმა საკუთარი პროცედურების მიხედვით დაიწყო წერილიში დასმული საკითხების განხილვა.

- **16.02.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა **დ. ტყეშელაშვილმა** 2007 წელი **"სატყეო რეფორმის წლად"** გამოაცხადა. „ბოლო 15 წლის განმავლობაში ამ მიმართებით არანაირი ცვლილებები არ განხორციელბულა. არალეგალურ ჭრებსა და კორუფციას ბოლო უნდა მოეღოს. **რეფორმა მენეჯმენტის ახალი სისტემების დანერგვას, ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ტყის მასივის დიდი მოცულობით გადაცემას ითვალისწინებს, რაც სოფლად გლეხებს სოციალურ პრობლემებს მოუხსნის**. რეფორმა კერძო ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს, რაშიც მრავალწლიანი ლიცენზიების გაცემა იგულისხმება“ (წყარო: სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი", www.ghn.ge).

- **19.02.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განსახილველად გამოაქვეყნა „სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის“ დოკუმენტი.

- **22.02.07** პრეზიდენტის № 130 ბრძანებულებით შეიქმნა სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა.

- **23.02.07** საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოაქვეყნა „საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვარიანტი“ კომენტარებისთვის.

- **24.02.07** შედგა არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ზვიად ჭეიშვილთან. მან ისაუბრა სატყეო სექტორის რეფორმაზე და მოაწყო სატყეო დეპარტამენტის ინსტიტუციური რეფორმის პრეზენტაცია.

- **28.02.07** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა სამინისტროში გაგზავნილი შენიშვნები და კომენტარები „საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის“ პროექტზე.

- **02.03.07** გამოიცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №178 ბრძანება სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების ტიპიური დებულების დამტკიცების თაობაზე.

- **02.03.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №179 ბრძანებით დამტკიცდა სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებში კონკურსისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

- **03.03.07** გამოქვეყნდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება “საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგიის” საჯარო განხილვების შესახებ საქართველოს რეგიონებში. ორჰუსის ცენტრის (ეუთოს პროექტი) დახმარებით დოკუმენტის 300 ეგზემპლარი შენიშვნებისათვის გავრცელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. განხილვები ჩატარდა 5-დან 9 მარტამდე შემდეგ ქალაქებში: ამბროლაურში, ქუთაისში, ოზურგეთში, ლენტეხში, გარდაბანში, თეთრწყაროში, გორში, ხაშურში, მცხეთაში, ზუგდიდში; შეხვედრებზე გამოითქვა გარკვეული შენიშვნები[2].

- **06.03.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურების სამინისტრომ შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე სატყეო სექტორში რეფორმასთან დაკავშირებული გეგმა წარადგინა. **მინისტრის მოადგილემ, სოფიკო ახობაძემ** განაცხადა, რომ **მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში იგეგმება ტყეების ინვენტარიზაცია და კატეგორიებად დაყოფა. კერძოდ, ტყეები სამ კატეგრიად: ზოგადი სარგებლობის, დაცულ და დაცვით ტყეებად დაიყოფა. გამოიყოფა სათემო ტყეები, სადაც სარგებლობის უფლება მოსახლეობას მიეცემა. სამინისტრო ფიქრობს ზოგადი სარგებლობის ტყეების 50-წლიანი იჯარით გაცემას.** მომავალში იჯარა კერძო საკუთრებად გარდაქმნება, ვინაიდან ამ ეტაპზე საზოგადოებრივი აზრი არ არის მომწიფებული ტყეების პრივატიზებისათვის. მინისტრის მოადგილის თქმით, 2009 წლიდან 10%-მდე ტყეების პრივატიზება იგეგმება (წყარო: www.parliament.ge).

- **12.03.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა სატყეო სექტორის ახლებური მართვის პრეზენტაცია გამართა. დავით ტყეშელაშვილმა რეგიონული სატყეო სამმართველოების ახალი უფროსებიც წარადგინა და მათთან ერთად მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე განაშენიანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. ტყეშელაშვილის განცხადებით, განახლებული სატყეო სამსახური შეეცდება, მოსახლეობის სოციალური მოთხოვნები უზრუნველყოს და კორუფცია აღმოფხვრას (წყარო: გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა").

[2] შენიშვნა: არც ეს დოკუმენტი და არც რაიონებში გამოთქმული შენიშვნები მომავალში არ ყოფილა გამოყენებული

- **12.03.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №209 ბრძანებით დამტკიცდა სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის დებულება.

- **13.03.07** სატყეო დეპარტამენტმა განსახილველად გაავრცელა ახლად შემუშავებული სტატისტიკური ფორმა. სტატისტიკური ფორმა განსაზღვრულია სატყეო უბნის, კვარტლის, ლიტერის მცირე ტყეთმოწყობისა და ტყის ინვენტარიზაციის მონაცემების მოსაპოვებლად[3].

- **24.03.07** მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ გაკეთა განცხადება, რომ საქართველოს 14 რაიონის ტყის მასივები 49 წლიანი იჯარით ჩინელებს გადაეცემათ. „ამ პროცესებს ხელი შეუწყო სატყეო დეპატრამენტის ახალმა უფროსმა ზვიად ჭეიშვილმა, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე ბენდუქიძის მითითებით დაინიშნა.“ (წყარო: სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენი", www.ghn.ge; გაზეთი „რეზონანსი“, № 75).

- **01.04.07** მწვანე ალტენატივამ შეისწავლა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2006 წელს გაცემული ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემის პრაქტიკა. ხუთასამდე შესწავლილი ლიცენზიიდან სალიცენზიო პირობები გაწერილი იყო მხოლოდ ორში; უმეტესობაში არასწორად იყო მითითებული მოსაპოვებელი რესურსის სახეობა; შესაბამისად დარღვეული იყო კანონმდებლობა, რაზეც მწვანე ალტერნატივამ განაცხადა, რომ ასეთი სახით ლიცენზიების შევსება ხელს შეუწყობდა უკანონოდ მოჭრილი მერქის რეალიზაციას, ანუ კრიმინალის დაფარვას. შედეგად 4-5-ჯერ მეტი ხე-ტყე მოიჭრებოდა, ვიდრე ლიცენზიებში იყო მითითებული. ასევე გამოირკვა, რომ სამინისტროს ლიცენზიები ჰქონდა გაცემული ატენის ხეობის ტყეებში, რომელიც ეკუთვნოდა არა სამინისტროს სატყეო დეპარტამენტს, არამედ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტს. აღნიშნული კვლევის შედეგები წერილობით ეცნობა სამინისტროს, ასევე დაიბეჭდა გაზეთ „რეზონანსში“ („რეზონანსი“ №83, „გაცემული ლიცენზიები ხე-ტყის უკანონოდ ჭრას უწყობს ხელს“).

- **--.04.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჩანტლაძე და სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზვიად ჭეიშვილი ბონში შეხვდნენ საერთაშორისო სატყეო სამეურვეო საბჭოს დირექტორს ჰეიკო ლედეკერს და ტყითსარგებლობის აუქციონის პირობები გააცნეს.

- **02.04.07** გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა განცხადება საქართველოს 3 რეგიონში: სამეგრელო-ზემო სვანეთში (წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხუდონი), სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე) და კახეთში (ყვარელი) 20 წლის ვადით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების მოსაპოვებლად აუქციონის ჩატარების თაობაზე.

- **02.04.07** ატენის ხეობაში სანადირო თოფით მოკლეს ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ადგილობრივი სატყეო მეურნეობის უფროსი ბონდო ბალაშვილი. დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პირი. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, მაგრამ გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი ამას არ დაეთანხმა და მთელ რიგ დამამძიმებელ გარემოებებს ასახელებდა (წყარო: გაზეთი "რეზონანსი", 03.04.07, №85; მედიანიუსი).

- **03.04.07** სატყეო დეპარტამენტის უფროსმა **ზვიად ჭეიშვილმა** მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს დავით ტყეშელაშვილს წინადადებით, მსოფლიო ბანკის „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროექტით“ **შეწყვეტილიყო ტყეების ინვენტარიზაციისა და აღდგენა–გაშენების სამუშაოები,** ხოლო ამ ქმედებებისთვის გამოყოფილი თანხა "სხვა პრიორიტეტებზე" დახარჯულიყო, ვინაიდან გადაწყვეტილი იყო, რომ ინვენტარიზაციას მომავალი ლიცენზიანტები ჩაატარებდნენ (წერილი N 17/01–13/490, 03.04.07).

- **05.04.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა **დავით ტყეშელაშვილმა** წერილობით მიმართა მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორს დონა დოვსეტ-კოიროლოს „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროექტთან“ დაკავშირებით. სამინისტრომ მოითხოვა მიმდინარე პროექტის რადიკალურად შეცვლა. კერძოდ, **სამინისტროს აზრით, აღარ უნდა ჩატარებულიყო პროექტით განსაზღვრული ტყეების ინვენტარიზაცია,** ვინაიდან მომავალშ ეს დაევალებოდა გაცემული ლიცენზიების მფლობელებს. ასევე, არ უნდა გაგრძელებულიყო პროექტით მიმდინარე ტყის აღდგენა–გაშენების სამუშაოები. სამინისტრო ითხოვდა მსოფლიო ბანკისგან, რომ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი თანხა მიემართა დეპარტამენტის ოფისის კეთილმოწყობაზე, რეგიონული ოფისების რემონტზე, თანამშრობლების აღჭურვაზე და ჩაცმულობაზე, სატყეოს უბნის უფროსებისთვის

[3] ეს სტატისტიკური ფორმა ითვლებოდა "სატყეო რეფორმის" მნიშვნელოვან რგოლად, თუმცა მისი დახვეწა და დამტკიცება ვერ მოხერხდა

კოტეჯების აშენებაზე, კომპიუტერების, ავეჯისა და ავტომანქანების შეძენაზე და სხვ. (წერილის ასლი იხ. ვებ–გვერდზე www.forestgeo.net).

- **19.04.07** მსოფლიო ბანკის "სატყეო სექტორის განვითარების პროექტმა" გამოაცხადა ტენდერი სატყეო სექტორის მარეგულირებელი ბაზის გაუმჯობესებისათვის ეროვნული სამუშაო ჯგუფის შექმნაზე. ტექნიკური დავალების მიხედვით, სამუშაო ჯგუფს უნდა შეემუშავებინა ახალი ტყის კოდექსისა და მისი დებულებების პროექტები; გრძელვადიანი ტყითსარგებლობის იჯარით გაცემის სისტემის მარეგულირებელი დებულებების პროექტი; ადგილობრივი ტყის სისტემის მარეგულირებელი დებულებების პროექტი.

- **19.04.07** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა პრეს-რელიზი: „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დედამიწის დღეს, 22 აპრილს, უნიკალური ტყის ეკოსისტემების გაჩეხვის გადაწყვეტილებით ეგებება“. მასში ნათქვამი იყო, რომ სამინისტრომ ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების მოპოვების თაობაზე აუქციონის გამოცხადებით, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით უნიკალურ ტყის მასივებს განაჩენი გამოუტანა.

- **20.04.07** მწვანე ალტერნატივამ, ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივვადიანი სპეციალური ლიცენზიების მოსაპოვებლად გამოცხადებულ აუქციონთან დაკავშირებით წერილით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს დ. ტყეშელაშვილს. წერილში აღნიშნული იყო, რომ აუქციონზე გამოტანილი ტყეები ძალზე მნიშვნელოვანი იყო ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, განსაკუთრებით სამეგრელოს მთიანეთის ტყეები (ხელუხლებელი ეკოსისტემები, რომელშიც სამეურნეო ჭრები არ ჩატარებულა კაცობრიობის ისტორიაში); ამ ტყეების ხე-ტყის დასამზადებლად გამოყენება ეწინააღმდეგებოდა ტყის მართვის მდგრად პრინციპებსა და ეკოსისტემურ მიდგომას; აუქციონის ამ ფორმით გამოცხადებით ირღვეოდა საქართველოს კანონმდებლობა; სალიცენზიო პირობები ვერ უზრუნველყოფდნენ ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვას, ისინი არც ეკოსისტემისთვის იყო სახარბიელო და არც საღად მოაზროვნე ინვესტორისათვის. ინვესტორი ვერ შეასრულებდა სალიცენზიო პირობებს, შედეგად, ერთი წლის შემდეგ მას ან ჩამოერთმეოდა ლიცენზია, ან სამინისტრო თვალს დახუჭავდა პირობის შეუსრულებლობაზე. ასოციაციამ შეახსენა მინისტრს, რომ ყოფილი პრემიერ–მინისტრის ზურაბ ჟვანიას ინიციატივა იყო სამეგრელოს მთიანეთის კირქვულ მასივზე შექმნილიყო ვრცელი დაცული ტერიტორია (ამ რეგიონშია კურორტები ლებარდე და ლუგელა). წინასწარი სამუშაოები დაიგეგმა კიდეც 2004 წლის შემოდგომაზე. სამწუხაროდ, ზურაბ ჟვანიას სიცოცხლეში ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოესწრო. მწვანე ალტერნატივა მიუთითებდა, რომ 2006 წლის აგვისტოში გაიცა ხე-ტყის დამზადების 20 წლიანი ლიცენზია იმავე რეგიონში, კერძოდ კურზუსა და ტალერის სატყეოებში (მარტვილი); წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში უკვე მოქმედებდა მძლავრი ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც ჩინურ კომპანიას ეკუთვნოდა. მწვანე ალტერნატივამ განაცხადა, რომ თუ აუქციონი შედგებოდა, მოსაჭრელად გაიწირებოდა უნიკალური ტყის ეკოსისტემები და ზურაბ ჟვანიას ეს კეთილშობილური იდეაც საბოლოოდ დასამარდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მწვანე ალტერნატივამ სთხოვა მინისტრს, რომ გაეუქმებინა აუქციონი, ასევე, თავი შეეკავებინა მსგავსი მასშტაბის გადაწყვეტილებისაგან იმ დრომდე, სანამ არ დასრულდებოდა ტყეების ინვენტარიზაციის პროცესი და ქვეყანას არ ექნებობოდა ტყეების მდგრადი მართვის ნათლად განსაზღვრული პოლიტიკა და სტრატეგია[4].

- **25.04.07** სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზ. ჭეიშვილმა განაცხადა, რომ სამინისტროს არასამთავრო ორგანიზაციებზე და მეცნიერებზე არანაკლებ აღელვებდა საქართველოს ტყეების ბედი: "ლიცენზიების გაცემა არ მოხდება ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე, ეკოლოგიურ მდგრადობას და წონასწორობას არ მიადგება ზიანი, რადგან ეს ჩვენ ინტერესებშიც შედის და ამის კონტროლი ჩვენი სამინისტროს მიერ მუდმივად მოხდება." მან განაცხადა, რომ უკვირს დაგეგმილ აუქციონთან დაკავშირებული საპროტესტო განცხადებები, რადგან, ამ საკითხზე არასამთავრობოებთან შეხვედრა ორჯერ ჰქონდა და მსგავსი განცხადებები არ მოუსმენია. მისი თქმით, ხელუხლებელი ტყეები, რომელზეც არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობენ, ტურისტულ–რეკრეაციულ ზონად გამოცხადდებოდა და განვითარდებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა[5]. სატყეო დეპარატმენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ამ ეტაპზე, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადება 5 კომპანიას ჰქონდა შეტანილი: ერთი ქართულ-ბელგიურ და ერთიც იტალიური ფირმას, დანარჩენი სამის წარმოშობა კი კორესპონდენტთან საუბრისას მან „ვერ გაიხსენა“ (წყარო: გაზეთი „რეზონანსი“, 25.04.07, №105; “გარემოსდამცველები ხე-ტყის დამზადების

[4] სამინისტოს წერილზე პასუხი არ გაუცია, ბუნებრივია, არც აუქციონი გააუქმა

[5] სინამდვილეში, ამ დროს უკვე დანიშნული იყო აუქციონი მარტვილის რაიონში, კურორტ ლებარდედან ერთ კილომეტრში, მდ. ტეხურის სათავესთან ოქროს, კობალტის, ვერცხლის, ტყვიის, თუთიისა და სპილენძის საბადოს გასაყიდად. ლიცენზია 2007 წლის 15 მაისს 40 წლის ვადით შპს „ველმა" შეისყიდა.

ლიცენზიის აუქციონს აპროტესტებენ: სატყეოში აცხადებენ, რომ საქართველოს ბუნების ბედი სხვაზე ნაკლებად არ აღელვებთ”).

- **25.04.07** მწვანე ალტერნატივა პრეს-რელიზით გამოეხმაურა 2007 წლის 25 აპრილის გაზეთ “რეზონანსში” გამოქვეყნებულ სტატიას “გარემოსდამცველები ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის აუქციონს აპროტესტებენ: სატყეოში აცხადებენ, რომ საქართველოს ბუნების ბედი სხვაზე ნაკლებად არ აღელვებთ”. ორგანიზაცია ითხოვდა, გამოხმაურებოდნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ესწრებოდნენ სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან გამართული ორი შეხვედრიდან ერთ-ერთს მაინც, სადაც ითქვა, რომ მოსაჭრელად ამზადებდნენ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის უნიკალურ ტყეებს (რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაცია ვერ მოიძებნა–რედ.).

- **01.05.07** სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზვიად ჭეიშვილმა უკან წაიღო 25 აპრილის გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული სიტყვები დაგეგმილ აუქციონთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირების თაობაზე (იხ. ზევით). ამასთანავე, ერთობ უცნაური ფრაზა წარმოთქვა ოპონენტების მიმართ: „რაც უფრო წინგადადგმული ნაბიჯები შეიმჩნევა ჩვენს სექტორში, მით მეტი წინააღმდეგობა და პროტესტი ჩნდება არასამთავრობოებში. ეს გარკვეული ეჭვის საფუძველს ნამდვილად მაძლევს. დასკვნები თავად გააკეთეთ“ (წყარო: გაზეთი „რეზონანსი“ 01.05.07, №111)[6].

- **01.05.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ხე-ტყის დამზადების სპეციალური, ხანგრძლივვადიანი (20 წ.) ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართა. ახალციხის სატყეო უბანზე ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია 2693760 ლარად ქართულ-ბელგიური კომპანიის “Alfa Wood International” წარმომადგენელმა ემილ რეინირსმა მოიპოვა. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში უბნებზე ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია ქართულ-ჩინურმა კომპანიამ შპს ”Georgia wood and industrial development” მიიღო. ლიცენზიაში კომპანია 2985659 ლარს გადაიხდის. ყვარლის სატყეო უბანზე ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია ქართულ-იტალიურმა კომპანიამ ”საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია“ მოიპოვა, რომელშიც ის 2085677 ლარს გადაიხდის. ტყითსარგებლობისთვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების აუქციონის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში 7765096 ლარი შევა. სატყეო დეპარტამენტის უფროსის ზვიად ჭეიშვილის თქმით, გარემოს დაცვის სამინისტრო ყოველწლიურად გააკონტროლებს ლიცენზიის პირობების შესრულებას, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კი მოხდება კომპანიის დაჯარიმება ან ლიცენზიის ჩამორთმევა. ქართულ-ბელგიური “Alfa Wood International“-ის წარმომადგენელმა სემ ვენეკერმა აღნიშნა, რომ კომპანია შეასრულებს ყველა იმ პირობას, რომელიც დაფიქსირებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. (წყარო:http://www.internet.ge/).

- **01.05.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან გარემოს დამცველებმა აქცია გამართეს, რითაც გააპროტესტეს სამინისტროში მიმდინარე ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების აუქციონი.

- **15.05.07** გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა გარემოს დამცველთა ჯგუფის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისადმი, საქართველოს სატყეო სექტორში შექმნილ საგანგაშო ვითარებასთან დაკავშირებით. წერილს ხელს აწერდა 40-ზე მეტი ორგანიზაცია. მასში ნათქვამი იყო, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება არ ითვალისწინებდა საქართველოს ტყიან ეკოსისტემებში არსებულ საგანგაშო სიტუაციას, რასაც შესაძლოა, არათუ გაეუმჯობესებინა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო დაემძიმებინა არსებული ეკოლოგიური ვითარება; არსებული ტენდენციები აჩვენებნენ, რომ იგნორირებული იყო ტყის მდგრადი მართვის პრინციპები; წერილის ხელმომწერები თხოვდნენ, პრეზიდენტს, უშუალოდ ჩარეულიყო სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებში; კონსტიტუციის შესაბამისად, ხელისუფლების ამოცანად დაესახა საქართველოს ბუნების შენარჩუნება და მისგან ხანგრძლივი, მდგრადი სარგებლის მიღების მექანიზმების შემუშავება. ტყეების აქტიურ სამეურნეო გამოყენებას შესაძლო იყო მოეტანა მოკლევადიანი ფისკალური ეფექტი, მაგრამ მომავალ წლებში გახშირებული ეკოლოგიური კატასტროფები მძიმე ტვირთად დააწვებოდა ქვეყნის მოსახლეობასა და ეკონომიკას.

- **16.05.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დ. ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ **სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი - 700000 ჰექტარი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემოდა.** აღნიშნული ღონისძიება თვითმმართველობის შესახებ კანონის თანახმად განხორციელდებოდა.

[6] სტატიაში კიდევ არაერთი მცდარი ინფორმაცია იყო მოწოდებული. სინამდვილეში განაცხადი შეტანილი ჰქონდა არა 5, არამედ მხოლოდ 3 კომპანიას. ჭეიშვილმა სწორედ მესამე - ქართულ-ჩინური "ვუდ ენდ ინდუსტრია დეველოპმენტი „ვერ გაიხსენა“, 1 წელიწადში კი მის ერთ–ერთი ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა.

მინისტრის თქმით, ეს იქნებოდა, შეშის და სამასალე მექნის მისაღებად განკუთვნილი ტყის ნაწილი, რომელიც რეგიონებში გლეხებისთვის გამოიყოფოდა. ტყეშელაშვილის ინფორმაციით, ტყის გადაცემის პროცედურა უკვე მაის-ივნისში დაიწყებოდა. მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ (წყარო: სააგენტო "ინტერპრესნიუსი").

- **18.05.07** სატყეო დეპარტამენტმა მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველსაყოფად სპეციალური ჭრის ტყეკაფ[7]ების გამოყოფის მიზნით, გამოაცხადა ტენდერი ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისათვის. მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოსაყოფი ტყეკაფების სამუშაო დაყოფილი იყო 9 ლოტად. ტყეკაფების გამოყოფა უნდა დასრულებულიყო 2007 წლის 10 აგვისტომდე. პრეტენდენტებს ტენდერში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოედგინათ 2007 წლის 7 ივნისამდე.
- **23.05.07** საქართველოს მთავრობამ მიიღო N105 დადგენილება "ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე".

- **25.05.07** მწვანე ალტერნატივას ორგანიზებით, თბილისში გაიმართა სამეცნიერო სემინარი „საქართველოს ტყეების მნიშვნელობა, რეალობა და პერსპექტივა". მიღებულ იქნა „დეკლარაცია საქართველოს ტყეების გადარჩენისათვის". დეკლარაციას შეუერთდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები.

- **29.05.07** თბილისში, სასტუმრო "სიმპატიაში" გაიმართა ე.წ. „მაღალი დონის შეხვედრა", რომელიც საქართველოს სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებს ეძღვნებოდა. შეხვედრის ინიციატორმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დონორ ორგანიზაციებს წარუდგინა საკუთარი გეგმები სატყეო სექტორთან მიმართებში და მათი მხარდაჭერა ითხოვა. შეხვედრას ესწრებოდა რამდენიმე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. შეხვედრის პირველ ნაწილში სატყეო სამეურვეო საბჭოსა (FSC) და სატყეო დეპარტამენტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზვიად ჭეიშვილმა და სატყეო სამეურვეო საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა ჰეიკო ლედეკერმა მოაწერეს ხელი. მეორე ნაწილში სამინისტროს პოზიცია წარმოადგინეს მინისტრმა, დავით ტყეშელაშვილმა და სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზვიად ჭეიშვილმა. გარემოს დაცვის **მინისტრის განცხადებით, 2007 წელი საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული იყო "ტყის წლად",** შესაბამისად, მთავრობა ახორციელებდა სატყეო რეფორმას. მინისტრის განცხადებით, რეფორმას უკვე ჰქონდა დადებითი შედეგი, რაც გამოიხატა არალეგალური ჭრების შემცირებაში, ხელფასების ზრდაში და სხვ. სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზ. ჭეიშვილმა წარმოადგენა მისი უწყების ახალი სტრუქტურა. მიღწევად იქნა მიჩნეული, რომ თითოეული მეტყევე (რეინჯერი) გააკონტროლებდა 4 300 ჰა ტყეს 1900 ჰა-ს ნაცვლად, ხოლო თანამშრომელთა შემცირების ხარჯზე მისი ხელფასი იზრდებოდა 400 ლარამდე. აღინიშნა, რომ დეპარტამენტს არ ჰქონდა საწვავისა და კომუნიკაციის პრობლემა, რომ მოხდა დაფინანსებისა და კადრების შერჩევის ცენტრალიზაცია, **შემუშავდა სტატისტიკური ინვენტარიზაციის ფორმები, მზადდებოდა თვითმმართველობის ორგანოებისათვის ადგილობრივი ტყეების გადაცემა და ა.შ. ყველა ლიცენზიატი, ვალდებული იქნებოდა ემოქმედა სატყეო სამეურვეო საბჭოს პრინციპებით, ხოლო ეროვნული სტანდარტების შემუშავება მოხდებოდა სექტემბრის ბოლომდე**. ამავე პერიოდში სამინისტრო ახალ "ტყის კოდექსს" წარუდგენდა პარლამენტს დასამტკიცებლად. **მინისტრის თქმით,** რეფორმებმა ამ სექტორში მნიშვნელოვნად დაიგვიანა და **მთავრობა აბსოლუტურად დარწმუნებული იყო თავისი მოდელის სისწორეში, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები.** ამასთან, დღეს მთავრობას აღებული ჰქონდა პოლიტიკური პასუხიმგებლობა და ამიტომ მან კარგად იცოდა, რისთვის სჭირდებოდა დონორების დაფინანსება. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო გარკვეული ქმედებების განხორციელებას აპირებდა დონორების სახსრებით, არც ერთ დონორს არ გამოუხატავს სურვილი პირდაპირ დახმარებოდა საქართველოს მთავრობას მსგავსი მოდელის განხორციელებაში. დონორებმა (EBRD, IFC, GTZ, FAO) ხაზი გაუსვეს მდგრადი მეტყევეობის როლს სატყეო სექტორის განვითარებაში, ასევე ქვეყნის საზოგადოების ფართო მონაწილეობის აუცილებლობას სატყეო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში. მსოფლიო ბანკის განცხადებით, რომელიც 2003 წლიდან აფინანსებდა "სატყეო სექტორის განვითარების პროექტს", რომ საჭიროა "უკეთ გავერკვეთ იმ მიზეზებში, რომლებიც ტყის მასივების გასხვისებას (იჯარას) უდევს საფუძვლად. აუცილებელია, ზუსტი ეკონომიკური და ფინანსური გათვლები. მსოფლიოში არსებობს ტყის მართვის სხვა სისტემებიც, რომლებიც შესაძლებელია უფრო მისაღები და რელევანტური აღმოჩნდეს საქართველოსათვის. კერძოდ, **მაშინ, როდესაც ტყეებს ძალიან დაბალი ღირებულება აქვთ, გასხვისება შესაძლებელია სრულიადაც არ აღმოჩნდეს მომგებიანი;** შესაძლებელია გარკვეულ მომენტში საჭირო გახდეს, თუნდაც ტყის მნიშვნელოვანი ფართობებისათვის მაინც, მენეჯმენტის სხვა სისტემის გამოყენება (ტყეების კონტრაქტის საფუძველზე მართვა, ზეზემდგომი ხეების გაყიდვა და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ სატყეო ადმინისტრაციას შეეძლოს წარმოშობილ

[7] ტყეკაფი – სატყეო უბანი, სადაც მონიშნულია მოსაჭრელი ხეები. ტყეკაფის გამოყოფის გარეშე აკრძალულია მერქნის მოპოვება

საჭიროებებზე საპასუხო რეაგირება; ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაცია მხოლოდ გასხვისების სისტემის მოთხოვნებს (იჯარა) არ პასუხობდეს." ამასთან ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, "რომ მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. ისინი, ვინც ახდენენ წესებისა და პოლიტიკის განსაზღვრას, არ უნდა მონაწილეობდნენ უშუალოდ გასხვისების (იჯარა) პროცესის მართვაში (შერჩევა, ყოველდღიური ადმინისტრაციული საკითხები, პროცესების მონიტორინგი) და ასევე არ უნდა ერეოდნენ ტყეების კონტროლისა და სხვა პროცესში"; მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის პოზიციის თანახმად, **ტყის საბაზისო ნაციონალური ინვენტარიზაცია წარმოადგენს ტყეების გასხვისების (იჯარა) სახელმწიფო მენეჯმენტისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და დაუშვებელია ინვენტარიზაციის განხორციელება ლიცენზიანტების მიერ.**

- **29.05.07** „მაღალი დონის შეხვედრის" პარალელურად გაიმართა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების საპროტესტო აქცია, რომლის ძირითადი მიზანი იყო საზოგადოებისათვის კიდევ ერთხელ დაენახვებინა ის საფრთხეები, რომლებიც ემუქრებოდა საქართველოს ტყეებს, ეჩვენებინა მიმდინარე "რეფორმების" არაეფექტურობა და არაადეკვატურობა, რომლის შედეგადაც მეცნიერთა და ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში (10-15 წელიწადში) მთლიანად მოისპობოდა საქართველოს ტყეები. აქციის მონაწილეებმა მიმართეს დონორებს, გაეთვალისწინებინათ ეს ფაქტი და არ დაეფინანსებინათ მთავრობის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც კიდევ უფრო მეტი რისკის წინაშე დააყენებდნენ ტყის ეკოსისტემებს. აქციის მთავარი მოთხოვნები იყო: შეწყდეს საქართველოს ტყეების მერქნიანი რესურსების ფართომასშტაბიანი, უსისტემო და გაუაზრებელი ექსპლუატაცია; სახელმწიფომ ძირითადი აქცენტი გადაიტანოს ტყეების დაცვასა და კონსერვაციაზე; სახელმწიფომ გაზარდოს სექტორში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა და საზოგადოების მონაწილეობა. აქციის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ფინანსური საშუალებები უნდა მოხმარდეს სატყეო სექტორში ეფექტური და არსებული პრობლემების ადეკვატური რეფორმების გატარებას და არ უნდა დაიხარჯოს მხოლოდ ავტომანქანებისა და აღჭურვილობის შეძენაზე, ახალი ოფისების რემონტზე, როგორც ამას ითხოვდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

- **02.06.07** მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა გარემოს დაცვის ინსპექციას, დამოუკიდებელი მონიტორინგის პროცესში ტყით სარგებლობის ერთწლიანი ლიცენზიების გაცემისას აღმოჩენილ დაღვევებთან დაკავშირებით.

- **04.06.07** მწვანე ალტერნატივამ ადმინისტაციული საჩივრებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა ხე-ტყით სარგებლობის ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების ბათილად ცნობა.

- **15.06.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივ რესურსების სამინისტროში გაიმართა „სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის" პროექტის განხილვა. განხილულ იქნა ყველა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი თითოეული შენიშვნა. სატყეო დეპარტამენტის უფროსმა ზ. ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მწვანე ალტერნატივას წინადადებების უმეტესობა გათვალისწინებული იქნებოდა, მათ შორის დაემატებოდა პრინციპული საკითხები ტყეების კონსერვაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ჩართულობის თაობაზე.

- **25.06.07** სატყეო დეპარტამენტმა გაავრცელა „სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის" შესწორებული ვერსია, რომელშიც გათვალისწინებული იყო 2007 წლის 15 ივნისის განხილვაზე მწვანე ალტერნატივას დაყენებული წინადადებები. დეპარტამენტმა ითხოვა შემდგომი შენიშვნების მიწოდება 1 კვირის ვადაში.

- **03.07.06** საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა ხე-ტყით სარგებლობის ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების ბათილად ცნობის თაობაზე მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივრების ზეპირი მოსმენა.

- **26.07.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტმა გაავრცელა ხე-ტყის დამზადების მიზნით გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიების სალიცენზიო პირობების ზოგადი ჩამონათვალის პროექტი. შენიშვნებისა და კომენტარებისათვის განისაზღვრა ერთი კვირა.

- **03.08.07** გამოიცა პრემიერ-მინისტრის №90, №91 და №92 ბრძანებები, რომლითაც მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა ხე-ტყით სარგებლობის ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471 და №472 ბრძანებების ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

- **03.08.07** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა შენიშვნები და კომენტარები სატყეო დეპარტამენტის მომზადებულ ხე-ტყის სალიცენზიო პირობების პროექტზე.

- **08-09.08.07** ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტმა გლობალური სატყეო კოალიციის ხელშეწყობით ქ. თბილისში ჩაატარა ეროვნული შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ დანიური ორგანიზაცია "ნეპკონ"-ის (NEPCON) წარმომადგენლები. შეხვედრაზე მოხსენებები გააკეთეს მ. მაჭავარიანმა (გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი) თემაზე „საქართველოს ტყეების დეგრადაციის გამომწვევი მიზეზები", პ. ფეილბერგმა (NEPCON) თემაზე „ტყეების სერტიფიცირება" და ი. მაჭარაშვილმა (მწვანე ალტერნატივა) თემაზე „ბიომრავალფეროვნების კონვენციიის სატყეო საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო პროგრამის შესრულების მდგომარეობა საქართველოში". გაიმართა დისკუსია. სემინარის მონაწილეები დაეთანხმნენ მოხსენებების ძირითად დასკვნებს. მონაწილეები შეთანხმდნენ წარმოჩენილი პრობლემების ერთობლივად გადაჭრის მნიშვნელობაზე; შეიმუშავეს იმ ქმედებების ნუსხა, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოს ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებას და მდგრად სარგებლობას.

- **30.08.07** პრემიერ-მინისტრის №126 ბრძანებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა დავით ჩანტლაძე, რომელსაც მანამდე მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.

- **07.09.07** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გააკეთა მოხსენება პარლამენტში, სადაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი და უახლოეს ხანებში დასამტკიცებლად წარუდგენდა პარლამენტს.

- **12.09.07** მწვანე ალტერნატივამ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. სარჩელის მოთხოვნა იყო ხე-ტყით სარგებლობის ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470, №471, №472, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

- **15.09.07** წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩინელი ბიზნესმენების წინააღმდეგ საპროტესო აქცია გამართა და ზუგდიდი–წალენჯიხის მაგისტრალი გადაკეტა. ხე–ტყის დამამზადებელ საწარმოში დასაქმებული მუშები დაბალ ხელფასს და გაუსაძლის სამუშაო პირობებს აპროტესტებდნენ. (წყარო: ტელეკომპანია "იმედი", www.imedinews.ge).

- **17.09.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტმა გაავრცელა ნორმატიული აქტების პროექტები და დაინტერესებული საზოგადოებისგან ითხოვა შენიშვნების, მოსაზრებებისა და კომენტარების მოწოდება 1 კვირის ვადაში, 2007 წლის 24 სექტემბრამდე (დოკუმენების ჩამონათვალი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების პროექტი "სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ; საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი "ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანების პროექტი ,,გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდიკის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 5 ივლისის №538 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ"; საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი "საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ,,ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში დამატებების შეტანის თაობაზე"; "აუქციონის დამატებითი მოთხოვნები ხე-ტყის დამზადების ლიცენზიისათვის").
- **24.09.07** გამოიცა მთავრობის №203 დადგენილება ,,ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ". ამ აქტით ტყითსარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების პირობები მნიშვნელოვნად გაიოლდა. სალიცენზიო პირობებიდან ამოღებული იქნა მოთხოვნა ტყითსარგებლობის მართვის გეგმის სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) პრინციპებთან შესაბამისობის შესახებ.

- **26.09.07** მწვანე ალტერნატივამ განცხადება გააკეთა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ კონსულტაციების ფორმალურად ჩატარების შესახებ. „2007 წლის 17 სექტემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის მიერ გავრცელდა ტყით სარგებლობის არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტები. სატყეო დეპარტამენტის განცხადების თანახმად, დაინტერესებულ საზოგადოებას შენიშვნები, მოსაზრებები და კომენტარები 1 კვირის ვადაში, ანუ 2007 წლის 24 სექტემბრამდე უნდა წარედგინა. 2007 წლის 19 სექტემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებული მთავრობის დადგენილების პროექტი მთავრობის სხდომაზე წარადგინა დასამტკიცებლად. 2007 წლის 23 სექტემბერს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაჩნდა დადგენილების სახეცვლილი ვარიანტი. ამ დროს დადგენილების პირველ ვარიანტზე კომენტირების ვადა ჯერ არ იყო ამოწურული და დაინტერესებული საზოგადოება კვლავ დოკუმენტის პირველ ვარიანტს განიხილავდა. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ 2007 წლის 24 სექტემბერს (ანუ, იმ დღეს როდესაც საზოგადოებას ჯერ კიდევ შეეძლო თავის შენიშვნების წარდგენა) დადგენილება საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა“. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მთავრობისეულ გაგებაზე კარგად მეტყველებს ერთი ფაქტიც: დამტკიცებული ნორმატიული აქტის მიხედვით, სალიცენზიო პირობები აღარ ავალდებულენენ მოსარგებლეს „უზრუნველყოს მართვის გეგმის საჯაროობა“.

- **26.09.07** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზ. ნოღაიდელმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ დ. ჩანტლაძეს მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფა დაავალა. მან განაცხადა: „მოსახლეობას ზამთრის განმავლობაში შეშასთან დაკავშირებით პრობლემები აღარ უნდა ჰქონდეს“ (წყარო: სააგენტო "პრაიმ-ნიუსი").

- **27.09.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №1423 ბრძანებით გამოცხადდა გრძელვადიანი ტყითსარგებლობის აუქციონი.

- **01.10.07** გამოიცა საქართველოს მთავრობის N548 განკარგულება „2007/08 წლის ზამთრის პერიოდისათვის მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. განისაზღვრა ერთ კომლზე გასაცემი საშეშე მერქნის ოდენობა და გაცემისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი.
- **02.10.07** გამოიცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №1440 ბრძანება „საქართველოს ტყის ფონდის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“.

- **04.10.07** საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის სხდომა გამართა. მან განაცხადა: „მე ვთხოვ ყველა სამინისტროს ხელმძღვანელს ჩავიხედოთ ჩვენი სტრუქტურების საქმიანობაში, რათა ხალხის წვალება აღარ დავუშვათ და ამას ბოლო მოვუღოთ. ხალხის წვალება, პრაქტიკულად, კორუფციის მაჩვენებელია; სადაც ბიუროკრატიაა, იქ კორუფციაცაა... ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს - რაღაც უნდა ვაკონტროლოთ, მაგრამ იმისათვის, რომ ხალხმა გასათბობად შეშა ლეგალური გზით მოიპოვოს, ფაშისტური რეჟიმის დამყარება აუცილებელი არ არის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფულის საკეთებელი ხვრელი უნდა გავხსნათ, ამიტომ ყველა პროცედურა უნდა გავამარტივოთ“ (წყარო: www.president.gov.ge).

- **05.10.07** სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზ. ჭეიშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა, რომელიც ზამთრის პერიოდისთვის მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგებას ეხებოდა. მისი თქმით, გამოიყო ტყეკაფები 1 მლნ m^3 საშეშე მერქნის მისაღებად, რაც სატყეო დარგის არსებობის ისტორიაში უპრეცედენტოა. "წინა წლებში საშეშე მერქნის ტყეკაფები მაქსიმუმ 350 ათასი m^3-ის მოცულობით გამოიყოფოდა...ეს განპირობებულია იმით, რომ უკანონო ჭრების ლეგალიზება მოხდა. ვცდილობთ, მოსახლეობამ მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გადაიტანოს ზამთარი და თითოეული კომლი საშეშე მერქნით დაკმაყოფილდეს” - განაცხადა ჭეიშვილმა. თავმჯდომარის განცხადებით, დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რათა თავიდან აიცილონ ერთსა და იმავე პირებზე საშეშე მერქნის რამდენიმეჯერ გამოწერა. მისი თქმით, თვითმმართველობის ორგანოებმა დეპარტამენტს კომლების სიები გადასცეს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობაზე საშეშე მერქნის გაცემა იწარმოებდა (წყარო: სააგენტო "ინტერპრესნიუსი").

- **10.10.07** გამოიცა საქართველოს მთავრობის N563 განკარგულება "2007/08 წლის ზამთრის პერიოდისათვის მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით დამატებით ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2007 წლის 1 ოქტომბრის N548 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". დაზუსტდა ერთ კომლზე გასაცემი სათბობი შეშის რაოდენობა: დაბალი ზონის მოსახლეობისთვის არა უმეტეს 7m^3, მაღალი

ზონის მოსახლეობისათვის - არა უმეტეს 12მ^3, განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებში მუდმივად მცხოვრები კომლებისათვის – 20მ^3-მდე.

- **10.10.07** საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ნონა ყარალაშვილმა გაავრცელა შემდეგი ინფორმაცია: "საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ საქართველოს სატყეო კოდექსის პროექტის შემუშავების მიზნით სატყეო დეპარტამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. დოკუმენტის შემუშავებამდე, გთხოვთ, ერთი კვირის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები ტყის კოდექსის შესაძლო შინაარსთან და სტრუქტურასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე"[8].

- **18.10.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №1546 ბრძანებით გამოცხადდა აუქციონი გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიებისა და გენერალური ლიცენზიების გაცემის მიზნით. ეს იყო ყველაზე მასშტაბური ტყითსარგებლობის აუქციონი ქვეყნის ისტორიაში.

- **19.10.07** გამოიცა საქართველოს მთავრობის №603 განკარგულება „2007/2008 წლების ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ტერიტორიიდან ადგილობრივი მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველსაყოფად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“.

- **25-26.10.07** თბილისში მწვანე ალტერნატივას ორგანიზებით გაიმართა სემინარი-დისკუსია თემაზე: „გარემოს დაცვა, ეკონომიკა და ადამიანის უფლებები.“ სხვა თემებთან ერთად განხილული იყო სატყეო სექტორთან დაკავშირებული შემდეგი თემები: "როგორ იცვლება საქართველოს სატყეო პოლიტიკა მთავრობების ცვლილებასთან ერთად? რა სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი მოაქვს ქართულ სატყეო ინდუსტრიას? გადის თუ არა ევროკავშირისკენ მიმავალი გზა ახალი ზელანდიის, აფრიკის ქვეყნებისა და რუსეთის მსგავს სატყეო რეფორმებზე?"

- **04.11.07** მწვანე ალტერნატივამ გაარცელა განცხადება ახალი „ტყის კოდექსის“ შემუშავების პროცესთან დაკავშირებით (იხ. www.forestgeo.net).

- **06.11.07** მწვანე ალტერნატივამ 2007 წლის მაისში გაცემული ხანგრძლივვადიანი ტყითსარებლობის ლიცენზიების გაცემის კანონიერების საკითხის შესწავლის თხოვნით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს.

- **14.11.07** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს დავით ჩანტლაძეს შეხვდა და ზამთარში მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის თაობაზე ესაუბრა. როგორც დავით ჩანტლაძემ აღნიშნა, მოსახლეობის 60 პროცენტი უკვე უზრუნველყოფილი იყო შეშით, თუმცა კვლავ მიმდინარეობდა ტყიდან შეშის გამოტანა. მისი თქმით, იყო ხელისშემშლელი პირობებიც, რაც ტყეში ცუდ გზასა და ტექნიკის ნაკლებობაში მდგომარეობდა. მინისტრმა საქართველოს პრეზიდენტის დავალებები მიიღო. „იმ პირობებში, როცა საქართველოში ჯერ-ჯერობით გაზი ბევრგან მიყვანილი არ გვაქვს, ჩვენს მოქალაქეებზე შეშის გამოტანაზე ხელოვნური შეზღუდვების დაწესება არაჰუმანური და ლოგიკას მოკლებულია. უნდა დარიგდეს საპრეზიდენტო ვაუჩერი, რომელიც ითვალისწინებს 5 კუბამეტრ შეშას, ყველა ოჯახზე. ეს შეეხება რამოდენიმე ასეულ ათას ოჯახს, ვინც ცხოვრობს სოფლად. ეს არის საკმარისი იმისათვის, რომ მოსახლეობამ ზამთარი გადაიტანოს. ჩვენი ლოზუნგის და ჩემი გადაწყვეტილების თანახმად, ზამთარში არავის არ უნდა შიოდეს და არავის არ უნდა ციოდეს. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ვაუჩერების დარიგება. ვინც უკვე გადაიხადა მოსაკრებელი, ის ამ ვაუჩერს გამოიყენებს მომავალ წელს. ჩვენ ხალხს ხელს ვუწყობთ ჩვენი ტყეების ეკონომიურ ათვისებაში. რასაკვირველია, ყველაფერს უნდა ჰყავდეს მფლობელი, მოიჯარე და პატრონი, როცა ეს საჭიროა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხს

[8] საინტერესოა, რომ სატყეო დეპარტამენტის სახელით საუბრობს მდგრადი განვითარების დეპარტამენტი. ასეთი ვითარება 2005 წლიდან დაიწყო, როდესაც მდგრადი განვითარების დეპარტამენტს ზ. ჭეიშვილი ხელმძღვანელობდა და სატყეო სექტოთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებებიც იქ მიიღებოდა. ზ. ჭეიშვილი, რომელიც მანამდე რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრის კ. ბენდუქიძის თანაშემწე იყო, მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე ჯერ ასევე ამ ჯგუფის წევრებმა მაია წოწკოლაურმა, ხოლო შემდეგ ნონა ყარალაშვილმა შეცვალა. (იხ. რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრის ვებ–გვერდი: www.reforms.ge)

პრობლემა შევუქმნათ. ბუნებრივი რესურსები, რაც ჩვენ გვაქვს ეკუთვნის ხალხს და ხალხმა ამით სათანადოდ უნდა ისარგებლოს“ - განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (წყარო: www.president.gov.ge).

- **21.11.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტმა გაავრცელა „ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის წესის შესახებ“ და „ტყით სარგებლობის გეგმის შედგენის შესახებ“ დებულების პროექტები. ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და კომენტარების გაგზავნისათვის დეპარამენტმა დააწესა 1 კვირის ვადა.

- **21.11.07** გამოიცა საქართველოს მთავრობის №255 დადგენილება „მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილების მიხედვით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა (დ. ჩანტლაძე) 920 000 (ცხრაას ოცი ათასი) ცალი სათბობი შეშის ვაუჩერის დამზადება. თითოეული ვაუჩერის ნომინალი განისაზღვრა 5$მ^3$-ით. განისაზღვრა ვაუჩერის საშუალებით საშეშე მერქნის მიღების პროცედურა.

- **24.11.07** პრემიერ-მინისტრის №300 ბრძანებით, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზვიად ჭეიშვილი დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ.

- **24.11.07** პრემიერ-მინისტრის №303 ბრძანებით, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა ლაშა ჭკადუა, რომელიც მანამდე სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა.

- **27.11.07** გავრცელდა მწვანე ალტერნატივას წერილი ადგილობრივი მოსახლეობის მერქნითი რესურსებით მომარაგების პრობლემებთან დაკავშირებით: „შეშის ვაუჩერი გაყინულ სოფლებს ვერ გაათბობს“. წერილში აღწერილი იყო მოსახლეობის შეშით მომარაგებასთან დაკავშირებული საგანგაშო სიტუაცია და მისი წარმოქმნის მიზეზები.

- **28.11.07** გამოიცა საქართველოს მთავრობის №263 დადგენილება “მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის N255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დასამზადებელი ვაუჩერების რაოდენობა 920 ათასიდან გაიზარდა 1 მილიონ ცალამდე.

- **28.11.07** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა შენიშვნები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ დოკუმენტზე „ტყით სარგებლობის გეგმის შედგენის შესახებ“ დებულების პროექტზე.

- **12.12.07** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №1643 და №1644 ბრძანებებით, გრძელვდიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიებისა და გენერალური ლიცენზიების გაცემის მიზნით აუქციონებში მონაწილეობის მისაღებად საბუთების მიღებისა და აუქციონის ადრე გამოცხადებული ვადები შეიცვალა. აუქციონი დაინიშნა 2008 წლის 18 და 19 თებერვალს. გასაყიდად გამოტანილი იყო 28 ოცწლიანი ლიცენზია საქართველოს 20 რაიონში, სატყეო ფართობების ჯამური ოდენობა 364 262 ჰა-ს შეადგენდა.

- **21.12.07** მწვანე ალტერნატივამ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2008 წლის 18 და 19 თებერვალს დანიშნული გრძელვადიანი ტყითსარგებლობის აუქციონების გამოცხადების შესახებ მინისტრის ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

- **21.01.08** მწვანე ალტერნატივამ გამოაქვეყნა კითხვები და შენიშვნები ტყის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით, დოკუმენტი განსახილველად გაუგზავნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

- **17.01.08** კავშირი “ჩვენ, მწვანეების” ორგანიზებით და “კავკასიის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის” (REC Caucasus) მხარდაჭერით, ჩატარდა შეხვედრა გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მეცნიერებთან. შეხვედრაზე განიხილებოდა საქართველოს ტყის კოდექსის პროექტი.
- **25.01.07** საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ოფისში გაიმართა საქართველოს ტყის კოდექსის პროექტის განხილვა.

- **28.01.08** 2008 წლის 28 იანვარს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტში გაიმართა ახალი ტყის კოდექსის პროექტთან დაკავშირებული შეხვედრა. მონაწილეთა

მხრიდან (აკად. გ. გიგაური, ი.მაჭარაშვილი) დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ინფორმაცია ამ შეხვედრის ჩატარების შესახებ არ იყო ხელმისაწვდომი ყველა დაიტერესებული მხარისათვის, ხოლო თავად დოკუმენტი სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვდა და ამისათვის საჭირო იქნებოდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრის გამართვა, რომელსაც რეალური საჯარო განხილვები უნდა მოჰყოლოდა - საზოგადოების ფართო ფენების, რეგიონების წარმომადგენლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების აქტიური ჩართვით. მიუხედავად ამისა, შეხვედრას, რომელსაც სამინისტროს წარმომადგენლებისა და პროექტის ავტორთა ჯგუფის გარდა მხოლოდ 7 ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა, სამინისტროს განცხადებაში მაინც „საჯარო განხილვა“ ეწოდა.

- **31.01.08** პრემიერ-მინისტრის №13 ბრძანებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად დაინიშნა ბოტანიკის ინსტიტუტისა და თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ზაალ გამცემლიძე.

- **05.02.08** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შედგა სასამართლო სხდომა, რომელზეც უნდა განხილულიყო მწვანე ალტერნატივას საჩივარი 2008 წლის 18 და 19 თებერვალს დანიშნული მასშტაბური ტყითსარგებლობის აუქციონის გაუქმების თაობაზე. მოპასუხემ - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ წარმოადგინა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დ. ჩანტლაძის 2008 წლის 29 იანვრის ბრძანება, რომლითაც ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული გასაჩივრებული ბრძანებები.

- **17.03.08** გამოიცა საქართველოს მთავრობის N64 დადგენილება “ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. აღნიშნული დადგენილებით ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის ფუნქცია ჩამოერთვა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს[9].

- **17.03.08** გამოიცა საქართველოს მთავრობის №67 დადგენილება „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის N77 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. სამინისტროს უფლებამოსილებებს დაემატა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ლიცენზიების გაცემა და კვოტების დამტკიცება; შეიქმნა ბუნებრივი რესურსების ლიცენზირების დეპარტამენტი და განისაზღვრა მისი ფუნქციები.

- **21.03.08** მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ზაალ გამცემლიძეს, მთავრობის პროგრამასთან - "ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე" - დაკავშირებით. მიმართვაში აღინიშნა, რომ მთავრობის ამ პროგრამის მიზნის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ამოცანების დასახვა, რაც სამწუხაროდ, მთლიანად ყურადღების მიღმაა დარჩენილი.

- **25.03.08** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა განცხადება, რომლითაც გამოხატა პოზიცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ბუნებრივი რესურსების ლიცენზიების გაცემის ფუნქციის გადატანასთან დაკავშირებით. მასში აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელ წლებში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ყველა ქმედება მიმართული იყო სარგებლობის უფლების გაყიდვის გზით ბუნებრივი რესურსების ეკონომიკურ ბრუნვაში მაქსიმალურ ჩართვაზე. ამის გამო, ნებსით თუ უნებლიედ, ეს სამინისტრო არასრულფასოვნად ახორციელებდა მის ფუნქციებს და ზოგ შემთხვევაში, ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს შექმნის არგუმენტით, მიზანმიმართულად, ყოველგვარი დასაბუთების და საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე, აკნინებდა გარემოს დაცვის უზრუნველმყოფ ინსტრუმენტებს. ამის გამო, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის ფუნქცია სამინისტროს ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა. ამდენად, სამინისტროების ფუნქციების აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია დადებითადაც შეფასებულიყო. მწვანე ალტერნატივას განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მისასალმებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილებების ამგვარ გადანაწილებას უახლოეს მომავალში მოჰყვებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრიორიტეტების ცვლილება და მართვის გარემოსდაცვითი მექანიზმების გაძლიერება.

- **03.04.08** გამოქვეყნდა ევროკომისიის პირველი ანგარიში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის თაობაზე. ანგარიშშ აღნიშნული იყო, რომ საქართველოში შეზღუდულია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების

[9] ამავდროულად მოხდა ყველა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის უფლების გადაცემაც. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტრო ეწინააღმდეგებოდა ამ ცვლილებებს, მაგრამ ისინი მაინც განხორციელდა.

მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა"; დადებით კონტექსში მოიხსენიებოდა მთავრობის მიერ ეროვნული სატყეო პოლიტიკის შემუშავება[10].

- **16.04.08** პრემიერ-მინისტრის №131 ბრძანებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლდა ზაალ გამცემლიძე (საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გამო).

- **30.04.08** საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა, მწვანე ალტერნატივას განცხადების საფუძველზე, შეისწავლა 2007 წლის 1 მაისს ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების გაცემის მიზნით ჩატარებული აუქციონის კანონიერების საკითხი, სამართლიანად მიიჩნია მწვანე ალტერნატივას მოთხოვნა და რეკომენდაციით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ბათილად ეცნო ბრძანებები, რომლებითაც დაკანონდა ამ აუქციონის შედეგები. (სახალხო დამცველის რეკომენდაცია მთავრობამ არ შეასრულა–რედ.).

- **12.05.08** საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (IDA) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოსთან პარტნიორობის სტრატეგიის პროგრესის ამსახველ ანგარიშში აღნიშულია, რომ „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროექტი" შეჩერდა ტყის ინვენტარიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ტექნიკური და პოლიტიკური საკითხების გამო, დაფინანსება შეწყდა, ვიდრე მთავრობის მხრიდან დონორებისთვის მისაღები გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

- **22.05.08** ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ზვიად ჭეიშვილმა წერილით (№ 19/81) მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომლითაც ადრესატს აცნობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილება ტყითსარგებლობის აუქციონების გამართვის შესახებ და მოითხოვა ინფორმაცია სალიცენზიო ობიექტების შესახებ.

- **13.06.08** „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროექტი" ოფიციალურად შეწყდა და მსოფლიო ბანკმა უკან დაიბრუნა დაახლოებით 11 მილიონი აშშ დოლარი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ტყეების ინვენტარიზაციას უნდა მოხმარებოდა.

- **24.06.08** საქართველოს მთავრობის №140 დადგენილებით, ხანგრძლივვადიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების მფლობელებს „ტყით სარგებლობის გეგმის" წარმოდგენის ვადა 2009 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელდათ.

- **04.07.08** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა განცხადება, რომლითაც გააპროტესტა მთავრობის გადაწყვეტილება ხანგრძლივვადიანი ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების მფლობელებისთვის ანგარიშგების ვადის გაგრძელების შესახებ. მწვანე ალტერნატივამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სალიცენზიო პირობები ვერ უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემების დაცვას და უგულვებელყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს. ეს გარემოება არც ტყის სექტორში სერიოზული ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობდა ხელს, ვინაიდან 1 წლის შემდეგ სამინისტრო იძულებული გახდებოდა გაეუქმებინა ლიცენზიები, ან თვალი დაეხუჭა მათ დარღვევებზე. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბერის №203 დადგენილებით ,,ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ" მოხდა სალიცენზიო პირობების გაიოლება, ისინი მაინც არ შესრულებულა. ამდენად, არსებობდა ყველა საფუძველი იმისა, რომ შესაბამის უწყებებს დაეყენებინათ საკითხი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის გამო ამ ლიცენზიების გაუქმების შესახებ. ნაცვლად ამისა, მთავრობამ გადაავადა ანგარიშების წარმოდგენის ვადა, რითაც იურიდიულად საფუძველი შეუქმნა კანონმდებლობის დარღვევებზე თვალის დახუჭვას.

- **15.08.08** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქმედებების შედეგად, ბორჯომის ხეობის ტყეებში ხანძარი გაჩნდა. მომდევნო დღეებში არაერთი ახალი ხანძრის კერა დაფიქსირდა. 18 აგვისტოს BP-ს ფეხოსანმა პატრულმა, ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევთან შენიშნა საფრენი აპარატი, საიდანაც აალებადი ჭურვები ჩამოყარეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. სამინისტროს განცხადებით, ბორჯომის ხეობაში ხანძრის შედეგად განადგურებულმა ტყის ფართობმა 950 ჰექტარს მიაღწია; ხანძარმა მოიცვა წიწვოვანი, შერეული და სუბალპური ტყეები, მათ შორის, დაიწვა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) "წითელ ნუსხაში" შეტანილი გადაშენების პირას მყოფი სახეობების ჰაბიტატები. 20 აგვისტოს ცეცხლის

[10] როგორც ჩანს, ევროკომისია არასწორად იყო ინფორმირებული. ეს დოკუმენტი დღემდე არ შემუშავებულა

კერები დაფიქსირდა ატენის ხეობის ტყეებში. აქ ხანძრის ძირითადი კერის ლოკალიზება 24 აგვისტოს მოხერხდა. დამწვარი ტყის მასივმა 50 ჰექტარი შეადგინა. თვითმხილველების ჩვენებებით, 16 აგვისტოს რუსულმა სამხედრო ავიაციამ ცეცხლგამჩენი ჭურვებით ცეცხლი გააჩინა კასპის რაიონში, სოფელ ხანდაკის მახლობელ ტყის მასივში. იმავე დღეს ცეცხლის კერები დაფიქსირდა ქალაქ კასპსა და მის მიმდებარე სოფლებში, დაბა სურამის (ხაშურის რაიონი) ტყეებში. თვითმხილველების მტკიცებით, ცეცხლი კერები გაჩნდა იმ ადგილებზე, სადაც რუსულმა სამხედრო ვერტმფრენებმა დაბალ სიმაღლეზე გადაიფრინეს. ამავდროულად, ხანძრები გაჩნდა ხარაგაულისა და კოჯრის ტყეებში. ყველა ამ ადგილას მეხანძრეებმა ცეცხლის ლოკალიზება სწრაფად მოახერხეს. 22 აგვისტოს ღამე ცეცხლი წაეკიდა მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის ტყეებს. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ცეცხლი გაჩნდა ღამით, ერთდროულად რამდენიმე ადგილას, მთვრალი რუსი სამხედროების მიერ ნასროლი მაშხალების შედეგად დაიწვა 3 ჰა ტყე.

- **18.08.08** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილემ გოჩა მამაცაშვილმა გააკეთა განცხადება რუსეთის სამხედრო ვერტმფრენების მიერ ბორჯომის ტყეებში გაჩენილი ხანძრის შესახებ. მან მოუწოდა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაკავშირებით მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება, რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

- **20.08.08** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა განცხადება ბორჯომის რაიონში რუსეთის ვერტმფრენების მიერ გამოწვეული ხანძრის შესახებ. მიმართვა გავრცელდა სხვადასხვა საერთაშორისო ქსელების საშუალებით, მაგ. Species Survival Network, CEE Bankwatch Network, CEE WEB, Freedom of Information, Tropical Biodiversity Group და სხვ. მწვანე ალტერნატივას პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ითარგმნა ჩეხურ ენაზე და გავრცელდა ჩეხურ მედიაში. ალასკის უნივერსიტეტის პროფესორმა რიჩარდ შტეინერმა წერილი გაუგზავნა ამერიკაში რუსეთის ფედერაციის ელჩის მეშვეობით რუსეთის პრეზიდენტ მედვედევსა და პრემიერ-მინისტრ პუტინს (ასლი: გაეროს გენერალურ მდივანს ბან კი-მუნს, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, UNEP-ის დირექტორს ა. შტენიერს, IUCN-ის გენერალურ დირექტორს ჯულია მარტონ-ლეფევს და ამერიკის ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტს). წერილში მითითებულია საერთაშორისო სამართლის იმ დარღვევებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში სამხედრო ქმედებების განხორციელებას (იხ. www.greenalt.org).

- **29.08.07** პრემიერ-მინისტრის №252 ბრძანებით შეიქმნა საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემფასებელი კომისია.

- **02.09.08** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარუდგინა 20 წლიანი ხე–ტყის დამზადების ლიცენზიების აუქციონზე გასატანი ლოტების ჩამონათვალი. (წერილი №12/02-15/2730).

- **03.09.08** გაიმართა საქართველოს მთავრობის სხდომა (N33). ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ წარადგინა წინა დღეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მიწოდებული ლოტებისათვის აუქციონის საწყისი ფასები. მთავრობამ მოიწონა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინადადება.

- **04.09.08** გამოიცა ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/1788 ბრძანება. ამ ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა აუქციონი გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით; განისაზღვრა 20 წლიანი ლიცენზიის გაყიდვა გურიის სატყეო სამმართველოს ოზურგეთის სატყეო უბნის ლიხაურის სატყეოს კვარტლებში, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს კვარტლებში, მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამმართველოს თიანეთის სატყეო უბნის თიანეთის სატყეოს კვარტლებში, დუშეთის სატყეო უბნის ჟინვალის სატყეოს კვარტლებში, კახეთის სატყეო სამმართველოს ახმეტის სატყეო უბნის პანკისის სატყეოს კვარტლებში.

- **05.09.08** გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/1801 ბრძანება. ამ ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა აუქციონი გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით. ბრძანებების მიხედვით განისაზღვრა 20 წლიანი ლიცენზიის გაყიდვა სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამმართველოს სალხინოს სატყეო უბნის კვარტლებში, გურიის სატყეო სამმართველოს ჩოხატაურის სატყეო უბნის ზოტის სატყეოს კვარტლებში, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამმართველოს ადიგენის სატყეო უბნის ღაღვის სატყეოს კვარტლები, შიდა ქართლის სატყეო სამმართველოს ხაშურის სატყეო უბნის ძამას სატყეოს კვარტლებში, მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამმართველოს თიანეთის სატყეო არტანის სატყეოს კვარტლებში და ახალსოფელის სატყეოს კვარტლებში, კახეთის სატყეო სამმართველოს ახმეტის სატყეო უბნის ილტოს სატყეოს კვარტლებში, თელავის სატყეო უბნის ფშაველის

სატყეო უბნის კვარტლებში, ახმეტის სატყეო უბნის ილტოს ახმეტის სატყეოს კვარტლებში, თიანეთის სატყეო უბნის ბოჭორმის სატყეოს კვარტლებში, იმერეთის სატყეო სამმართველოს ბაღდათის სატყეო უბნის ზეკარის სატყეოს კვარტლებში და წყალშუას უბნის კვარტლებში.

- **05.09.08** საომარი მოქმედებების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემფასებელმა სამთავრობო კომისიამ ბორჯომის ხეობა დაათვალიერა. ხეობაში ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ცეცხლის რამდენიმე კერა. ასევე იყო ხანძრის კერები ატენის ხეობაშიც. კომისიამ განაგრძო მუშაობა გარემოზე მიყენებული ზიანის შესაფასებლად.

- **15.09.08** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა მწვანე ალტერნატივას მიერ, ერთი წლის წინ, 2007 წლის 12 სექტემბერს, წარდგენილი სარჩელი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის იმ ბრძანებების გაუქმების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც 2007 მაისში გაიყიდა სამი ხე-ტყის დამზადების 20–წლიანი ლიცენზია. სასამართლოში მწვანე ალტერნატივას ინტერესებს იცავდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. მოპასუხეებმა (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, პრემიერ-მინისტრი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) წარმოადგინეს შინაარსობრივად ერთი და იგივე შესაგებელი. უფრო მეტიც, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2008 წლის 31 ივლისს სასამართლოს თავისი სახელით წარუდგინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2008 წლის 19 მარტის შესაგებელის ასლი. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სარჩელის განხილვას არ დასწრებია, ხოლო მესამე პირად ჩართული ერთ-ერთი ლიცენზიის მფლობელი - ფიზიკური პირი ემილ რეინირსი – საერთოდ ვერ მოიძებნა. მოპასუხეები აღნიშნავდნენ, რომ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, თუმცა ვერც შესაგებელში და ვერც განხილვის დროს მათ ვერ წარმოადგინეს არგუმენტები, რომლებიც პასუხს სცემდნენ მწვანე ალტერნატივას მიერ დასმულ საკითხებს. განხილვა დაახლოებით 5 საათს გაგრძელდა. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად 25 სექტემბერს დანიშნა სხდომა.

- **25.09.08** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლე ნინო ონიანმა სასამართლო სხდომაზე გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომლითაც მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე[11].

- **26.09.08** გამოიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის №672 ბრძანება ,,ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე.

- **01.10.08** გამოიცა საქართველოს მთავრობის №640 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისათვის განსახორციელებელ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ". განკარგულების მიხედვით, დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარ-ტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან 22300 მ³ და შიდა ქართლის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდიდან 16550 მ³ (სულ – 38850 მ³) წიწვოვანი სახეობის სამასალე მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფის, მოჭრისა და დამზადების სამუშაოების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (შევიდა ცვლილება მთავრობის განკარგულებით 06.10.2008 N674).

- **03.10.08** მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გასაცემად გამოცხადებული აუქციონების შესახებ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 და 5 სექტემბრის ბრძანებების ბათილად ცნობა და გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დასრულებამდე.

- **07.10.08** ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის წინაუბნის სატყეოს ლოტზე საწყისი ფასი იყო 60000 ლარი; აუქციონში მონაწილეობდა შპს ,,ტაო", შპს ,,ფათათი", ფ/პ ტარიელ ფერაძე, ი/მ მარინე ზაზაშვილი,

[11] ამ სხდომიდან ოთხი თვე გავიდა, მაგრამ მწვანე ალტერნატივას გადაწყვეტილება ჯერაც არ ჩაბარებია.

შპს ,,ახალციხის განძელის გამჟღენთი საწარმო", ი/მ ვეფხვია შუბითიძე, ფ/პ ზვიადი ძაბირაძე და შპს ,,საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)". კონკურენციის შედეგად საბოლოო თანხა დაფიქსირდა 126000 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ ვეფხვია შუბითიძე. მცხეთა-თიანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს თიანეთის სატყეო უბნის თიანეთის სატყეოს ლოტზე საწყისი ფასი იყო 160000 ლარი; აღნიშნულ ლოტზე აუქციონში მონაწილეობდა შპს ,,მ.ჰაუზ+". საბოლოო თანხა დაფიქსირდა 176000 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,მ.ჰაუზ+". კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახმეტის სატყეო უბნის პანკისის სატყეოს ლოტზე საწყისი ფასი 250 000 ლარი; აუქციონში მონაწილეობდა შპს ,,იმედი". საბოლოო თანხა დაფიქსირდა 275 000 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,იმედი". გურიის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ოზურგეთის სატყეო უბნის ლიხაურის სატყეოში და მცხეთა-თიანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს დუშეთის სატყეო უბნის ჟინვალის სატყეოში ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მოპოვების მიზნით აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი არ ყოფილა წარდგენილი (წყარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ–გვერდი: www.economy.ge).

- **08.10.08** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონი გაიმართა. გურიის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ჩოხატაურის სატყეო უბნის ზოტის სატყეოს ლოტზე საწყისი ფასი იყო 1922000 ლარი; აუქციონში მონაწილეობდა შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ" და შპს ,,გურია ჯფ". საბოლოო თანხა დაფიქსირდა 2114200 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,გურია ჯფ". იმერეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ბაღდათისა და ვანის სატყეო უბნების ზეკარის, წყალთაშუას, სულორის, საირმე-ვანის, ზეინდრის და ვანის სატყეოების ლოტზე საწყისი ფასი იყო 6118 000 ლარი; აუქციონში მონაწილეობდა მხოლოდ შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ"; საბოლოო თანხა დაფიქსირდა 6729800 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს თიანეთის სატყეო უბნის არტანისა და ახალსოფლის სატყეოების ლოტზე საწყისი ფასი იყო 2671000 ლარი; აღნიშნულ ლოტზე აუქციონში მონაწილეობდა მხოლოდ შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". საბოლოო თანხა დაფიქსირდა 2 938100 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახმეტის სატყეო უბნის ილტოს სატყეოს ლოტზე საწყისი ფასი იყო 2965000 ლარი; აუქციონში მონაწილეობდა მხოლოდ შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". საბოლოო თანხა დაფიქსირდა 3261500 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს თელავის სატყეო უბნის ფშაველის სატყეოს ლოტზე საწყისი ფასი იყო 1772000 ლარი. აღნიშნულ ლოტზე აუქციონში მონაწილეობდა მხოლოდ შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". საბოლოო თანხა დაფიქსირდა 1949200 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახმეტისა და თიანეთის სატყეო უბნების ახმეტისა და ბოჭორმის სატყეოების ლოტზე საწყისი ფასი იყო 1 892 000 ლარი; აუქციონში მონაწილეობდა მხოლოდ შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". საბოლოო თანხა დაფიქსირდა 2081200 ლარი. გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ". გურიის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ოზურგეთის სატყეო უბნის ვაკიჯვრის, მთისპირის და შემოქმედის სატყეოებში, შიდა ქართლის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხაშურის სატყეო უბნის ძამას სატყეოში და სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ადიგენის სატყეო უბნის ღაღვის, კეხოვანის და კურცხანას სატყეოებში ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მოპოვების მიზნით აუქციონი ჩაშლილად გამოცხადდა. ხოლო, სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს მარტვილის სატყეო უბნის სალხინოს სატყეოში ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მოპოვების მიზნით აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი არ გაკეთებულა (წყარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ–გვერდი: www.economy.ge).

- **03.10.08** საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა მწვანე ალტერნატივას 2008 წლის 3 ოქტომბრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენა, რომელზეც გასაჩივრებული იყო ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებები 7 და 8 ოქტომბერს დანიშნულ ტყითსარგებლობის აუქციონებთან დაკავშირებით. განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან ჩატარდა გასაჩივრებული ბრძანებებით გამოცხადებული აუქციონების დასრულების შემდეგ, როდესაც მის განხილვას და ბათილად ცნობის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებას აზრი ჰქონდა დაკარგული.

- **08.10.08** გამოიცა საქართველოს მთავრობის N655 განკარგულება „2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ". განკარგულების მიხედვით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, სატყეო

დეპარტამენტის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს დამატებით 130000 $მ^3$ საშეშე მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოთა შესრულება. სატყეო დეპარტამენტმა ასევე უნდა უზრუნველყოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული, კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების მიზნით 6000 $მ^3$ საშეშე მერქნის დამზადება, შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ვ. ვარძელაშვილის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე მისი ტრანსპორტირება და დასაწყობება. მთავრობამ ნება დართო სატყეო დეპარტამენტს, სამუშაოების შესყიდვა განეხორციელებინა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

- **24.10.08** გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება №697 „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ,,წაბლის ქერქის კიბოთი" დაავადებული წაბლნარი კორომების აღდგენა-გაჯანსაღების მიზნით შპს "დე ენდ ვე"-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ".

- **02.11.08** პრემიერ-მინისტრის №304 ბრძანებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად დაინიშნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე.

- **06.11.08** გამოიცა საქართველოს მთავრობის №732 განკარგულება „გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

- **10.11.08** გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/2485 ბრძანება, რომლითაც გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით, გამოცხადდა აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იყო 64 ლოტი, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით მოიცავდა 165 752 ჰა-ს.

- **03.12.08** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე წარადგინა კანონპროექტი „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. პროექტის მიხედვით გარკვეულ შემთხვევებში დასაშვები იქნება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოპოვება.

- **05.12.08** მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა 2008 წლის 7 და 8 ოქტობრის ტყით სარგებლობის აუქციონის შედეგების, ასევე და 11 დეკემბერს დანიშნული აუქციონის გაუქმება.

- **05.12.08** მწვანე ალტერნატივას ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი ლენტეხში შეხვდა ქვემო სვანეთის მოსახლეობის წარმომადგენლებს და გააცნო საქართველოს სატყეო სექტორში არსებული სიტუაცია, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფასთან დაკავშირებული სირთულეები. დისკუსია გაიმართა 11 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დანიშნულ ტყითსაგებლობის აუქციონთან დაკავშირებით. ი. მაჭარაშვილმა გააცნო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დადგენილი სალიცენზიო პირობები და ამ აუქციონის გაუქმების მოთხოვნით მწვანე ალტერნატივას მიერ პრემიერ-მინისტრისადმი წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

- **07.12.08** ლენტეხის რაიონის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა რაიონის მუნიციპალიტეტის შენობასთან. მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებამ რაიონის ტერიტორიაზე არსებული ტყის რესურსების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე. მოსახლეობამ მოითხოვა აუქციონის გაუქმება, მხარის გუბერნატორთან და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა. ბლოკირებულ იქნა მუნიციპლიტეტის შენობა. მოსახლეობა აცხადებდა, რომ არ აპირებდა უკან დახევას და საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა პროტესტის უფრო მძიმე ფორმებს.

- **09.12.08** მწვანე ალტერნატივამ გაავრცელა ვრცელი საპროტესტო განცხადება 2008 წლის 11 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დანიშნულ ტყითსარგებლობის აუქციონთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამი იყო: "საქართველოს მთავრობა კანონმდებლობის უხეში დარღვევებით აგრძელებს ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების გაყიდვას, მიუხედავად ამ საკითხისადმი საზოგადოების, სპეციალისტების და ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულებისა. ლიცენზიები გაიცემა ვადაგასული ინვენტარიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილება კი მიიღება დაუსაბუთებლად

და გაუმჭვირვალედ. მთავრობა არ ცნობს დაინტერესებული საზოგადოებისა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის კანონით დადგენილ უფლებას მიიღოს მონაწილეობა საცხოვებელი და კულტურული გარემოს უმნიშვნელოვანეს ნაწილთან - ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რითაც საქართველოს მოსახლეობას საკუთარი უფლებების დასაცავად ყველა კანონით დადგენილ გზას უჭრის და მხოლოდ პროტესტის გამოხატვის უკიდურეს ფორმებს უტოვებს. ასეთ ნაბიჯზე მთავრობა მხოლოდ გარკვეული კერძო ინტრესების სასარგებლოდ მიდის. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც ცივილიზებული კაცობრიობა აღნიშნავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 60 წლისთავისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეებს. მწვანე ალტერნატივა ცდილობს გამოიყენოს ყველა სამართლებრივი გზა, რათა წინ აღუდგეს ტყეების დეგრადაციის საშიშროებას".

- **11.12.08** ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ქვემო და ზემო სვანეთის მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამართეს ტყითსარგებლობის ხანგრძლივვადიანი აუქციონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია.

- **11.12.08** ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/3022 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 ნოემბრის №1-1/2485 ბრძანება, „გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“.

- **17.12.08** პრემიერ-მინისტრის №461 ბრძანებით სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლდა ლაშა ჭკადუა. იგი დაინიშნა პრეზიდენტის რწმუნებულად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

- **23.12.08** მწვანე ალტერნატივამ გამართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის პრობლემები და ორგანიზაციის მიერ წარმოებული მონიტორინგის შედეგები. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ დამსწრეებს გააცნო სამინისტროს გეგმები სატყეო სექტორში დაგეგმილი ახალი ინიციატივის შესახებ, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოს მიერ სატყეო-სამეურნეო ფუნქციების განხორციელებას. მინისტრის თქმით, სამინისტროს განზრახული აქვს რეფორმის ამ მოდელის ექსპერიმენტის სახით ქვეყნის რამდენიმე რაიონში განახორციელება. სამუშაო შეხვედრა დისკუსიით დასრულდა, დაისახა მომავალი თანამშრომლობის გეგმები.

- **29.12.08** შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა, ქრთამის აღების ფაქტზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის უფროსი - შოთა გვენცაძე დააკავა. ქრთამის გადაცემის ფაქტზე დააკავეს კიდევ ორი მოქალაქე-ლიცენზიანტის შპს ‘’ართის’’ დირექტორი დარეჯან გვიჭიანი და მარიამ კვირიკაძე (წყარო: ტელეკომპანია "რუსთავი 2", გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ–გვერდი).

- **05.01.09** პრემიერ-მინისტრის №1 ბრძანებით დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაინიშნა პაპუნა ხაჩიძე, რომელსაც მანამდე სამცხე-ჯავახეთის გუბენატორის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.

II. სატყეო სექტორის რეფორმირების ისტორია

წინამდებარე კვლევა ძირითადად 2007–2008 წლებში საქართველოს სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებს მოიცავს. ამასთანავე, გარკვეულ საკითხებში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გაგვეხსენებინა ზოგიერთი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა წლებში.

საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმირების აუცილებლობაზე საუბარი გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. კონსტიტუციის მიღებისა და ახალი კანონმდებლობის საფუძვლების ჩამოყალიბების შემდეგ, სახელმწიფომ დაიწყო საბჭოური ტიპის სატყეო მეურნეობებიდან საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციებისკენ გარდაქმნისათვის მზადება. ამ მიზნით მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაიწყო „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების“ პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის სატყეო სექტორის რეფორმირება, მართვის გაუმჯობესება და ინსტიტუციური გაძლიერება.

მსოფლიო ბანკის მიერ პროექტის დაწყების ერთგვარი წინაპირობა იყო საქართველოს კანონის – ტყის კოდექსის მიღება, რომელიც საკმაოდ დაჩქარებული პროცედურებით დაამტკიცა პარლამენტმა 1999 წელს. ამ კანონით სატყეო მეურნეობებს ჩამოშორდა სამეურნეო ფუნქცია, ანუ ხე-ტყის დამზადების უფლება მთლიანად დელეგირებული იქნა კერძო სექტორზე; დაშვებული იქნა ტყეების განსახელმწიფოებრიობა (კერძო მფლობელებისთვის გადაცემა) სპეციალური კანონის საფუძველზე. ასევე შესაძლებელი გახდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში ტყის ფონდის გადაცემა. ახალმა ტყის კოდექსმა ფორმალურად გაიზიარა ბიომრავალფეროვნების კონვენციის მიმართებები და მდგრადი განვითარების პრინციპები. მიუხედავად ამისა, ამ პრინციპებთან შესაბამისობაში არ მოსულა ტყის რესურსების ინვენტარიზაციის, კადასტრის, დაგეგმვისა და განსაკუთრებით ტყის ჭრის მეთოდები და წესები[12]. ამის გამო, ტყის რესურსების მართვის პრაქტიკა დღემდე ვერ პასუხობს მდგრადი განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

მსოფლიო ბანკის “სატყეო სექტორის განვითარების პროექტის”[13] ამოცანებს შეადგენდა: სატყეო სექტორის მართვის გაუმჯობესება სამართლებრივი, სტრუქტურული და ფინანსური რეფორმების გზით; ტყეების დაგეგმარების და მართვის გაუმჯობესება; ცენტრალური კავკასიონის საპილოტო არეალში – ე.წ. “ლაბორატორიული ზონის” შექმნა; ტყეების დაცვა და აღდგენა შერჩეულ პრიორიტეტულ ტერიტორიებზე. სამწუხაროდ, მსოფლიო ბანკის „სატყეო სექტრის განვითარების პროექტის“ საწყის ეტაპზევე არ იქნა შექმნილი და დამტკიცებული <u>ეროვნული სატყეო პოლიტიკა</u>. შედეგად, პროექტის მიერ შემუშავებული არაერთი დოკუმენტი და განხორციელებული ქმედება გამოუყენებელი დარჩა[14]. საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის არსი და მიმართულება იცვლებოდა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში განხორციელებული სტრუქტურული და რაც ყველაზე უარესია, საკადრო (სახელმწიფო ბიუროკრატიის საშუალო დონეზეც კი) ცვლილებების შესაბამისად.

სატყეო სექტორის რეფორმირების პირველი მოდელი შეიქმნა 2003 წელს, მსოფლიო ბანკის „სატყეო სექტორის განვითარების პროექტის" ფარგლებში. ის გულისხმობდა კომერციული სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც შეასრულებდა სატყეო–სამეურნეო სამუშაოებს. მხოლოდ ამის შემდგომ დაიწყო მსოფლიო ბანკის „სატყეო სექტორის განვითარების პროექტმა“ <u>ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის</u> შექმნაზე მუშაობა. ამისათვის პროექტის მიერ მოპოვებულ იქნა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გრანტი (ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2004 წლის დასაწყისში).

2004 წელს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის გაერთიანების შემდეგ, კვლავ დადგა დღის წესრიგში სატყეო სექტორის რეფორმირების საკითხი. სამწუხაროდ, პოლიტიკის შემუშავება ამ შემთხვევაშიც მეორე პლანზე გადაიდო და ჯერ რეფორმის მოდელის შემუშავება დაიწყო. შეიქმნა სატყეო დარგის რეფორმირების სამთავრობო კომისია. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა მოამზადა რეფორმის კონცეფცია, რომელსაც კომისია განიხილავდა. მთავრობის კაბინეტმა და პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა განიხილეს ეს საკითხი და შეთანხმდნენ კიდევაც რეფორმის ძირითად მიმართულებებზე 2004 წლის ბოლოს-2005 წლის დასაწყისში.

რეფორმის ეს მოდელი გულისხმობდა სატყეო ურთიერთობების ახალი სუბიექტის - სახელმწიფო სააქციო საზოგადოების შექმნას სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ეს ორგანიზაცია უნდა გამხდარიყო სამეურნეო ტყეების მართვაზე უფლებამოსილი ორგანო (კომერციული სტრუქტურა), რომელიც განახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; დანიშნულებისა და ფუნქციის მიხედვით, ტყეები დაიყოფოდა შემდეგ კატეგორიებად: მაღალი კატეგორიის, პროდუქტიულობით გამორჩეულ და დაცვის ფუნქციის მატარებელ ტყეებად; საკუთრების მიხედვით იარსებებდა სათემო,

---

[12] იხ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, 2005.

[13] დაფინანსებული იყო საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (IDA) შეღავათიანი კრედიტით - დაახლ. 15 მლნ აშშ დოლარი.

[14] მაგალითად, დოკუმენტი “სატყეო სექტორის რაციონალიზაციის და ინსტიტუციონალური განვითარების გეგმა”, ვინაიდან 2004 წელს “ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობის სტრუქტურაში განხორციელდა ძირეული რეფორმა, რითაც სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი გაერთიანდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

მუნიციპალური და სახელმწიფო ტყეები; ლიცენზირებას დაქვემდებარებული ტყითსარგებლობის ფორმა იქნებოდა გრძელვადიანი იჯარა, რომელიც შემდგომში შეიძლება ტრანსფორმირებულიყო კერძო საკუთრებად.

ამ რეფორმის კონცეფციის შემუშავებაში არ მიუღია მონაწილეობა არც დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლებს და არც სამინისტროს სხვა სტრუქტურებს, გარდა სატყეო დეპარტამენტისა. გაიმართა მხოლოდ რამდენიმე პრეზენტაცია. მთლიანობაში, მართვის ეს მოდელი ჰგავდა ევროკავშირის ქვეყნებში არსებულს, თუმცა რეფორმის ამ კონცეფციაში ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ხასიათის არსებითი მომენტები დაუმუშავებელი და დაუზუსტებელი იყო. მაგალითად: როგორ მოხდებოდა ტყის ფართობების გამოყოფა ახალი დაცული ტერიტორიების შესაქმნელად და არსებულის გასაფართოებლად; როგორ განხორციელდებოდა კონტროლი და დაცვა; როგორ შენარჩუნდებოდა კონკურენტული გარემო ხე-ტყის დამამზადებელ კერძო სუბიექტებსა და სახელმწიფო სააქციო საზოგადოებას შორის, სახელმწიფო ტყის ფონდის რა ნაწილი გადაეცემოდა სააქციო საზოგადოებას და სხვ. ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაზე მუშაობა კი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც რეფორმის ეს კონცეფცია მთავრობის სხდომაზე გავიდა და მოწონებულ იქნა.

2005 წელს დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცვლილების შემდეგ, კიდევ ერთხელ შეიცვალა რეფორმის მოდელი. რეფორმის ახალი კონცეფციის დოკუმენტი - „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია სახელმწიფო ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით", გამოქვეყნდა 2006 წლის დასაწყისში. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების შექმნის იდეა უარყოფილ იქნა. ტყითსარგებლობის ძირითად ფორმად კვლავ მიჩნეული იქნა გრძელვადიანი იჯარა. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოს განზრახული აქვს ტყეების მაქსიმალური რაოდენობა იჯარის ფორმით გადასცეს კერძო სექტორს. იჯარა მომავალში უნდა შეცვლილიყო კერძო საკუთრებით. დოკუმენტში რეფორმის სამაგალითო ქვეყნებად დასახელებული იყო აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნები, რუსეთი და კანადა.

ამ კონცეფციას უამრავი ხარვეზი ჰქონდა, რის გამოც დაიმსახურა გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა და ექსპერტების კრიტიკა. კონცეფციაში არ იყო გააზრებული, ვინ მართავდა ტყეებს, რომელთა იჯარით გაცემაც ვერ მოხერხდებოდა, როგორ უნდა გატარებული კონსერვაციული ღონისძიებები, მოსახლეობის პირადი მოხმარების მიზნით მერქნით დაკმაყოფილება და სხვ. წინა რეფორმის კონცეფციასთან იყო არსებითი განსხვავება: აღარ შეიქმნებოდა სახელმწიფო კომერციული სტრუქტურა, რადგან ის მოიაზრებოდა, როგორც ახალი კორუფციის წყარო და პოტენციური მონოპოლისტი. ამ დოკუმენტში ბევრი საინტერესო და საყურადღებო თემა განიხილებოდა, მაგრამ დაგეგმილი ქმედებები არ იყო პრობლემის განხილვისა და ანალიზის შედეგების ადეკვატური. მაგ.: დოკუმენტი გულისხმობდა საქართველოს ტყეების დაყოფას/კატეგორიზაციას ევროპის სატყეო სექტორთან დაკავშირებული მინისტრთა კონფენციის (MCPFE) მიერ შემოთავაზებული სქემის (MCPFE კლასების) მიხედვით, რაც მისასალმებელია; მაგრამ, ამავდროულად, MCPFE ვენის რეზოლუციით შემოთავაზებული კლასებად ტყეების დაყოფა გაიგივებული იყო საკუთრების ფორმებთან და დასაშვებად იყო მიჩნეული დაცული ტერიტორიების კერძო საკუთრებაში გადაცემა; დოკუმენტში აღნიშნული იყო: „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკმარისი ინფორმაცია უნდა გააჩნდეს ტერიტორიის თაობაზე იმისთვის, რომ ფასები, შეზღუდვები და ვალდებულებები განსაზღვროს". „ ... სასურველია კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავად ჩაატაროს ინვენტარიზაცია. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გაწეულ დანახარჯებს ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებით დაწესებული გადასახადიდან ამოიღებს"; ყოველივე ამას მოსდევდა პარადოქსული დასკვნა: „გადასაცემად დანიშნული ტერიტორიის დეტალური ინვენტარიზაციის ჩატარება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მხრიდან საჭირო არაა". დოკუმენტს თან ერთვოდა სავსებით არარეალური მოქმედებათა გეგმა. ამ გეგმიდან ნათლად ჩანდა, თუ რას აპირებდა სამინისტრო - რაც შეიძლება სწრაფად კერძო სექტორისათვის ტყეების მართვის გადაცემის პროცესის დაწყებას[15], სხვა დანარჩენი კი უბრალოდ იმისთვის ეწერა, რომ გარკვეული ფონი შექმნილიყო საზოგადოებისა და დონორებისათვის. აღნიშნული რეფორმის კონცეფცია, სისუსტისა და მწვავე კრიტიკის გამო უარყოფილ იქნა, მაგრამ როგორც მოვლენებმა გვიჩვენა, ეს უარყოფა დროებითი იყო, ხოლო ამ დოკუმენტში გაკეთებული ანალიზი სულ სხვა მიმართულებით/მიზნით იქნა გამოყენებული.

ამ კონცეფციის გამოქვეყნების შემდეგ, დონორი ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად, სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ტყის პოლიტიკის შემუშავებაზე FAO-ს ზემოხსენებული გრანტის ფარგლებში[16] (ამ დრომზე გრანტით განსაზღვრული სამუშაოები შეწყვეტილი იყო). 2006 წლის ზაფხულის დასაწყისში სამინისტროს მიერ შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა "საქართველოს სატყეო

[15] პირველად ამის შესახებ სამინისტრომ საზოგადოების წინაშე განაცხადა 2005 წლის 23 დეკემბერს მწვანე ალტერნატივას მიერ გამართულ სემინარზე.

[16] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2004 წლის იანვარში საქართველოსა და FAO-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა 300 ათასი აშშ დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფას საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისათვის.

პოლიტიკის კონცეფცია.” დონორებთან შეთანხმების მიხედვით, ამ კონცეფციის დამტკიცების შემდგომ და მის საფუძველზე უნდა შექმნილიყო საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია. ჩატარდა კონცეფციის განხილვებიც და დაისახა საბოლოო დოკუმენტის შემუშავების ვადები და გეგმა.

მოკლე ხანში სამინისტრომ კვლავ გაუგებარი მიმართულებით წარმართა დონორებთან შეთანხმებული საქართველოს სატყეო პოლიტიკის შექმნის პროცესი: 2006 წლის შემოდგომაზე, კვლავ საკადრო ცვლილებების შედეგად, “საქართველოს სატყეო პოლიტიკის კონცეფცია” მოულოდნელად გადაკეთდა სულ სხვა შინაარსისა და ფორმის დოკუმენტად - „საქართველოს სატყეო პოლიტიკა და სტრატეგია” - ანუ პრეტენზია ჰქონდა დასრულებულ ვარიანტზე. ამ დოკუმენტის შემუშავებაც სრულიად გაუმჭვირვალედ, რამდენიმე ადამიანის კაბინეტური მოღვაწეობის შედეგად მოხდა. ეს იყო ორი დოკუმენტის: “საქართველოს სატყეო პოლიტიკის საფუძვლებისა” და სამინისტროს მიერ 2006 წლის დასაწყისში გავრცელებული “რეფორმის კონცეფციის” ნაზავი. ბუნებრივია, ის შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც ადრე გამოითქვა, აზრს კარგავდა. დოკუმენტში ერთმანეთში იყო არეული მიზანი, ამოცანა, პრიორიტეტული მიმართულება, პრინციპი და ქმედება; წარსული მენეჯმენტი, არსებული მდგომარეობის აღწერა და პოლიტიკით განსაზღვრული სამომავლო ქმედებები ასევე არ იყო გამიჯნული; განსახილველ დოკუმენტს ჰქონდა პრეტენზია “სტრატეგიაზეც”, მაგრამ არ ახლდა სამოქმედო გეგმა და განხორციელების ინდიკატორები. ცხადი იყო, რომ ეს დაკუმენტიც უვარგისი იყო სატყეო სექტორის მართვის სისტემაში ქმედითი ღონისძიებების განსახორციელებლად. ბუნებრივია, რომ ამ დოკუმენტსაც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არგუმენტირებული კრიტიკა მოჰყვა, რის შემდეგაც ის საერთოდ დავიწყებას მიეცა (იხ. www.forestgeo.net).

2006 წლის განმავლობაში ხშირად სამინისტროს ხელმძღვანელი პირები (მინისტრი, მისი სხვადასხვა მოადგილე, მდგრადი განვითარების და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელები) სატყეო სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ აკეთებდნენ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს. საკმაოდ კომიკურ სიტუაციაში ჩავარდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, სამინისტროს საპარლამენტო მდივანი ირაკლი ღვალაძე[17], რომელიც 2006 წლის 13 ივნისს პარლამენტის კომიტეტის ღია სხდომაზე, რომელიც სატყეო სექტორში არსებულ ვითარებას მიეძღვნა, სამინისტროს თვალსაზრისის წარსადგენად იყო მისული. მინისტრის მოადგილეს ერთი და იგივე დოკუმენტი ეგონა “საქართველოს სატყეო პოლიტიკა” და “სატყეო სექტორის რეფორმის კონცეფცია”. სამინისტროს მომზადებული სატყეო სექტორის რეფორმის კონცეფციის არსებითი კრიტიკის საპასუხოდ, მან ამ დოკუმენტს უწოდა "უცხოელი ექსპერტების ნამუშევარი, რომელიც სამინისტროს პოზიცია არ არის (!!!)". იგი არწმუნებდა პარლამენტის წევრებს, რომ კონცეფციის ახალი ვარიანტი უკვე შემუშავებულია და მალე წარედგინება საზოგადოებასა და მთავრობას, თუმცა ვერ შეძლო რაიმე კომპეტენტური განმარტება გაეკეთებინა ამ საკითხზე და დეპუტატებიც საბოლოოდ დააბნია.

2006 წლის სექტემბერში არასამთავრობოებო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ახლადდანიშნულმა მინისტრმა დ. ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ინვენტარიზაციის (ტყეთმოწყობის) მონაცემების განახლების გარეშე და სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებამდე არ მოხდებოდა სერიოზული ცვლილებები ტყითსარგებლობის პოლიტიკაში. მიუხედავად ამისა, 2006 წლის დასასრულს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოაცხადა ხე-ტყის დამზადების მიზნით ხანგრძლივვადიანი ტყითსარგებლობის აუქციონი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ამასთან დაკავშირებით, 2006 წლის 19 დეკემბერს რამდენიმე გარემოსდაცვითმა არასამთავრობო ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა მინისტრ დ. ტყეშელაშვილს მოეწყო ღია შეხვედრა, რომელიც მიეძღვნებოდა საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემებს. წერილში ხაზგასმული იყო მოთხოვნა, რომ ღია შეხვედრაზე სამინისტროს პოზიცია ერთობლივად მინისტრსა და სატყეო დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად ჭეიშვილს წარმოედგინათ. ხელმომწერი ორგანიზაციები იმედს გამოთქვამდნენ, რომ ღია დიალოგი უფრო ნათელს გახდიდა სატყეო სექტორში მიმდინარე თუ დაგეგმილ ცვლილებებს და ხელს შეუწყობდა საზოგადოებასა და სამინისტროს შორის ნდობისა და ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. ეს თხოვნა მინისტრმა უპასუხოდ დატოვა და შეხვედრაც არ შედგა.

ამ პერიოდის საქართველოს სატყეო სექტორი მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს: მართვის ერთეულს წარმოადგენდნენ საბჭოთა სისტემისათვის შექმნილი და შემდომში საბაზრო ეკონომიკაზე ხელოვნურად მისადაგებული სატყეო მეურნეობები, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ დიდ ცენტრალიზებულ დაფინანსებაზე; ბოლო წლებში, დარგის მწირი დაფინანსების გამო, პრაქტიკულად აღარ მიმდინარეობდა ტყის მავნებელ-დაავადებებისგან დაცვის, ხანძრების პრევენციის, ტყეთმოწყობის, ტყის აღდგენა-განახლებისა და სხვა ღონისძიებები; სატყეო სექტორში დასაქმებულ სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასი დაბალი იყო; ინვენტარიზაცია, მონიტორინგი და კადასტრი პრაქტიკულად არ მიმდინარეობდა, რის გამოც არსებული

[17] ი. ღვალაძე 2008 წელს გახდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

მერქნითი მარაგების, ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობისა და უკანონო ჭრის მასშტაბების შესახებ სრული სურათი არ არსებობდა; სატყეო მეურნეობებს საკუთარი შემოსავლები არ გააჩნდათ, ვინაიდან ჩამოერთვათ სამეურნეო ფუნქცია; არსებული მართვის მოდელი და ნაკლოვანი კანონმდებლობა კორუფციის შესაძლებლობებს იძლეოდა; ხე-ტყის ბიზნესს კვლავ აშკარად დიდი მოგება მოჰქონდა ცალკეული ჯგუფებისათვის, კონტროლის მექანიზმები და შესაძლებლობები, ჯერ კიდევ ძალზე სუსტი იყო. ასეთი მენეჯმენტი კი იწვევდა ერთის მხრივ სატყეო მეურნეობის, როგორც დარგის განადგურებას და მეორეს მხრივ, ტყის ეკოსისტემების დეგრადაციას. ამდენი პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ცალკეული დამსჯელი ღონისძიებებით შეუძლებელი იყო, სიტუაციის გამოსწორებისათვის აუცილებელი იყო სერიოზული რეფორმა.

2006 წლის ბოლოს კიდევ ერთხელ შეიცვალა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა. დეპარტამენტის თავმჯდომარედ დაინიშნა ზვიად ჭეიშვილი[18]. მანამდე ის მუშაობდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, მინისტრ კახა ბენდუქიძის თანაშემწედ, შემდეგ რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის აპარატში, 2005 წლიდან კი გარემოს დაცვისა და ბუნებრივ სამინისტროში გადავიდა. ამ სამინისტროში, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტამდე, ის ჯერ ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, შემდეგ - მდგრადი განვითარების დეპარტამენტს ხელმძღვანელოდა. მიუხედავად იმისა, რა თანამდებობას იკავებდა, ის წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად გადაწყვეტილების მიმღებს სამინისტროში. უფრო ზუსტად, ის იყო კახა ბენდუქიძის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების დამნერგავი ამ სამინისტროში, ანუ შეიძლება ითქვას, ამ პიროვნებაზე უფრო მეტი იყო დამოკიდებული, ვიდრე იმ პერიოდში მინისტრის თანამდებობაზე მყოფ მორიგ ადამიანზე[19]. 2005 წლიდან სატყეო სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და რეფორმის კონცეფციის შემუშავებაც მის სახელს უკავშირდება. ზვიად ჭეიშვილის სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნიდან დაიწყო სატყეო სექტორის „რეფორმის ახალი ტალღა“. რეფორმის იდეა შემდეგში მდგომარეოდა: სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა გათავისუფლებულიყო ტყეების მართვის ვალდებულებისაგან და შესაბამისი ხარჯებისაგან. მას უნდა ჰქონოდა მხოლოდ ლიცენზიების გაყიდვისა და კონტროლის ფუნქციები; რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ტყეები უნდა გაცემულიყო ხანგრძლივვადიანი ლიცენზიებით; ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადა 20-დან 50 წლამდე უნდა გაზრდილიყო; გასულ წლებში სამინისტროს ბევრი პრობლემა გაუჩინა ადგილობრივი მოსახლეობის შეშით მომარაგებამ[20]. ამ პრობლემების მოსაგვარებლად გადაწყდა, რომ ტყეების ნაწილი გადასცემოდა ადგილობრივ თვითმმართველობებს და ამ ტყეების ხარჯზე მომხდარიყო მოსახლეობის ტყით მომარაგება. ამით, სამინისტრო, ერთის მხრივ, არასასურველი ხარჯებისან გათავისუფლდებოდა, ხოლო მეორეს მხრივ - საზრუნავი მოაკლდებოდა. ტყეების გარკვეული ნაწილი გადაეცემოდა საქართველოს საპატრიარქოს.

ამ „რეფორმის“ ავტორთა წარმოდგენით, ლიცენზირებულ, საპატრიარქოს და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში (რაც, მათი წარმოდგენით, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ტყეების უმეტესი ნაწილი იქნებოდა) აღარ იქნებდა საჭირო სახელმწიფოს მიერ დაცვითი და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება (ტყეთმოწყობა, ტყეკაფების გამოყოფა, სანებართვო დოკუმენტაციის გაცემა, ხანძრების პრევენცია, გზების გაყვანა-რეაბილიტაცია, ტყის აღდგენა-განახლება და ა.შ.). სამინისტროს გამგებლობაში დარჩებოდა დაცვითი (წყალგამყოფების და სენსიტიური ეკოსისტემები) და დაცული (ლეგალურად მთავრობაში არსებული დაცული ტერიტორიები) ტყეები, რომლებიც მოგვიანებით დაექვემდებარებოდა პრივატიზაციას (პარალელურად მზადდებოდა მდინარეთა აუზების პრივატიზაციის პროექტი). შესაბამისად, არსებული რაოდენობით თანამშრომელთა ყოლაც არ იქნებოდა საჭირო და შესაძლებელი იქნებოდა მათი შემცირება. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ინსტიტუციური რეფორმაც ისე დაიწყო, თითქოს წინა ეტაპები უკვე გავლილი იყო და სატყეო დეპარტამენტს უკვე ჩამოშორებული ჰქონდა ტყეების უმეტესი ნაწილის მართვის ვალდებულება.

---

[18] პრემიერ-მინისტრის 2006 წლის 18 დეკემბრის №315 ბრძანება

[19] სამინისტროს პოზიციას დაგეგმილი ქმედებებთან, მათ შორის სატყეო სექტორთან დაკავშირებით, საჯაროდ ხშირად ჭეიშვილი წარადგენდა ხოლმე. არცთუ იშვიათად, თანამდებობრივად მასზე მაღლა მდგომი პირები სხვა პოზიციას აფიქსირებდნენ, მაგრამ შემდგომში მოვლენები ჭეიშვილის "სცენარით" ვითარდებოდა.

[20] ეს საკითხი აღწერილია მწვანე ალტერნატივას სატყეო სექტორის 2005-2006 წ. მონიტორინგის ანგარიშში „საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები“, 2006.

ტყეების მართვის სტრუქტურა (მთავრობის პროექტი, 2007 წ.)



2007 წლის (რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოაცხადა მორიგ „სატყეო რეფორმის წლად“) გაზაფხულზე ზემოთ აღწერილი თეორიული სქემის შესაბამისად დაიწყო სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის რეორგანიზაცია: დეპარტამენტს ეწოდა „სატყეო დეპარტამენტი“ (სამეურნეო ფუნქცია დეპარტამენტს ჩამოშორებული ჰქონდა 1999 წლიდან) და შეიცვალა მისი შიდა სტრუქტურა; ცენტრალური აპარატი შემცირდა 32 შტატამდე.

ამავე წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ ბრძანება: სატყეო მეურნეობები გაუქმდა და შეიქმნა რეგიონალური სატყეო სამმართველოები, რომლებიც აერთნებდნენ ყოფილი სატყეო მეურნეობების საზღვრებში შექმნილ სატყეო უბნებს (სულ–46). მთლიანობაში, დეპარტამენტის სისტემაში არსებული 1694 შტატი შემცირდა 682-მდე. ამ შემცირების შედეგად მომსახურეთა ხელფასი საშუალოდ 2,4-ჯერ გაიზარდა. მეტყევის (რეინჯერის) ხელფასმა შეადგინა 400 ლარი. რეგიონალური სატყეო სამმართველოების უფროსები კონკურსის გარეშე დაინიშნენ, ხოლო სატყეო უბნის უფროსები, მეტყევეები და სხვა მოხელეები დაინიშნენ დროებით მოვალეობის შემსრულებლებად და გამოცხადდა კონკურსი ამ თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, სატყეო უბნის უფროსებისთვის აუცილებელი იყო უმაღლესი განათლება (ნებისმიერი სპეციალობით), ხოლო სასურველი - მუშაობის 2 წლის გამოცდილება (მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე). ტყის მცველის (რეინჯერის) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტებს მოეთხოვებოდათ ფიზიკური მომზადების ტესტების ჩაბარება; სატყეო და გარემოსდაცვითი საკითხების ცოდნა და გამოცდილება ასევე არ იყო აუცილებელი ამ თანამდებობის დაკავებისათვის; საკმარის „კვალიფიკაციასა და გამოცდილებას“ წარმოადგენდა საშუალო სკოლის ატესტატის ქონა. მთავარი იყო, რომ კანდიდატი არ ყოფილიყო 41 წელზე მეტი ხნის და მოეხერხებინა მძლეოსნობის ნორმატივის ჩაბარება. ხე-მცენარეების სახეობების გარჩევის უნარის ქონა (საუბარი აღარ არის რუკის წაკითხვაზე, ან სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ცოდნაზე) რეფორმის მესვეურებმა არ მიიჩნიეს საჭიროდ (ალბათ იმიტომ, რომ თავადაც ვერ არჩევდნენ მცენარეთა სახეობებს, ვერ ხედავდნენ ასეთი ცოდნის საჭიროებას - მინისტრს, მის მოადგილეებს, სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს - არცერთ მათგანს არც განათლება და არც სამუშაო გამოცდილება არ ქონდათ სატყეო და გარემოს დაცვის საკითხებში).

იმის გამო, რომ სატყეო სექტორი ითვლებოდა (არც თუ უსაფუძვლოდ) ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ დარგად, მეტყევის პროფესია გაიგივებული იქნა კანონის დამრღვევთან და მექრთამესთან. ამის გამო სისტემიდან დაითხოვეს სატყეო განათლების მქონე პირების უმეტესობა და მათი თანამდებობები დაიკავეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა: შეიძლება გენახათ ქიმიკოსი, ფიზკულტურის მასწავლებელი, შემდუღებელი, ტრაქტორისტი და სხვ. ყველაზე საინტერესო იყო, რომ სატყეო სექტორში დასაქმდნენ ყოფილი ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები (პროკურატურა, შსს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი), რომლებიც კორუფციასთან ბრძოლის ეგიდით წინა წლებში ჩატარებული საკადრო წმენდის შედეგად დათხოვნილი იყვნენ სამსახურებიდან. ე.წ. „რეფორმა“ რამდენიმე მიმართულებით და საკმაოდ სწაფი ტემპით უნდა განვითარებულიყო[21]:

[21] სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზ. ჭეიშვილის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის მიხედვით

1. ტყეების ფუნქციური დიფერეციაცია - უნდა დასრულებულიყო თებერვლის ბოლომდე (ანუ დაახლოებით ერთ თვეში);
2. საკანონმდებლო უზრუნველყოფა - რეფორმის იდეის ავტორთა გათვლებით, ახალი ტყის კოდექსის პროექტი 2007 წლის აპრილის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო. კანონპროექტის უწყებებთან შეთანხმებისა და საჯარო განხილვების დასრულებას ივნისის ბოლომდე გეგმავდნენ, პარლამენტში წარდგენას - სექტემბრის ბოლომდე, ხოლო წლის ბოლომდე - მიღებას;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რაც გულიხმობდა შემდეგ ქმედებებს:
   - 10 რეგიონალური სატყეოს ოფისის რემონტი და აღჭურვა - 344 000 აშშ დოლარი (მსოფლიო ბანკის „სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის“ დაფინანსებით) – 1 თებერვლიდან 1 სექტემბრამდე;
   - ერთიანი (სატყეო დეპარტამენტი, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი, გდი) საკომუნიკაციო ქსელის შექმნა ივნისის ბოლომდე - 410 000 აშშ დოლარი (მსოფლიო ბანკის „სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის“ დაფინანსებით);
   - ცხენების შესყიდვა მეტყევეებისათვის, 450 ერთეული - 405 000 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი), 2007 წ. აპრილის ბოლომდე;
   - 1000 ერთეული უნიფორმა (მსოფლიო ბანკის „სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის“ დაფინანსებით) - 250 000 აშშ დოლარი, აპრილის ბოლომდე;
   - 50 ერთეული ავტომანქანა „ლუაზი“ უბნის უფროსებისათვის (მსოფლიო ბანკის „სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის“ დაფინანსებით) - 225 000 აშშ დოლარი, აპრილის ბოლომდე;
   - 50 ერთეული GPS უბნის უფროსებისათვის (მსოფლიო ბანკის „სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის“ დაფინანსებით) - 25 000 აშშ დოლარი, მარტის ბოლომდე;
   - 46 ერთეული ფინური კოტეჯის აშენება უბნის უფროსებისათვის (მსოფლიო ბანკის „სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის“ დაფინანსებით) - დაახლოებით 345 000 აშშ დოლარი.

ეს გეგმა ნათლად მიუთითებს, თუ რამდენად ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდათ რეფორმის მესვეურებს იმ საკითხებზე, რისი საფუძვლიანი ცონდაც სამსახურებრივად ევალებოდათ: მსოფლიო ბანკის ინფორმირება, იმის თაობაზე, რომ რეფორმისათვის საჭირო შესყიდვების განხორციელება მათი თანხებით იგეგმებოდა, მოხდა არა რეფორმის დაწყებამდე, არამედ მხოლოდ 2007 წლის აპრილში. მსოფლიო ბანკის დამტკიცებული პროექტის ცვლილებას მხოლოდ შეტყობინება არ ჰყოფნის და რთული და მწყობრი პროცედურა აქვს; „რეფორმატორებმა“ ასევე დიდი ხნის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ავტომაქანა „ლუაზი“ აღარ იწარმოება. ზემოთ მოყვანილი გეგმიდან, საბოლოო ჯამში, არ განხორციელებულა ის ქმედებებიც, რომლებიც "რეფორმატორთაგან" ინტელექტუალურ სამუშაოს მოითხოვდნენ – ტყეების ფუნქციური დიფერენციაცია და ახალი ტყის კოდექსის მომზადება.

ექსპერტები, არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები საჯაროდ აფიქსირებდნენ მკვეთრად უარყოფით პოზიციას მთავრობის კურსის მიმართ[22]. ილია ოსეფაშვილი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი (WWF Caucasus Program Office): "ხელისუფლების განცხადებით, თებერვლისთვის საქართველოს ტყეები ფუნქციურად დაცულ, დაცვით და ეკონომიკურ ტყეებად დაიყოფა. პირველ რიგში, სრულიად გაუგებარია და ყოვლად გაუმართლებელია ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება მაშინ, როდესაც ტყეების ინვენტარიზაციის დასრულებამდე წელიწადზე მეტი დრო რჩება. ასევე სრულიად მიუღებელია "ეკონომიკური ტყეების" ტერმინის გამოყენება საქართველოსთან მიმართებაში, რადგანაც ქვეყნის ტყეების 97%-ზე მეტი მთის ფერდობებზეა განლაგებული. ამ ტყეებს ნიადაგდაცვითი და წყალშემნახველი ფუნქციები აკისრია და მათი აბსოლუტური უმრავლესობა დაცულ ან დაცვით კატეგორიაში ექცევა. მრავალფუნქციური დანიშნულების ტყეებად მხოლოდ მცირე ნაწილი, ძირითადად, ყოფილი საექსპლუატაციო ფონდი შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, მერქნის დამზადებით არც მათი ფუნქცია ამოიწურება". ხელისუფლებაში სხვაგვარად ფიქრობდნენ: ტყეების 30 პროცენტი სწორედ ეკონომიკურ ტყეებად და მომდევნო წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროდ მოიაზრებოდა. (წყარო: გაზეთი "რეზონანსი", 01.04.07, N83).

არასამთავრობო ორგანიზაციების ლობირებისა და დონორების ზეწოლის შედეგად სატყეო პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა მაინც განახლდა. მსოფლიო ბანკის მისიამ წერილობით შეახსენა მთავრობას ვალდებულება, შეემუშავებინა საქართველოს სატყეო პოლიტიკა და ახალი ტყის კოდექსი. მხოლოდ ამის შემდეგ, 2007 წლის ზაფხულში დაიწყო სამინისტრომ სატყეო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის პროექტის განხილვა.

---

[22] მაგ. ამ თემაზე დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის პროფ. დავით თარხნიშვილის წერილი გაზეთ „24 საათში“; სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მეტყევეობის, ლანდშაფტური დაგეგმარებისა და სატყეო მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსის, საქართველოს მეტყევეთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, საქართველოს დამსახურებული მეტყევის პროფესორ თეიმურაზ კანდელაკის წერილები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

ამჯერად წარმოდგენილ დოკუმენტს ეწოდებოდა “საქართველოს სატყეო პოლიტიკა”. ამ დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში ტყეებზე საკუთრების ფორმები უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგი სახით:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სატყეო ფონდი, რომლის მართვაზე პასუხისმგებელი იქნებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (სატყეო და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტების მეშვეობით). სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიების ნაწილი აუქციონის წესით ხანგრძლივვადიან სარგებლობაში გადაეცემოდა კერძო სამართლის იურიდიულ პირებს: ხე-ტყის დამზადების, სამონადირეო მეურნეობების, ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და სხვა მიზნებისათვის;
2. ავტონომიური რესპუბლიკების მართვაში არსებული სატყეო ფონდის ტერიტორიები;
3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადგილობრივი მნიშვნელობის სატყეო ფონდი;
4. საპატრიარქოს მართვაში არსებული სატყეო ფონდი.

აქცენტი უნდა გადასულიყო ხანგრძლივვადიან ტყითსარგებლობაზე ლიცენზიების ფორმით (განსხვავებით წინა ვარიანტებისგან, სადაც იჯარა იგულისხმებოდა). სატყეო ფონდის ტერიტორიების საკუთრებისა და მართვის ფორმების მიუხედავად, სატყეო პოლიტიკის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევდა და ტყით სარგებლობის კონტროლს განახორციელებდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. საქართველოში ტყის მდგრადი მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისათვის, პრიორიტეტულ ორიენტირად აღებული იქნა სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) სახელმძღვანელო პრინციპების დამკვიდრება.

სატყეო დეპარტამენტმა მოაწყო ამ დოკუმენტის მხოლოდ ერთი საჯარო განხილვა. ბევრი შენიშვნა და წინადადება გათვალისწინებული იქნა პროექტის დახვეწისას. თუმცა, სამთავრობო უწყებებში შესათანხმელად დოკუმენტი ისე დაიგზავნა, რომ ბოლო ვერსია საზოგადოებისთვის არ გახდა ხელმისაწვდომი. ამრიგად, დოკუმენტის მიღების დემოკრატიულობის ხარისხი, ასევე ის, რომ პოლიტიკის მისადაგება ხდება უკვე გადაწყვეტილ რეფორმის კურსთან, კვლავ უცვლელი დარჩა.

2007 წლის სექტემბერში გაკეთებულ ყოველწლიურ მოხსენებაში პრემიერ-მინიტრმა ზ. ნოღაიდელმა განაცხდა, რომ საქართველოს მთავრობამ მოიწონა საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი და უახლოეს ხანებში შეიტანს პარლამენტში დასამტკიცებლად. თუმცა პარლამენტში დოკუმენტი არ შესულა და არც მთავრობას გამოუცია რაიმე აქტი საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის მოწონებასთან დაკავშირებით. ამ სახით დოკუმენტი ვერც დამტკიცდებოდა, ვინაიდან გარკვეულად ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მართვის შემოთავაზებული მექანიზმი ეწინააღმდეგებოდა “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონს. ამ კანონის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსების მართვა განეკუთვნება თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. თვითმმართველი ერთეული ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ადგილობრივი ტყეების მართვაზე შინაარსობრივი კონტროლი აწარმოოს სახელმწიფო ორგანომ - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ჩაიბაროს ანგარიშები, დაამტკიცოს მართვის გეგმები და ა.შ. - როგორც ეს მოცემული იყო პოლიტიკის დოკუმენტში.

ახალ ტყის კოდექსზე მუშაობა 2007 წლის ზაფხულში დაიწყო, მისი პროექტი განსახილველად წლის ბოლოს გამოქვეყნდა. განხილვები 2008 წლის იანვარში შედგა. უფრო ზუსტად, სამინისტრომ მხოლოდ ერთი განხილვა მოაწყო, სხვა განხილვები კი არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებით ჩატარდა. კანონპროექტში რამდენიმე ადგილას ნათქვამი იყო, რომ საქართველოს სატყეო კანონმდებლობა ეფუძნება "საქართველოს სატყეო პოლიტიკას", ანუ დოკუმენტს, რომელიც კანონპროექტის შემუშავების მომენტში არ იყო მიღებული. ამის გარეშე კი, ახალი კოდექსის პროექტის სრულყოფილი განხილვა შეუძლებელი და არანაყოფიერი იყო. კოდექსის პროექტში არ იყო ჩადებული მთავრობის მიერ დეკლარირებული „სატყეო სამეურვეო საბჭოს” (FSC) სტანდარტების დამკვიდრების მექანიზმები (საჭირო იყო FSC-ის პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისად საქართველოს პირობებისათვის გამოსადეგი ინდიკატორებისა შემუშავება და კოდექსის შესაბამის მუხლებში თემატურად ინტეგრირება); არ იყო გათვალისწინებული სატყეო საკითხებთან დაკავშირებული მინისტრთა კონფერენციის (MCPFE) დოკუმენტების რეკომენდაციები; ზოგიერთი აქტუალური საკითხი საერთოდ არ იყო ნახსენები ტყის კოდექსში, მაგალითად, ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის მნიშვნელოვანი ფაქტორები; არ იყო არანაირი მექანიზმები შემოთავაზებული ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (ეს ის საკითხებია, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობაც გვერდს უვლის); სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებდა სალიცენზიო პირობები; არ იყო ასახული ზოგადი მიმართებები ტყის ჭრის წესებთან დაკავშირებით; საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხები კიდევ უფრო უარესი სახით იყო წარმოდგენილი, ვიდრე მოქმედ ტყის კოდექსში. 2008 წლის იანვრის შემდეგ ტყის კოდექსზე მუშაობაც შეწყდა და ეროვნული სატყეო პოლიტიკის პროექტიც დავიწყებას მიეცა.

III. სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის მცდელობა

ისტორიულად საქართველოში ტყე ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კერძო მფლობელებს, ეკლესიებს, სოფლებს და თემებს (ოჯახებსა და გვარებს); მთიან რეგიონებში, გარკვეულწილად, ეს ტრადიციები დღემდე არის შემორჩენილი. საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ტყე ჯერ სახელმწიფო, მოგვიანებით კი – საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. ტყეები დაიყო ორ ჯგუფად: სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები (რომელშიც შედიოდა სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ტყეები, ქალაქის ტყეები, სხვადასხვა ორგანიზაციაზე მიჩენილი ტყეები და ნაკრძალები) და საკოლმეურნეო ტყეები (საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეუნრეობების კუთვნილი ტყეები).

საკოლმეურნეო ტყეებში ტყითსარგებლობას ახორციელებდნენ კოლმეურნეობები და მათი წევრები – კოლმეურნეები. საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის ტყითსარგებლობის წარმოება უფასო იყო, ხოლო კოლმეურნეობის წევრები ტყითსარგებლობას ახორციელებდნენ შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ. საკოლმეურნეო ტყეებში მერქანსა და სხვა პროდუქციაზე კოლმეურნეობათა საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ კოლმეურნეობას შეეძლო ტყითსარგებლობის უფლება მიეცა სხვა ტყითმოსარგებლეებისათვის. დამზადებული პროდუქციის საფასურის გადახდა სახელმწიფო ტყეებისათვის დადგენილი ნიხრების მიხედვით წარმოებდა. კანონის მიხედვით, მიღებული შემოსავალი სატყეო მეურნეობის გაძღოლას ხმარდებოდა. კოლმეურნეობის წევრთა ან რწმუნებულთა კრების თანხმობით შესაძლებელი იყო საკოლმეურნეო ტყის ნაწილობრივ ან მთლიანად სახელმწიფოსათვის გადაცემა.

საბჭოთა კავშირის დაშლას კოლმეურნეობების დაშლაც მოჰყვა. გასული საუკუნის 90–იან წლებში, კოლმეურნეობების ქონება, მათი წევრთა კრებების გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაეცემოდა სახელმწიფოს. ასევე მოხდა ტყეების ერთი ნაწილის სახელმწიფოსთვის ფორმალური გადაცემაც, თუმცა რეალურად გადაბარება (მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე) არ მომხდარა. ზოგ ადგილებში კი ასეთი ფორმალური გადაცემაც კი არ განხორციელებულა. შედეგად, უპატრონოდ დარჩენილი ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, უმოწყალოდ ნადგურდებოდა, რასაც ქვეყანაში შექმნილი სამოქალაქო ომით გამოწვეული განუკითხაობა და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი უწყობდა ხელს.

1995 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება[23], რომლითაც განისაზღვრა, რომ საქართველოს ტყეებში შექმნილი უმძიმესი ვითარების გამოსასწორებლად საჭირო იყო ერთიანი სახელმწიფო სატყეო სამსახურის ჩამოყალიბება, რისთვისაც ყოფილი საკოლმეურნეო და მუნიციპალური ტყეები, ასევე, მის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, ორი თვის ვადაში უნდა გადასცემოდა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს. ამ დადგენილების სრულად შესრულება ვერ მოხერხდა და ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაცემა არ განხორციელდა.

საქართველოს დღევანდელ კანონმდებლობაში ჩადებულია სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის საფუძვლები, კერძოდ, „საქართველოს ტყის კოდექსში“ (1999) და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (2005). მაგრამ ეს კანონები მხოლოდ ზოგად და ბუნდოვან განმარტებებს იძლევა ამ საკითხზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა“. ტყეებთან დაკავშირებით სხვა ჩანაწერი არ ამ კანონში არ არსებობს.

საქართველოს ტყის კოდექსის მე–5 მუხლში „ადგილობრივი ტყის ფონდი“ განმარტებულია შემდეგნაირად: „სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნაწილი, რომელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები“. კოდექსის მე–13 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

„ა) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

გ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში მონაწილეობა და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

დ) ადგილობრივი ტყის ფონდით სარგებლობის მიზნით ტყითსარგებლობის ბილეთის გაცემა;

ე) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის ტყითსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ წინადადებების წარდგენა;

---

[23] საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 7 მარტის № 671-11ს დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკის საკოლმეურნეებათშორისო და მუნიციპალური ტყეების შესახებ”;

ვ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;
ზ) მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების უზრუნველყოფა;
თ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებების წარდგენა;
ი) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება".

კოდექსის მე–14 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ტყის ფონდი, ინსტიტუციური მართვის მიხედვით, იყოფა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად და სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდად, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ტყის ფონდსაც (თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით სწორი არ არის ადგილორივი ტყის ფონდის სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილად მოხსენიება). კოდექსის მე–16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ადგილობრივ ტყის ფონდს, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით, მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

სხვა უფლება-ვალდებულებები ადგილობრივი ტყეების მართვასთან დაკავშირებით განსაზღვრულია მხოლოდ ტყის კოდექსის გარდამავალ დებულებებში (მუხლი 115), რომლის თანახმად, აკრძალულია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებზე კერძო საკუთრების უფლების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტის გაცემა; ყოფილ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მოვლისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელება ევალება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მათ მართვას (შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები). ამავე კოდექსის მიხედვით, უნდა შემუშავებულიყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება "ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების, სახელმწიფო ტყის ფონდისგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესის შესახებ". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდისათვის არ იყო სრულად განხორციელებული ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების სახელმწიფოზე გადაცემა. ამის გამო, კოდექსის თანახმად, ასევე უნდა შემუშავებულიყო პრეზიდენტის სხვა ბრძანებულება ("ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესის და ვადების შესახებ"), რომლითაც დადგინდებოდა ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესი და ვადები[24]. გამოდიოდა, რომ ერთი და იმავე კანონის მიხედვით, ერთი და იგივე ტყის ფართობები ჯერ გადაეცემოდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს, შემდეგ კი მათ ჩამოერთმეოდათ და უკან გადაეცემოდათ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს. უფრო მეტიც, ამ დებულების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა უნდა ჩაატარონ ორგანიზაციული სამუშაოები ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების სახელმწიფო ორგანოებზე გადასაცემა [25].

ამრიგად, ასეთი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა და ადგილობრივ თვითმმართველოვბების საკუთრებაში გადაცემა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო.

ტყის კოდექსს ისედაც საკმაოდ ბევრი ნაკლი გააჩნდა, მათ შორის კოლიზიები როგორც სხვა კანონებთან და გარემოსდაცვით კონვენციებთან, ისე ამ კოდექსის სხვადასხვა დებულებას შორის. კოდექსის მიღებიდან თითქმის ათი წელი გავიდა და ამ პერიოდში ეს შეუსაბამობები კიდევ უფრო გაღრმავდა. შეიცვალა თვითმმართველობის სისტემა, საერთოდ გაუქმდა ადგილობრივი მმართველობა; „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონმა და მისგან გამომდინარე აქტებმა შეცვალა ტყითსარგებლობის წესები. ძირფესვიანად შეიცვალა სატყეო სექტორის ინსტიტუციური მოწყობაც. ამგვარი არასრულყოფილი საკანონმებლო ბაზის ფონზე სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის კუთხით პრაქტიკული ღონისძიებები 2007 წლამდე არ იყო გატარებული და საქართველოს ტყეები კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს მთავრობამ 2007 წლის დასაწყისში გააკეთა გაცხადება (იხ. პირველი თავი, თარიღი–16.02.07).

რატომ დადგა 2007 წელს მთავრობის დღის წესრიგში სატყეო სექტორის დეცენტრალიზაცია? როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გასულ წლებში სერიოზული პრობლემები შეუქმნა ადგილობრივი მოსახლეობის მერქნით უზრუნველყოფამ, მთავრობას გზადაგზა მოუხდა არაერთი ნაჩქარევი შესწორების შეტანა კანონმდებლობაში. ამ "გამოცდილებაზე" დაყრდნობით, 2006 წლის

[24] დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2000 წ. 12 სექტემბერის №404 ბრძანებულებით.

[25] დებულებით განისაზღვრა, რომ გადასაცემი ტყის ფონდის (ანუ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის) მიწების გამიჯვნა ხდება "საქართველოს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" 12.09.2000. №403 პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი წესით. ეს ბრძანებულება კი თავისი შინაარსით ტყის კოდექსს არ შეესაბამება.

ბოლოს – 2007 წლის დასაწყისში დაიწყო ე.წ. "სატყეო რეფორმა". ამ "რეფორმის" ერთ–ერთი მიმართულება იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მერქნული რესურსებით მომარაგება ადგილობრივი თვითმმართველობის საზრუნავი გახდებოდა, რისთვისაც მათ ტყის ფონდის გარკვეული ნაწილი გადაეცემოდათ[26]. ტყეების უმეტესი ნაწილი მოკლე ხანში სარგებლობისათვის გადეცემოდა კერძო პირებს (ხანგრძლივვადიანი ლიცენზიით). მაშინდელი გადაწყვეტილების მიმღებებთა აზრით, სახელმწიფო ამის შედეგად მოიშორებდა ტყეების მოვლის, დაცვისა და აღრიცხვის ჩატარების პასუხისმგებლობას და დარჩებოდა მხოლოდ ლიცენზირებისა და კონტროლის ფუნქცია (მიუხედავად ტყის მმართველი სუბიექტისა). ამ ფუნქციებზე მოსარგებად დაიწყო სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის რეორგანიზაცია და სტრუქტურული რეფორმა. ამგვარ "რეფორმას" ტრადიციულად არ უძღვოდა წინ რაიმე სტრატეგიული შეფასება ან პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის მიღება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედი საკანონმდებლო ბაზა მეტად არასრულყოფილი და წინააღმდეგობრივი იყო იმისათვის, რომ რეალურად მომხდარიყო სატყეო სექტორის დეცენტრალიზაცია. ამ "ხარვეზის გამოსასწორებლად", ანუ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მათი გადაცემისათვის 2007 წლის 23 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო №105 დადგენილება "ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე", თუმცა ეს დადგენილებაც ვერ ქმნის ამ მეტად რთული პროცესის განხორციელებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზას.

აღნიშნულმა დებულებამ არ განსაზღვრა, რომ გადასაცემ ტყის ფართობებში სავალდებულოა გადაცემის პროცესის დაწყებამდე განხორციელდეს ტყეთმოწყობის ჩატარება. დებულება ასევე ვერ უზრუნველყოფს რეალური თვითმმართველობის განხორციელებას, ვინაიდან პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თვითმმართველობებს ტყის ფონდი საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ასეთი ფორმულირება მუნიციპალიტეტებისათვის ინვესტორებზე ლიცენზიების გაყიდვის ფუნქციის მინიჭებასა და ამ გზით შემოსავლის მიღებას გამორიცხავს. გარდა ამისა, დებულება ძალზე ზოგადია და მასში ბევრი რამ არის დაუზუსტებელი. დებულების მიზნად დასახელებულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა დადგენა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრის სფეროში. თუმცა, ამ დებულებაში აღწერილია მხოლოდ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების როლი ადგილობრივი ტყის ფონდის განსაზღვრისას და ერთი სიტყვაც კი არ არის ადგილობრივი თვიმმართველობების უფლებამოსილებების შესახებ. არც ერთი სხვა ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული ადგილობრივი თვიმმართველობების უფლებამოსილებანი ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში[27]. დებულებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ტყის ფონდისათვის გადასაცემი ფართობების შერჩევის მიზნით შესასრულებელ სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. არ არის დაკონკრეტებული, რას გულისხმობს ეს სამუშაოები. ასევე, დებულების თანახმად, "საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია განიხილავს თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ფართობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს დამატებით დაზუსტებულ ინფორმაციას". გაურკვეველია, გულისხმობს თუ არა ეს "ინფორმაცია" ტყის მერქნული მარაგებისა და მერქანზე მოთხოვნლების შედარებას. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის მიწების თვითმმართველი ერთეულებისათვის ჩაბარება უნდა განხორციელდეს ერთობლივად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. არ არის განსაზღვრული, რა მონაცემები უნდა იყოს აღნიშნული ამ მიღება-ჩაბარების აქტში და როგორ მტიცდება მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა. დებულებაში აღნიშნულია: „მიღება-ჩაბარების აქტში სხვა მონაცემებთან ერთად აღინიშნება საორიენტაციო საზღვრის სიგრძე". გაუგებარია, რას გულისხმობს "სხვა მონაცემები" და რას იძლევა საზღვრის სიგრძის აღნიშვნა, თანაც სავარაუდო სიგრძის.

მთავრობის აღნიშნული დადგენილებით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა 2007 წლის 30 ოქტომბრამდე ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადაცემულ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყეკაფების გამოყოფის სამუშაოთა განხორციელება; ანუ იგულისხმებოდა, რომ ამ პერიოდისათვის გადაცემის პროცესი დასრულებული უნდა ყოფილიყო.

---

[26] ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადასაცემად განისაზღვრა დაახლოებით 800 ათასი ჰა ტყის ფართობი, რომელიც შედგება ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისგან (დაახლოებით 500 ათასი ჰა) და მათი მიმდებარე სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიებისგან.

[27] სამართლებრივად, მთავრობის დადგენილებით არ შეიძლება განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებები. სწორი იქნებოდა, ამ დებულების ძალაში შესვლა მომხდარიყო პრეზიდენტის ბრძანებულებით და არა მთავრობის დადგენილებით.

მთავრობის გადაწყვეტილება, მოუმზადებლად და ნაჩქარევად გადაეცა ტყეები მუნიციპალიტეტებისთვის, თავად თვითმმართველობებისა და სახელმწიფო რწუნებულებისთვის – გუბერნატორებისთვისაც კი საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. ფაქტობრივი მდგომარეობა ასეთი იყო:

- ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების უმეტესი ნაწილი დეგრადირებული იყო; უმეტეს ნაწილებში მერქნული მარაგები მთლიანად განადგურებული იყო; ზოგ ადგილას კი ტყე პირწმინდად იყო გაჩეხილი და ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების ფართობებს მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად (სახნავ-სათესად, საძოვრად, სათიბად) იყენებდა;
- უკანონო ჭრების ფაქტების უმეტესობა არ იყო აღრიცხული;
- გადასაცემად განსაზღვრულ ტყეებში ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა) არ იყო ჩატარებული (განახლებული), ანუ არ იყო შეფასებული რა მერქნული მარაგები არსებობს ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში;
- არ არსებობდა მატერიალური და ტექნიკური ბაზა და მომზადებული კადრები (ადამიანური რესურსები) ადგილობრივ დონეზე სატყეო მეურნეობის საწარმოებლად;
- გაურკვეველი იყო, ვისი დაფინანსებით ჩატარდებოდა ტყეების მიღება-ჩაბარების პროცესი, სახელმწიფოს თუ თვითმმართველობის. ამ პროცესის ფორმა და პროცედურა არ იყო დადგენილი;
- ადგილობრივი ტყის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობების უფლება-ვალდებულებები არ იყო განსაზღვრული და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებებისგან გამიჯნული.

ამ პირობებში და ასეთ მოკლე დროში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მიღება-ჩაბარების განხორციელება. მძიმე ფონი შექმნა იმ გარემოებამ, რომ ბოლო პერიოდში სატყეო მეურნეობის ბევრი ყოფილი თანამშრომელი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში სამსახურეობრივი დანაშაულის გამო. როგორც ერთ-ერთმა რწმუნებულმა აღნიშნა, ასეთ პირობებში ტყეების გადაბარების შემთხვევაში ყოველ თვეში რომელიმე გამგებლის დაჭერა მოუხდებოდათ, ვინაიდან შეუძლებელი იქნებოდა დადგენა, უკანონო ჭრა რომელი მფლობელის დროს განხორციელდა. გასათვალისწინებელი იყო ფინანსური მომენტიც. უხეში გათვლებით, ტყის მართვის ადგილობრივი სამსახურების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის რეგიონის მასშტაბით საშუალოდ 200 000 ლარი იყო საჭირო წელიწადში. შუა საფინანსო წელში, როდესაც რაიონული ბიუჯეტები უკვე გაწერილი იყო, ასეთი თანხის დამატებით მოძიება თვითმმართველობებისთვის შეუძლებელი იყო.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, თვითმმართველობებმა უარი განაცხადეს აეღოთ ასეთი პასუხისმგებლობა და გადაებარებინათ სახელმწიფო ტყის ფონდის ნაწილი. მათ მოახერხეს ამ საკითხში საკუთარი ინტერესების დაცვა პრეზიდენტის რწმუნებულების-გუბერნატორების მეშვეობით, რის გამოც პროცესი ნაჩქარევად აღარ გაგრძელდა. ეს იყო ერთ-ერთი კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოახდინონ საკუთარი ინტერესების ლობირება მუნიციპალიტეტებმა. მათი განცხადებით, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფამდე აუცილებელად უნდა განხორციელებულიყო: ყოველი კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებათა შეფასება, მათ შორის, საშეშე და სამასალე რესურსის სავარაუდო მოცულობის დადგენა, რომელსაც ყოველწლიურად იყენებს მოსახლეობა; მერქნული მარაგების სავარაუდო ოდენობის, მერქნის ბუნებრივი წლიური შემატებისა და მოპოვებისათვის დასაშვები ოდენობების დადგენა (ანუ სრულფასოვანი ტყეთმოწყობის ჩატარება); ადგილობრივი ტყეების მართვისათვის საჭირო ფინანსური მექანიზმების დადგენა; ადგილობრივი თვითმმართველობების უფლება–მოვალეობებისა და ტყითსარგებლობის წესების დადგენა საკანონმდებლო დონეზე. ამ მიმართების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი ითამაშა მწვანე ალტერნატივას ლობირებამ და პროექტმა „ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციის პროცესისა და ადგილობრივი ტყეების მართვის მონიტორინგის საკითხებში“.

ხანგრძლივი ლობირების შედეგად საქართველოს მთავრობაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 2006 წელს არჩეულმა სატყეო რეფორმის კურსმა არ გაამართლა და არც ამ კურსის ერთ–ერთი მიმართულება – ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ტყის ფონდის ნაწილის ნაჩქარევად გადაცემა – იყო გამართლებული. 2008 წლის ბოლოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა სამინისტროს პოზიცია, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა საჭიროა, მაგრამ არა ნაჩქარევად, ვინაიდან მანამდე აუცილებელია ტყეების ინვენარიზაციის გაკეთება, თვითმმართველობების უფლებამოსილებების ზუსტი განსაზღვრა და ტყითსარგებლობის წესების ჩამოყალიბება. ამ განცხადებიით მან პრაქტიკულად გაიმეორა მწვანე ალტერნატივას რეკომენდაციები[28].

[28] განცხადება გაკეთდა 2008 წლის 23 დეკემბერს მწვანე ალტერნატივას პროექტის – „ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება სატყეო სექტორის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი ტყეების მართვის მონიტორინგის საკითხებში“ – ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე.

ამჟამად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ახორციელებს სათემო ტყეების საპილოტო პროექტს ხარაგაულის რაიონში, რომელიც უფრო ნათელს გახდის ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ტყეების გადაცემისას წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზებს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ისეთ პოლიტიკურ საკითხებს, როგორიცაა ქვეყნის მოწყობა და თვითმმართველობის განვითარება.

IV. ადგილობრივი მოსახლეობის ტყის რესურსებით უზრუნველყოფა

2007 წლის შემოდგომაზე მთელს საქართველოში მოსახლეობის შეშით მომარაგებასთან დაკავშირებით შეიქმნა მძიმე სიტუაცია. 14 ნოემბერს პრეზიდენტთან შეხვედისას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დავით ჩანტლაძემ აღიარა, რომ შეშით უზრუნველყოფილი იყო „მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი[29]“ (ანუ სოფლის მოსახლეობის თითქმის ნახევარი კარსმომდგარ ზამთარს უშეშოდ ხვდებოდა). რეალურად, ალბათ მოსახლეობის უფრო მცირე ნაწილს ჰქონდა ზამთრისთვის საკმარისი შეშა მომარაგებული[30]. ამგვარი კრიტიკული მდგომარეობა განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა:

- **ტყეკაფების დაგვიანებით გამოყოფა.** ტყეკაფების გამოყოფა, როგორც წესი, ივნისში მთავრდებოდა (თანაც, გამოიყოფოდა მომავალი წლის ტყეკაფები). 2007 წელს წელს კი ტყეკაფების გამოყოფაზე ზრუნვა სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მაისის შუა რიცხვებში დაიწყო (მანამდე დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ახალი თანამშრომლების მიღებითა და აუქციონებით იყო დაკავებული – იხ. თავი I). მას შემდეგ, რაც 20-წლიანი ლიცენზიები გაიყიდა, სატყეო დეპარტამენტმა მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგებაც გაიხსენა და 2007 წლის 15 მაისს გამოაცხადა ტენდერი სპეციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფის მიზნით, ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური დავალება არარეალური იყო - ტყეკაფების გამოყოფა უნდა დასრულებულიყო 2007 წლის 10 აგვისტომდე. ბუნებრივია, ტენდერი ჩაიშალა და მეორედ გამოცხადება გახდა საჭირო. ერთ კომლზე გასაცემი შეშის რაოდენობა და გაცემის პროცედურა მხოლოდ 10 ოქტომბერს დადგინდა (მთავრობის № 563 დადგენილებით). ტყეკაფების გამოყოფა გვიან შემოდგომაზე დამთავრდა. ზოგ რაიონში ტყეკაფები არასწორად გამოიყო და ადგილობრივმა სატყეო სამმართველომ არ შეითანხმა. ხშირ შემთხვევაში, ტყეკაფები გამოიყო ისეთ ადგილებში, სადაც არ იყო გაყვანილი სატყეო გზები. ამასობაში ზოგ რეგიონში უკვე ჩამოთოვა კიდევაც. ტყეკაფების დაგვიანებით გამოყოფის გამო, წვიმისა და თოვლის პირობებში, იმ ტყეებშიც კი ვეღარ ხდებოდა შეშის დამზადება და გამოტანა, სადაც სატყეო გზები არსებობდა.
- **შეშის კანონიერად მოპოვების მოუხერხებელი ლეგალური პროცედურა** - მთავრობის 2007 წლის 1 ოქტომბრის №548 დადგენილებაში აღნიშიშნა: „ერთი და იმავე პირის მიერ სათბობი შეშის განმეორებით მიღების თავიდან აცილების მიზნით ნება დაერთოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სატყეო დეპარტამენტს რეგიონალური სატყეო სამმართველოების მეშვეობით სათბობი შეშის გაცემა აწარმოოს ადგილობრივი მოსახლის განცხადების, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის, კომლის შემადგენლობის შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობისა და საგადასახადო დავალების ან ბანკის ქვითრის წარდგენის შემდგომ“. პრაქტიკაში, ეს ნიშნავდა, რომ შეშის მოსამარაგებლად სოფლად მცხოვრებ ადამიანს უნდა გაევლო შემდეგი ეტაპები:
  1. რაიონულ ცენტრში ჩასვლა და სატყეო უბნის უფროსთან განცხადებით მიმართვა;
  2. სატყეო უბნიდან ბანკში წასვლა და ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის გადახდა (ერთ კუბურ მეტრ მერქანზე 2-დან-3 ლარი);
  3. საკრებულოში ან გამგეობის რწმუნებულისგან კომლის შემადგენლობის შესახებ ცნობის აღება[31];
  4. კიდევ ერთხელ ადგილობრივ სატყეო უბანში (ან სამმართველოში) მისვლა და საბუთების (ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის გადასახდის ქვითარი, ცნობა კომლის შემადგენლობის შესახებ და პირადობის მოწმობის ასლი) წარდგენა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისეთ უბრალო ქმედებაზე, როგორიცაა პირადობის მოწმობის ასლის გადაღება, მაგალითად, სოფელ ჭიორას ან სასაშის მცხოვრებს შეიძლება მთელი დღე დაეკარგოს, ვინაიდან ამისათვის ათეულობით კილომეტრი უნდა გაიაროს;
  5. შემდეგი ეტაპი საკმაოდ რთულია და შესაძლოა სოფლიდან რაიონის ცენტრში რამდენჯერმე მისვლა გახდეს საჭირო: თავისუფალი რეინჯერის მოძებნა და მასთან ერთად ტყეში წასვლა, ხე-ტყის დამზადების ადგილის მისათითებლად;

---

[29] საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი; რელიზი/ 14 ნოემბერი 2007 / 22:44

[30] მონიტორინგის პროცესში დავადგინეთ, რომ ოფიციალური მონაცემების თანახმად, ამბროლაურისა და ონის რაიონებში 10 ნოემბრისთვის შეშა მომარაგებული ჰქონდა მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს.

[31] საკრებულოებმა კომლების სიები გადასცეს სატყეო უბნებს, რითაც ამ სიაში ერთი ეტაპი ამოვარდა აღწერილი სქემიდან

6. მერქნის დამზადება - ყველაზე შრომატევადი და ძვირადღირებული ეტაპი (ტრანსპორტის შოვნა და მუშების დაქირავება);
7. კიდევ ერთხელ რეინჯერის მონახვა (რაც შესაძლოა ერთი ცდით ვერ მოხერხდეს) და ტყეში, მერქნის დამზადების ადგილზე წაყვანა, შეშის ტრანსპორტირების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოსაწერად;
8. დამზადებული მერქნის ტყიდან სახლამდე ტრანსპორტირება, რაც დოკუმენტის გაცემიდან 24 საათში უნდა მოეხერხებულიყო. ეს კი მარტივი სულაც არ არის, ვინაიდან მაღალი გამავლობის ტრასნსპორტი თითოეულ სოფელში ერთი თუ იქნება. მერქნის დამზადებისათვის მხოლოდ "სამხიდიანი" სატვირთო მანქანა ხშირად არ არის საკმარისი და მუხლუხებიანი ტრაქტორიც ხდება ხოლმე საჭირო. ამასთანავე, უკანონო ხე-ტყის ჭრის წინააღმდეგ ბრძოლის გაადვილებისათვის, საშეშე მერქანი დაჭრილი უნდა იყოს ერთ მეტრზე ნაკლები სიგრძის მორებად. ამ წესის გამო მოჭრილი მორის ტყიდან ხარებით გამოთევა შეუძლებლი გახდა. თუ გლეხი 24 საათში ვერ მოასწრებდა მოჭრილი ხე-ტყის სახლამდე გადაზიდვას, მას თავიდან უნდა მოეძენა რეინჯერი, წაეყვანა მერქნის დამზადების ადგილზე და თავიდან გამოეწერა კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი. ხშირი იყო შემთხვევა, როცა გლეხს უკვე დამზადებული შეშა ტყეში რჩებოდა.

- **სატყეო სამსახურებში ადამიანური რესურსების არასაკმარისობა და გაუმართავი ინსტიტუციური მოწყობა.** ლეგალური პროცედურის მიხედვით, ერთი მეტყევე (რეინჯერი) მინიმუმ 3-ჯერ უნდა მივიდეს ტყეში: ტყეკაფის გამოყოფის დროს, ტყეკაფში ადგილობრივი მოსარგებლის მიყვანისას (როდესაც უნდა მიუთითოს მერქნის დამზადების ადგილი) და დამზადებული შეშის კანონიერების შესამოწმებლად. მაგალითად, ამბროლაურის რაიონში დაახლოებით 7 000 კომლია და 19 რეინჯერი. ანუ, სავარაუდოდ, ერთი რეინჯერი უნდა მოემსახუროს დაახლოებით 350 კომლს, რაც გულისხმობს სულ მცირე 200 გასვლას ტყეში (იმ შემთხვევაში, თუ რეინჯერი ერთდროულად მოემსახურება, მაგალითად, 5 კომლს) და მაქსიმუმ 1000-ზე მეტ გასვლას (თუ რეინჯერი მოემსახურება თითოეულ კომლს) მხოლოდ შეშით მომარაგების პროცესთან დაკავშირებული პროცედურების შესასრულებლად (მთიან რეგიონებში დღის განმავლობაში რეინჯერი მხოლოდ ერთ ტყეკაფამდე შეძლებს მისვლას). გასათვალისწინებელია, რომ რეინჯერს ზემოაღწერილი მოვალეობების გარდა სხვა ფუნციებიც აკისრია და ასევე ისიც, რომ სატყეო სამსახურები ძირითადად არაპროფესიონალებითაა დაკომპლექტებული. პრაქტიკულად, ეს შეუსრულებელი ამოცანა იყო. ამრიგად, ასეთი ლეგალური და ინსტიტუციური ბაზის გამო, ვერც რეინჯერი ასრულებდა ჯეროვნად თავის მოვალეობას და გლეხების უმეტესობაც უნებლიედ კანონის დამრღვევი ხდებოდა.
- **შეშით მომარაგებისათვის სიძვირე.** 2007-08 წლებში ზამთრისთვის ერთი მანქანა შეშის მომარაგება (დაახლებით 8 კუბური მეტრი) საშუალოდ 500 ლარი ჯდებოდა. აქედან ძირითად თანხას შეადგენდა ხე-ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ხარჯები. ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელს კი საკმაოდ მცირე წილი უკავია მთელ ამ თანხაში - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი კუბური მეტრი საშეშე მერქნის მოსაკრებელი 2 (წიწვოვანი) ან 3 ლარს (ფოთლოვანი) შეადგენდა.

შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნის მიზნით და მზარდი სოციალური დაძაბულობის გასანეიტრალებლად, პრეზიდენტის ინიციატივით დაიწყო საპრეზიდენტო პროგრამა, რომელიც გულისხმობდა საქართველოს მოსახლეობისათვის პრეზიდენტის საჩუქრის სახით შეშის ვაუჩერის დარიგებას. ვაუჩერი გულისხმობდა თითოეული ოჯახისათვის 5 კუბური მეტრი შეშის ბუნებრივი რესურსის მოსაკრებლის (10-15 ლარის) ანაზღაურებას. ასევე მოიხსნა დამზადებული ხე-ტყის ტრანსპორტირებაზე დაწესებული 24-საათიანი ვადა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მოსახლეობის შეშით მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოწვეული იყო არა საშეშე მერქანზე ბუნებრივი მოსაკრებელის დიდი ფასით (მხოლოდ ამ ხარჯს ფარავდა საპრეზიდენტო ვაუჩერი), არამედ უფრო სერიოზული მიზეზებით. ეს იყო ერთის მხრივ, თუ პრეზიდენტის სიტყვებს გამოვიყენებთ ხელოვნური შეზღუდვები“[32]: გაუმართავი ინსტიტუციური მოწყობა, დაგვიანებით გამოყოფილი ტყეკაფები, მოუხერხებელი ლეგალური პროცედურა; ხოლო მეორეს მხრივ, ზოგადად ქვეყანაში არსებული ინფლაცია და მაღალი ფასები. ვაუჩერის მიღებით ერთი ოჯახი მხოლოდ 15 ლარის ეკონომიას აკეთებდა, დანარჩენი თანხა კი კვლავ გადასახდელი რჩებოდა[33]. ხე–ტყის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი 24-საათიანი შეზღუდვის მოხსნა მხოლოდ მცირე შვება იყო გლეხისთვის. მთავარი იყო რამდენად მოახერხებდა მოსახლეობა წვიმისა და თოვლის პირობებში შეშის ფიზიკურად გამოტანას ტყიდან, ან გააჩნდა თუ არა გლეხს შეშის დამზადებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო თანხა (საშუალოდ 500 ლარი ერთ

[32] იხ. თავი I, თარიღი – 14.11.07

[33] 5 კუბური მეტრი საშეშე მერქნის ბუნებრივი რესურსის მოსაკრებელი ღირს 15 ლარი; ერთი მანქანა შეშის დამზადება (მოჭრა, დამორვა) და ტყიდან ტრანსპორტირება - 400-600 ლარი - მდებარეობის მიხედვით; ერთი მანქანა შეშის დაპობა - საშუალოდ 50 ლარი.

მანქანა შეშაზე). მხოლოდ ვაუჩერის დარიგებამ (10-15-ლარიანი მოსაკრებლისგან გათავისუფლებამ) ცივი ზამთრის საშიშროების წინაშე მდგარ მოსახლეობაში საკმაო გაღიზიანება გამოიწვია.

გაუგებარი იყო, რატომ დადგინდა ვაუჩერით მხოლოდ 5 კუბური მეტრის შეშის მოპოვება. ჯერ ერთი ეს რაოდენობა არ არის საკმარისი ოჯახისათვის - მთავრობის 2007 წლის 10 ოქტომბრის №563 დადგენილებით განსაზღვრული იყო გაცილებით მეტი ოდენობა: დაბალი ზონის მოსახლეობისთვის 7მ^3, მაღალი ზონის მოსახლეობისათვის - 12მ^3; განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებში მუდმივად მცხოვრები კომლებისათვის - 20მ^3-მდე. მეორეც, გასათვალისწინებელია, რომ სატვირთო მანქანებზე, რომლითაც ტყიდან შეშას ეზიდებიან, ეტევა დაახლოებით 8 მ^3 შეშა. ნახევრად დატვირთული მანქანით შეშის ტრანსპორტირება იგივე თანხა ჯდება, რაც მთლიანად დატვირთული. მოსახლეობა იძულებული იყო ვაუჩერით განსაზღვრული 5მ^3 მერქნის გარდა დამატებით 3 კუბური მეტრის მოპოვების უფლება ზემოთ აღწერილი გრძელი პროცედურით მიეღო, ან უკანონოდ მოეჭრა.

საკმაოდ საინტერესოა თავად შეშის საპრეზიდენტო ვაუჩერების დამზადებისა და დარიგების პროცესი. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში შეშის ვაუჩერების დარიგება დაიწყო 2007 წლის 19 ნოემბერს, რასაც მწვანე ალტერნატივას წევრები თავად შეესწრენ დაბა ლენტეხში და ამბროლაურში. საქართველოს მთავრობის N255 დადგენილება, რომლითაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა სათბობი შეშის ვაუჩერის დამზადება, გამოიცა 2007 წლის 21 ნოემბერს; ანუ ის ვაუჩერები, რომელთა რეგიონებში დარიგების მოწმე გავხდით 19 ნოემბერს, დოკუმენტების მიხედვით, ჯერ არ იყო დაბეჭდილი. ასევე საინტერესოა, რომ თავდაპირველად სამინისტროს დაევალა 920 000 ცალი ვაუჩერის დამზადება. ერთ კვირაში - 2007 წლის 28 ნოემბერს მთავრობის დადენილებაში ცვლილება შევიდა და დასაბეჭდი ვაუჩერების რაოდენობა 1000000-მდე გაიზარდა. ჩვენთვის უცნობია, რა იყო ამ ცვლილების რეალური მიზეზი.

მონიტორინგის პროცესში საკმაოდ რთული აღმოჩნდა რაიონებში შეშის ვაუჩერებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება. მწვანე ალტერნატივას წერილობით შეკითხვაზე, შეშის ვაუჩერების დარიგების დაწყების თარიღისა და დარიგებული ვაუჩერებს რაოდენობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობებმა და სატყეო სამსახურმა ერთმანეთთან გადაგვამისამართეს და კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ.

შეშის ვაუჩერებმა წარმოშვა სერიოზული, ეკოლოგიური ხასიათის პრობლემები. ვაუჩერების დაგვიანებით დარიგების გამო, ხის ჭრა მიმდინარეობდა ცენტრალური გზების ახლომახლო[34]. მაგალითად, ამბროლაურის რაიონში განსაკუთრებით დაზიანდა შაორის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორია[35]. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებებიც: ოფიციალური მონაცემებით (რომლებიც საკმაოდ მოძველებულია და ამასთანავე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონსაც მოიცავს), საქართველოს ტყეების წლიური შემატება დაახლოებით 4 მილიონი კუბური მეტრია. მეცნიერულად გამართლებულია დაახლოებით 2 მილიონი კუბური მერქნის მოპოვება. მხოლოდ ვაუჩერებით განსაზღვრული მოსაჭრელი მერქნის საერთო მოცულობა შეადგენს 5 მილიონ კუბურ მეტრს. ამას უნდა დავუმატოთ მერქნის ის რაოდენობაც, რომლის მოპოვებაც დადგენილი იყო იმ პერიოდში მოქმედი ხე-ტყის დამზადების ლიცენზიებით (500 ერთწლიანი და 4 ოცწლიანი ლიცენზია); ასევე, ხე-ტყის ის რაოდენობაც, რომლის გაყიდვასაც ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების მეშვეობით აპირებდა მთავრობა (იმ პერიოდში უკვე გამოცხადებული იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ აუქციონი, რომელიც ჯამში ყოველწლიურად დაახლოებით 400 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მოპოვებას ითვალისწინედა). ასევე უნდა დავუმატოთ უკანონოდ მოპოვებული მერქნის მოცულობა (რომლის რეალური რაოდენობა არავინ იცის). მერქნის მოპოვების ასეთი მასშტაბი გამოიწვევს ტყეების უცილობელ დეგრადაციას, რაც პირველ რიგში, მძიმედ დააწვება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფებისა და ტყის რესურსის ამოწურვის გამო. ანუ, უახლოეს მომავალში ეკოლოგიური პრობლემა მძიმე სოციალურ პრობლემად გადაიქცევა.

სოფლის მოსახლეობის ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მხოლოდ შეშის მომარაგების შეფერხებაში არ გამოიხატებოდა. ადგილობრივი მოსახლეობისათვის არ არსებობდა სამასალე მერქნის მოპოვების ლეგალური შესაძლებლობა. სოფლად მუდმივად მცხოვრები ოჯახი ყოველწლიურად დახლოებით 3 კუბურ მეტრ მასალას იყენებს - სახლის სახურავის შეკეთება, ბეღლისა და ბოსლის გამართვა, ეზოს შემოღობვა - ყველაფერ ამას სამასალე მორებისგან დამზადებული ფიცარი სჭირდება.

მწვანე ალტერნატივამ არაერთი წინადადებით თუ საჯარო განცხადებით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურების სამინისტროს ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ორი წლის განმავლობაში ლობირების სხვადასხვა მეთოდი იქნა გამოყენებული, რათა გაუმჯობესებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ტყის რესურსებზე.

---

[34] ადგილობრივი მოსახლეობისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები პირად საუბარში აღნიშნავენ, რომ 2008 წლის 7 ნოემბრის პოლიტიკური მოვლენების შემდგომ და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების პერიოდში, გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებს მითითება ჰქონდათ, რომ ნაკლები სიმკაცრე გამოეჩინათ.

[35] უკანონო ჭრების ფაქტები აღრიცხულია მწვანე ალტერნატივას ფოტო და ვიდეო არქივში

2008 წლის მაისამდე ადგილობრივი მოსახლეობას ლეგალურად არ შეეძლო საშეშესთან ერთად პირადი მოხმარების მიზნით სამასალე მერქნის მოპოვება[36]. ხე-ტყის დამზადების ლიცენზიის მფლობელებს დაევალათ მოპოვებული სამასალე მერქნის ნაწილი გადასცენ პრეზიდენტის რწმუნებულებს - გუბერნატორებს, მოსახლეობის უზრუნველსაყოფის მიზნით (იხ. თავი 7. "ტყითსარგებლობის ლიცეზირების გაცემის პრაქტიკა"). გარდა ამისა, შესაძლებელი გახდა ერთ კომლზე არაუმეტეს 5 კუბური მეტრი სამასალე მერქნის მისაღებად საჭირო ზეზემდგომი ხე-ტყის დამაგრება. თუმცა, მოპოვების პროცედურა განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, გაცილებით უფრო რთული, ვიდრე საშეშე მერქნის შემთხვევაში. იმისათვის, რომ ადგილობრივმა მოსახლემ სამასალე მერქანი მიიღოს შემდეგი ეტაპები უნდა გაიაროს:

1. უპირველეს ყოვლისა, იწერება განცხადება გუბერნატორის სახელზე, რომელსაც განმცხადებელი ან თავად პირდაპირ გუბერნატორს უგზავნის, ამ გადასცემს სოფლის რწმნებულს (პრაქტიკაში უფრო ეს გზა მოქმედებდა); განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს, რომ განმცხადებლის ოჯახს ნამდვილად სჭირდება სამასალე მერქანი;
2. სოფლის რწმუნებლები აგროვებენ ყველა განცხადებას და გადასცემენ გამგეობას;
3. გამგეობა გამოყოფს კომისიას, რომელიც შეისწავლის განცხადებებს;
4. კომისია შეისწავლის ადგილებზე განმცხადებლების მდგომარეობას - თუ რამდენად სჭირდება მოთხოვნილი სამასალე მერქანი, მართლა დაუზიანა თუ არა სტიქიამ ან „ჟამთა სვლამ“ კარ-მიდამო;
5. ყველა განცხადების შესწავლის შემდეგ კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს გუბერნატორს;
6. გუბერნატორი განიხილავს თავისი რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში მომზადებულ დასკვნებს და შუამდგომლობით მიმართავს სატყეო სამმართველოს ზოგიერთი მათგანის დაკმაყოფილების თაობაზე. კრიტერიუმები, რომლითაც უპიტესობა ენიჭება ერთ განმცხადებელს მეორესთან შედარებით, არ არსებობს. გუბერნატორის დადებითი გადაწყვეტილება ორი სახის შეიძლება იყოს: განმცხადებელს ტყეში მოუნიშნონ მოსაჭრელი ხეები 5 კუბურ მეტრამდე სამასალე მერქნის მისაღებად, ან მისცენ ერთწლიანი ლიცენზიის მფლობელების მიერ გუბერნატორისთვის გადაცემული მზა მასალა - ისიც არაუმეტეს 5 კუბური მეტრი; ამ მეორე ვარიანტის შემთხვევაში განმცხადებელი იხდის რესურსის მოსაკრებელს, სატყეო სამმართველოდან იღებს ტრანსპორტირების კანონიერების დამადასტურებელ საბუთს და შეუძლია შინ წაიღოს გამოყოფილი 5 კუბური მეტრი მზა მასალა. პირველი ვარიანტის შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურა გრძელდება:
7. სატყეო სამმართველო ავალებს სატყეო უბანს გუბერნატორის შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად;
8. სატყეო უბანი გამოყოფს ტყეკაფს და წარუდგენს სატყეო სამმართველოს;
9. სატყეო სამმართველო შეითანხმებს ტყეკაფს;
10. სატყეო სამმართველო აცნობებს განმცხადებელს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ; ამის შემდეგ იწყება ის პროცედურა, რომელიც ზემოთ აღვწერეთ საშეშე მერქნის მოპოვების შემთხვევაში:
11. განმცხადებელი ბანკში იხდის რესურსის მოსაკრებელს;
12. განმცხადებელი მიდის სატყეო უბანში;
13. განმცხადებელი რეინჯერთან ერთად მიდის ტყეში (ტყეკაფში);
14. განმცხადებელი ამზადებს მერქანს;
15. განმცხადებელი ეძებს რეინჯერს ტრანსპორტირების დოკუმენტის გამოსაწერად;
16. განმცხადებელს გადააქვს მერქანი სახერხში;
17. ხდება მერქნის დამუშავება სახერხში;
18. განმცხადებელი ისევ მიდის რეინჯერთან ტრანსპორტირების (სახერხიდან სახლში) დოკუმენტის მისაღებად;
19. განმცხადებელს მიაქვს მზა მასალა სახერხიდან სახლში.

დარწმუნებული არ ვართ, რომ მოვახერხეთ სრულად აღგვეწერა ყველა საფეხური. ბუნებრივია, რომ ასეთი უცნაური და რთული სქემა ვერ ჩაითვლება ადგილობრივი მოსახლეობის სამასალე მერქნით უზრუნველყოფის მისაღებ გზად. ამასთანავე, სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს იმ საკითხს, რამდენად კანონიერია, რომ საქართველოს მოქალაქეების მერქნით მომარაგებაში მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი. საქართველოს კანონი "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" ამგვარ უფლებამოსილებას გუბერნატორებს არ ანიჭებს.

გარდა სამასალე მორისა, ლეგალური გზით შეუძლებელია ჭიგოს, სარის, ბოძის სხვა წვრილი სორტიმენტის მოპოვება. ეს ნიშნავს, რომ ტყითსარგებლობის არსებულმა სისტემამ და წესებმა შეუძლებელი გახადა, რომ სოფლად მცხოვრებმა კაცმა მისდიოს ტრადიციული ცხოვრების წესს. გასათვალისწინებელია, რომ ბოლო პერიოდში სტიქიური მოვლენების შედეგად უამრავი სახლი და ეზო-კარმიდამო დაზიანდა. ამჟამად

[36] ეს შესაძლებელი გახდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 15 მაისის N129 დადგენილებით „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ" –იხ. თავი I.

არსებული სამართლებრივი ბაზა, ნაცვლად სოფლების გაძლიერებისა და ახალმოსახლეობის ხელშეწყობისა, მათ აყრას და იძულებით მიგრაციას უწყობს ხელს. გარემოს დაცვის ინსპექციისა და სატყეო დეპარტამენტის თანამშრომლები მდინარისა და ზვავისგან ჩამოტანილი ხე-ტყის ტრანსპორტირების ფაქტზეც სერიოზულ ჯარიმებს ახდევინებდნენ მოსახლეობას, წარმოშობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის გამო. ეს გამოწვეულია სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორი პრაქტიკით, როდესაც მტკიცების ტვირთი დაკისრებული აქვს მოქალაქეს და არა მაკონტროლებელს: მოქალაქეს უხდება ამტკიცოს, რომ უდანაშაულოა და არ დაურღვევია კანონი და არა პირიქით.

ტრადიციულად, ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს ტყის არამერქნულ რესურსებსაც. 2007 წელს გაცემული გრძელვადიანი ლიცენზიების ერთ–ერთი პირობის მიხედვით, ლიცენზიანტი ვალდებულია "არ შეზღუდოს ადგილობრივი მოსახლეობა პირადი მოხმარებისათვის ტყის არამერქნიანი რესურსებით (სოკოები, სამკურნალო და სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობაზე. პრაქტიკაში კი აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ვალდებული იყო ამგვარი ტყითსარგებლობისთვის ფული გადაეხადა, "ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლების შესახებ" კანონის შესაბამისად, მაგალითად, ერთ კილოგრამ კენკრაში – 5 თეთრი. საფასური არც ისე დიდია, მაგრამ არავინ იცის გადახდის მექანიზმის არარსებობისა და მოსახლეობის არაინფორმირებულობის პირობებში დამდენი ადამიანი დაჯარიმდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტერვიუებში არაერთი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა.

აღმოჩნდა, რომ ამ მოსაკრებლის ამოღება მოსახლეობიდან ხანგრძლივვადიანი ლიცენზიის მფლობელების უფლება–მოვალეობასაც წარმოადგენდა. გარემოს დაცვის ინსპექციის წარმომადგენელმა ეს საკითხი ასე განმარტა: "რაც შეეხება საძოვრებს, სათიბებსა და ხილ-კენკროვანებს, რომლებსაც არაპირდაპირი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, სახელმწიფოს დაწესებული აქვს მიზერული გასახადი, რომელიც აუდიტმა განსაზღვრა. თუმცა ეს გადასახდი აქამდე არ მოქმედებდა. კერძო მესაკუთრე ამას აუცილებლად გამოიყენებს. მაგალითად, მაყვლის მოპოვება ხუთი თეთრი ღირს, ეს აღრიცხვის მიზნით ხდება, რათა სახანძრო თვალსაზრისით ტყეები დაცული იყოს. 10 კილო ჟოლო რომ მოკრიფო, 50 თეთრი უნდა გადაიხადო, რა არის ამაში საგანგაშო? სამაგიეროდ, ტყეში შემსვლელთა აღრიცხვა მოხდება. რაც შეეხება საძოვრებს, ერთი ჰექტარი ორი ლარი ღირს". (გაზეთი "სამხრეთის კარიბჭე", N27 (127), 23.07 2007). ტყის ხანძრების პრევენცია მაყვლის მოსაკრებლის დაწესებით – ეს არის ალბათ მეტყევეობის ქართველ "რეფორმატორთა" ნოუ ჰაუ. სხვა საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება საკითხის ასე დაყენება სალიცენზიო პირობას – " არ შეზღუდოს მოსახლეობა?"

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს საკითხი მწვანე ალტერნატივამ შეიტანა გრძელვადიანი ლიცენზიების კანონიერებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საჩივარსა და სასამართლოს სარჩელში, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ტყის ფონდის მიწებსა და ტყის რესურსებზე (სამასალე და საშეშე მერქნის, ასევე ლიცენზირებას დაქვემდებარებული არამერქნული რესურსების გარდა – სოჭის გირჩი, თეთრყვავილას ბოლქვები და ყოჩივარდას გორგლები) ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებები უსასყიდლოდ უნდა კმაყოფილდებოდეს (იხ. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის N 203 დადგენილება).

V. ჯიდევ ერთხელ წაბლის მერქნის მოპოვებასთან დაკავშირებით

2006 წელს მწვანე ალტერნატივას გამოცემულ სატყეო სექტორის მონიტორინგის ანგარიშში – "საქართველოს სატყეო სექტორის პრობლემები: უკანონო ქმედებები და კანონთა შორის კოლიზიები", აღწერილი იყო შემთხვევა, რომელიც ეხებოდა წაბლის მერქნის მოპოვებაზე შპს „დე ენდ ვე“-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების კანონიერების საკითხს.

პრობლემა შემდეგში მდგომარეობდა: იმერეთის რეგიონში adგილი აქვს სხვადასხვა ხარისხითა და ინტენსივობით წაბლის (Castanea sativa) ხმობას. წაბლი შეტანილია საქართველოს გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობების "წითელ ნუსხაში." ხმობის მთავარი მიზეზია ე.წ. "წაბლის ქერქის კიბო" – დაავადება, რომელიც გამომწვევია სოკო Cryphonectria parasitica. იმერეთის წაბლნარების გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარების საბაბით "წითელ ნუსხის" სახეობის ჭრის უფლება, საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით, მიეცა კომერციულ ორგანიზაციას – შპს „დე ენდ ვე“-ს. ეს დარღვევები განხილული იყო მწვანე ალტერნატივას ანგარიშში, რომლებიც დაიწყო მთავრობის დავალებით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისადმი (2005 წლის 29 ივნისის №29 მთავრობის სხდომის საოქმო ჩანაწერი), გაგრძელდა მინისტრის ბრძანებით (22.07.2005, №200) და დასრულდა ზემდგომების დავალებით დადებული ხელშეკრულებით დეპარტამენტსა და ტენდერში გამარჯვებულ შპს „დე ენდ ვე“-ს შორის (ხელშეკრულება, 5 წლის ვადით, 2005 წლის 4 ოქტომბერს დაიდო).

2008 წლის 24 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს მთავრობის №697 განკარგულება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ,,წაბლის ქერქის კიბოთი” დაავადებული წაბლნარი კორომების აღდგენა-გაჯანსაღების მიზნით შპს “დე ენდ ვე”-სა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“. განკარგულებას

საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ 2008 წლის 15 ოქტომბერს შპს "დე ენდ ვე"-მ წერილობითი თხოვნით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ხელშეკრულების ვადის 3 წლით გაგრძელების თაობაზე. შპს "დე ენდ ვე"-ს ახალი ხელმძღვანელის განმარტებით, საწარმოს ყოფილი ხელმძღვანელობის არასწორი მენეჯმენტის გამო, შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებულ ვადებში შესრულება. ასეთი სახის მიმართვა საკმარისი გახდა იმისათვის, რომ აღნიშნული მთავრობის განკარგულებით გადაწყვეტილიყო ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

ამ განკაგულების მიხედვით, „წაბლის ქერქის კიბოს" დაავადების შემდგომი გავრცელების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სატყეო დეპარტამენტს მიეცა უფლება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ,,წაბლის ქერქის კიბოთი" დაავადებული წაბლნარი კორომების აღდგენა-გაჯანსაღების მიზნით შპს "დე ენდ ვე"-სთან დადებული ხელშეკრულება გააგრძელოს 3 წლის ვადით. განკარგულება დეპარტამენტს ავალებდა ხელშეკრულების პროექტის ინფორმაციის სახით წარმოდგენას საქართველოს მთავრობის სხდომაზე. ბიუროკრატიულ ენაზე მთავრობის განკარგულებაში აღნიშნული ფრაზა „უფლების მიცემა" პრაქტიკულად ნიშნავს „დავალების მიცემას".

ცხადია, რომ მთავრობის ეს განკარგულება უკანონოა შემდეგი გარემოებების გამო:

1. 2005 წელს დადებული ხელშეკრულება, რომლის სამი წლით გაგრძელებასაც გულისხმობს ეს განკარგულება, ეწინააღდეგება საქართველოს კანონის „წითელი ნუსხისა და „წითელი წიგნის" შესახებ";
2. 2005-დან 2008 წლამდე, ანუ მოქმედების ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში, შპს "დე ენდ ვე"-ს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით დაკისებული ვალდებულებები, რაც აღნიშნულია კიდეც მთავრობის განკარგულების ტექსტში, რაც ამ ხელშეკრულების გაუქმების მიზეზი უნდა გამხდარიყო;
3. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" (2005 წ.) არ ცნობს ხელშეკრულებას, როგორც ტყითსარგებლობის განხორციელებისათვის საჭირო სანებართვო დოკუმენტს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: 2008 წლის 3 დეკემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ მთავრობის სხდომაზე წარადგინა კანონპროექტი „წითელი ნუსხისა და „წითელი წიგნის" შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ". ამ კანონპროექტით, დასაშვები ხდება გარკვეულ შემთხვევებში საქართველოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების „წითელ ნუსხაში" შეტანილი სახეობის კომეციული მოპოვება. სამინისტროს მიერ მომზადებულ განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „კანონპროექტის მიღების აუცილებლობა განაპირობა კანონში დღეს არსებულმა ხარვეზებმა, კერძოდ დღეს მოქმედი რედაქციით შეუძლებელია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღება, თუ ისინი არიან დაავადებულნი..."[37] ეს ციტატა ადასტურებს, რომ მთავრობამ უნებლიედ აღიარა 2005 წელს დადებული ზემოხსენებული ხელშეკრულების უკანონობა. ამასთან ერთად მთავრობამ აღიარა, რომ 2008 წლის ოქტომბერში ხანგრძლივვადიანი ტყითსარგებლობის აუქციონების გამოცხადებისა და მათ საფუძველზე ლიცენზიების გაცემისასაც უხეშად დაირღვა კანონმდებლობა, რაც ამ ლიცენზიების ბათილობის საფუძველს იძლევა. კერძოდ, ერთ–ერთი სალიცენზიო პირობის მიხედვით, ლიცენზიანტებს მიეცათ უფლება განახორციელონ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მოპოვება.

აღწერილი შემთხვევა მიუთითებს, რომ საქართველოს სატყეო სექტორთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას კანონის უზენაესობის პრინციპი კვლავინდებურად უგულებელყოფილია.

VI. ტყითსარგელობის ლიცენზიების გაცემის პრაქტიკა

საქართველოს ტყის კოდექსის (1999) მიხედვით, დაშვებულია მოკლევადიანი (ერთ წლამდე) და ხანგრძლივვდიანი (20 წლამდე) ტყითსარგებლობა. 2007 წლამდე ტყითსარგებლობა ძირითადად ერთ წლამდე ვადით გაცემული ტყითსარგებლობის დოკუმენტებით ხორციელდებოდა.

2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაიცა 501 ერთწლიანი ხე–ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია. მწვანე ალტერნატივამ შეისწავლა ამ სალიცენზიო მოწმობების გაცემის პრაქტიკა[38] და კანონმდებლობასთან არსებითი შეუსაბამობები აღმოაჩინა. ამ პერიოდში ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემას აწარმოებდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი.

როგორც აღმოჩნდა, სამინისტროს გაცემულ ხე-ტყის დამზადების ლიცენზიებში არ იყო შევსებული გრაფა „ლიცენზიის პირობა" (მხოლოდ ორ ლიცენზიაში იყო პირობები გაწერილი). გარდა ამისა, ლიცენზიების ნახევარზე მეტში ნაცვლად მოსაპოვებელი სახეობისა (მაგალითად, წიფელი, სოჭი, ფიჭვი, ნაძვი და ა.შ.) მითითებულია მხოლოდ „წიწვოვანი" და „ფოთლოვანი". ასეთი ჩანაწერით შეუძლებელია მოპოვებული მერქნის

[37] ამ პუბლიკაციაში კანონპროექტს დაწვრილებით არ მიმოვიხილავთ, თუმცა აღვნიშნავთ, რომ მთლიანობაში ის არასწორ და ინტერესთა კონფლიქტის შემცველი რეგულირების შემოღებას გულისხმობს.

[38] ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა სალიცენზიო პირობების დადგენისა და ლიცენზიის მფლობელთა ანგარიშგების მონიტორინგი, რაც მომავალში იგეგმება.

ზუსტი რაოდენობის დადგენა, რომ აღარაფერი ვთქვათ გარემოზე მიყენებულ ზიანზე. მაგალითად, ჩანაწერი: „მოსაპოვებელი რესურსი - წიწვოვანი 600 კუბური მეტრი", შეიძლება ნიშნავდეს, რომ მოპოვებულ უნდა იყოს 500 $მ^3$ ნაძვი და 100 $მ^3$ სოჭი, ან 300 $მ^3$ ნაძვი და 300 $მ^3$ სოჭი და ა.შ. ამგვარი უზუსტობებით შევსებული ლიცენზიები უკანონოდ მოპოვებული, ჭრაში დაუნიშნავი და ჭრააკრძალული სახეობების ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის ფაქტების გამოვლენას ძალზე ართულებს.

ცხადია, რომ სალიცენზიო პირობების გარდა სავალდებულოა სხვა ნორმების, მაგალითად, ჭრის წესების დაცვა. მაგრამ, კანონმდებლობით, ხე-ტყის წარმოშობისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები გაიცემა ლიცენზიის საფუძველზე. წარმოშობისა და კანონიერების დოკუმენტებში ასახული მონაცემების რეალობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის გამცემ პირს. ამ დოკუმენტებში არის გრაფა - სახეობა (ჯიში). მათი შევსებისას "ფოთლოვანის" და "წიწვოვანის" ჩაწერა, ნაცვლად ზუსტი სახეობრივი დასახელებისა, სერიოზული დარღვევა იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს უკანონოდ მოპოვებული მერქნის ლეგალიზაციას ("გაპრავებას").

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–18 მუხლში აღნიშნულია, რომ "ლიცენზიის გამცემმა სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება დაადგინოს სარგებლობის რაოდენობრივი, თვისობრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები". რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებელი კი, ხე-ტყის მოპოვების შემთხვევაში სწორედ იმას ნიშნავს, რომ ზუსტად იყოს მითითებული მოსაჭრელი მერქნიანი მცენარის რაოდენობა სახეობების მიხედვით.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის მიხედვით, (მუხლი 21. "კონტროლი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე") **„**ლიცენზიის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სალიცენზიო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ რეგულარული ანგარიშგებით. თუ წარმოდგენილი ანგარიშგებით ნათლად არ არის დეკლარირებული ან საერთოდ არ არის მითითებული სალიცენზიო პირობების დაცვის ფაქტი, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მიმართოს ლიცენზიის მფლობელს და მოითხოვოს სალიცენზიო პირობების გონივრულ ვადაში დაცვის შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია. ლიცენზიის მფლობელის მიერ მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია." ბუნებრივია ისმის კითხვა, როგორ უნდა შემოწმდეს ლიცენზიის პირობები და დადგეს პასუხისმგებლობა მათ დარღვევაზე, თუ ასეთი პირობები არ ყოფილა დადგენილი და არ ასახულა ლიცენზიაში? ცხადია, რომ დარღვეულია კანონმდებლობა, შედეგად, როგორც წესი, 4-5-ჯერ მეტი ხე-ტყე იჭრება, ვიდრე ლიცენზიებშია მითითებული. ათწლეულების განმავლობაშ ხე-ტყის უკანონო ჭრა როგორც წესი, ხდებოდა შემდეგი მექანიზმით: ხე-ტყის ლიცენზიის მფლობელი მერქნის მოპოვებას აწარმოებს არა იმ ადგილას, სადაც ლიცენზიის მიხედვით აქვს დამაგრებული ტყეკაფები (როგორც წესი, სატყეო გზები ახალ გამოყოფილ ტყეკაფამდე არ მიდიოდა, მათი გაყვანა კი დიდ დროსა და ხარჯს მოითხოვდა), არამედ სულ სხვაგან (უკვე გაყვანილ გზებთან ახლოს). ანგარიშის წარმოდგენისა და ჭრაში დანიშნული უბნების რევიზიისას კი აჩვენებენ, რომ გამოყოფილი ტყეკაფის (ანუ მოპოვების კვოტის) ათვისება სრულად არ მომხდარა. თუ გადავხედავთ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ოფიციალურ სტატისტიკას, ვნახავთ, რომ ტყეკაფების ბოლომდე "ვერათვისებას" ყოველწლიური "ტრადიცია" იყო (ანუ თითქოს იჭრებოდა დაშვებულ კვოტაზე ნაკლები ხე–ტყე); არადა ამავე წლების განმავლობაში მთელი საქართველო ხედავდა გზებზე მოძრავ ხე-ტყით დატვირთულ უამრავ ტრაილერს და ტყის ეკოსისტემების თანდათანობით დეგრადაციას.

გამოიკვეთა კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ართულებდა ლიცენზიების კონტროლს: „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიში ყოველი წლის 1 აპრილიდან 1 მაისამდე. ამ თარიღამდე გარემოს დაცვის ინსპექცია მოკლებულია შესაძლებლობას გამოავლინოს და რეაგირება მოახდინოს სალიცენზიო პირობების დარღვევის ფაქტზე. კანონის ამავე მუხლის მიხედვით, ლიცენზიის მფლობელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში მიიღებს ლიცენზიას, არ არის ვალდებული წარმოადგინოს ანგარიში შემდეგ წლამდე. ანუ ის მეწარმე, რომელიც ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით იღებდა ტყითსარგებლობის ერთწლიან ლიცენზიას, გარკვეული „იმუნიტეტით სარგებლობდა" და სალიცენზიო პირობის დარღვევის შემთხვევაში მისი დაფიქსირება ვერ მოხდებოდა.

გამოირკვა ასევე, რომ სამინისტრომ ლიცენზიები გასცა გორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, რომელიც ლიცენზიების გაცემის მომენტისათვის ეკუთვნოდა არა სამინისტროს სატყეო დეპარტამენტს, არამედ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტს. სამინისტროს არ გააჩნდა უფლებამოსილება გაეცა ამ ტერიტორიაზე ლიცენზიები, ასევე გაეცა ლიცენზიების საფუძველზე მოპოვებულ მერქანზე – ხე-ტყის წარმოშობისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები[39].

დარღვევების შესახებ მწვანე ალტერნატივამ წერილობით მიმართა სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციასა და გენერალურ ინსპექციას. განცხადებაში მითითებული იყო, რომ პრობლემები თავს იჩენდნენ სალიცენზიო პირობების შემოწმებისას, ლიცენზიანტების ანგარიშების განხილვისას; ხოლო ამგვარი სახით გამოწერილი ლიცენზიები კი ხელს შეუწყობდა ხე-ტყის უკანონო ჭრას, უკანონოდ მოჭრილი მერქნის

[39] ამგვარი უფლება მხოლოდ საქართველოს მთავრობის 20007 წლის 11 ივლისის № N 363 განკარგულებით მიენიჭა სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოს – შიდა ქართლის რეგიონალურ სატყეო სამმართველოს.

რეალიზაციას, ანუ კრიმინალის დაფარვას განცხადებაში იყო შეთავაზება, რომ სამინისტროში შემდგარიყო შეხვედრა აღნიშნულ პრობლემებზე – არასამთავრობო ორგანიზაციების, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის, სატყეო დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის წარმომადგენლების მონაწილეობით. სამინისტრომ ამ თემების განხილვილვაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ამ წერილის შემდეგ, ლიცენზიების ასლების მიწოდების შესახებ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნა საჯარო უწყებებს აღარასოდეს დაუკმაყოფილებიათ. ჯერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შემდეგ კი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ამ ინფორმაციის გაუცემლობაზე ყოველთვის ერთნაირი პასუხი ჰქონდა: ლიცენზია მხოლოდ ერთ ეგზემპლარად იწერება და გადაეცემა მის მფლობელს. ლიცენზიის ასლის შენახვა კანონით ამ უწყებებს არ ევალებოდათ, ამდენად მოკლებული იყვნენ მისი მოწოდების შესაძლებლობას.

2006 წელს გაცემული ერთწლიანი ლიცენზიების მფლობელებს, მთავრობის დადგენილებით, ჯერ ორი თვით გაუგრძელდათ ლიცენზიის მოქმედების ვადა, მოგვიანებით კი - 2008 წლის 1 ნოემბრამდე. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 აპრილის №81 დადგენილებით[40], გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ერთ წლამდე ვადით გაცემული ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების მფლობელებს, რომლებმაც ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში ვერ დაამზადეს ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსის სრული მოცულობა, ახალი ლიცენზიის მიღების გარეშე მიენიჭათ აუთვისებელი რესურსის დამზადების უფლება 2008 წლის 1 ნოემბრამდე. ამის სანაცვლოდ, დადგენილებამ დაავალდებულა ლიცენზიის მფლობელები, რომ მათ მიერ დამზადებული სამასალე მერქნის 25% 2008 წლის 15 აგვისტომდე გადაეცათ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, სოციალურად დაუცველი ადგილობრივი მოსახლეობის სამასალე მერ-ქნით უზრუნველყოფის მიზნით“.

ამ გადაწყვეტილებას არ უძღვოდა სათანადო დონეზე არც ტყეკაფების შემოწმება და არც ლიცენზიის მფლობელთა მიერ განხორციელებული საქმიანობის სათანადო მონიტორინგი. ასეთი მოუმზადებელი გადაწყვეტილებაც ხე-ტყის უკანონო ჭრის ხელშემწყობი უნდა ყოფილიყო.

აღმოჩნდა, რომ ლიცეზიანტებს არ აწყობდათ პირობა, რომლითაც დამზადებული მასალის 25% სახელმწიფოსთვის უნდა გადაეცათ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე წარადგინა წინადადება, რომლის მიხედვითაც ლიცანზიანტების მიერ სახელმწიფოსთვის გადასაცემი წილი 25%–დან 10%-მდე უნდა შემცირებულიყო. საბოლოოდ მთავრობის წევრები შუალედური გადაწყვეტილებაზე "მორიგდნენ" და დაადგინეს, რომ ლიცენზიანტებს დამზადებული სამასალე მერქნის 15% უნდა გადაეცათ სახელმწიფოსათვის.

მთავრობის დადგენილების ამ ნაწილმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2005 წელს შპს ,,მერქანზე” და 2006 წელს ერთ წლამდე ვადით გაცემული ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების მფლობელებს, რომლებმაც ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში ვერ დაამზადეს ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსის სრული მოცულობა, ახალი ლიცენზიის მიღების გარეშე მიენიჭათ აუთვისებელი რესურსის დამზადების უფლება ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 2008 წლის 1 ნოემბრამდე". ამასთან, ლიცენზიატები ვალდებული გახდნენ მათ მიერ დამზადებული სამასალე მერქნის 15% გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტთან ერთად გადაეცათ სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებისთვის. ამ სქემაში სახელმწიფო რწმუნებულების–გუბერნატორების ჩართვის წინადადების ავტორი იყო სახელმწიფო მინისტრის დავით ტყეშელაშვილი.

როგორც აღმოჩნდა, დამზადებული სამასალე მერქნის 15%-ის გადაცემაც საკმაოდ წამგებიანი იყო მეწარმეებისთვის და საერთოდ არ უღირდათ მუშაობის განახლება. ამის გამო, მთელი საქართველოს მასშტაბით გუბერნატორებს ლიცენზიანტებისგან მისაღები 20629 კუბური მეტრი სამასალე მერქნის ნაცვლად, მხოლოდ 935 კუბური მეტრი გადაეცათ.

დასასრულს, მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც ნათლად ასახავს ტყითსარგებლობის ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის უგულებელყოფისა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობისადმი ზერელე მიდგომის შედეგებს. 2008 წლის 29 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე სატყეო დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის უფროსი - შოთა გვენცაძე დააკავეს. მისთვის ქრთამის გადაცემის ფაქტზე დააკავეს ორი მოქალაქე-დარეჯან გვიჭიანი და მარიამ კვირიკაძე. კუდ-ის ინფორმაციით, შოთა გვენცაძემ შპს ‘‘ართის’’ დირექტორს, დარეჯან გვიჭიანს მის საწარმოში მიმდინარე რევიზია-ინვენტარიზაციის პროცესში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით 50000 ლარი მოსთხოვა. აღნიშნული პირები დაკავებულები იქნენ ნაწილი თანხის - 5000 ლარის გადაცემის ფაქტზე. შპს „ართი“ რამდენიმე ლიცენზიას ფლობდა მესტიის რაიონში. ყველა ეს ლიცენზიაც არასწორად იყო გამოწერილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ (არ იყო შევსებული პირობები, არასწორად მითითებული მოსაპოვებელი რესურსის სახეობა) და მათაც მოქმედების ვადა აუქციონის გარეშე გაუგრძელა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

---

[40] „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში დამატებების შეტანის შესახებ“

VII. ჯანონდარღვევები ტყითსარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზირების დროს

2006 წლის ბოლოს–2007 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ პრიორიტეტად ესახება ხე-ტყის დამზადების მიზნით ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემა (იხ. თავი I)[41]. პირველი ხე–ტყის დამზადების 20 წლიანი ლიცენზია შეიძინა შპს „ჯორჯიან ფორისტმა“ 2006 წლის აგვისტოში, რომლითაც ტყის ჭრის უფლება მოიპოვა სამეგრელოში, მარტვილის რაიონში, კურზუსა და ტალერის სატყეოებში. შემდეგი აუქციონი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2007 წლის 1 მაისს ჩატარდა. გაიყიდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიები, რომლებიც 20 წლის ვადით გადაეცათ: ქართულ-ჩინურ შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ” (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რეგიონალური სატყეო უბნების მუხურის, თაიას, ნაფიჩხოვოს, მაგანის, ხუდონის, ჯვარის სატყეოების კვარტლები), ქართულ-იტალიურ „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანიას“ (კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ყვარელის სატყეო უბნის ახალსოფლის, ყვარლის, შილდის, საბუის, გრემის სატყეოების კვარტლები) და ფიზიკურ პირს ემილ რეინირსს (სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის ოთის, ზედაველის, ძველის, აწყურის, თისელის, ურაველის, ვალეს სატყეოების კვარტლები).

ტყითსარგებლობის ყველაზე მასშტაბური აუქციონი გამოცხადდა 2007 წლის შემოდგომაზე. აუქციონზე გატანილი იყო ტყით სარგებლობის 28 ლიცენზია საქართველოს 20 რაიონში; გასაცემი სატყეო ფართობები ჯამში 364262 ჰა-ს შეადგენდა, მოსაპოვებელი წლიური კვოტა - დაახლოებით 400 000 კუბურ მეტრს. აუქციონის ჩატარება ჯერ 2007 წლის დეკემბერში იყო დაგეგმილი, შემდეგ კი 2008 წლის თებერვალში გადაიტანეს. მწვანე ალტერნატივამ აუქციონის გაუქმების მოთხოვნით სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2008 წლის 5 თებერვალს სასამართლოს სხდომაზე მოპასუხემ წარმოადგინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჩანტლაძის 2008 წლის 29 იანვარის ბრძანება, რომლითაც მწვანე ალტერნატივას გასაჩივრებული ბრძანებები ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული. ამით ეს აუქციონი გაუქმდა (იხ. თავი I).

მორიგი აუქციონი ხე-ტყის დამზადების 20–წლიანი ლიცენზიების გაცემის მიზნით გაიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 2008 წლის 7 და 8 ოქტომბერს. აუქციონში გაიმარჯვეს: სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახალციხის სატყეო უბნის წინაუბნის სატყეოს ლოტზე - ი/მ ვეფხვია შუბითიძემ; მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს თიანეთის სატყეო უბნის ლოტზე - შპს ,,მ. ჰაუზ+”; კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახმეტის სატყეო უბნის პანკისის სატყეოს ლოტზე - შპს ,,იმედმა“; გურიის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ჩოხატაურის სატყეო უბნის ზოტის სატყეოს ლოტზე - შ.პ.ს ,,გურია ჯფ”. აუქციონის შედეგად 5 ლიცენზია ერგო ქართულ-ჩინურ კომპანია შპს ,,ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოფმენთ კო. ლტდ-ს”, რომელსაც კონკურენტი არ ჰყოლია ამ ლოტებზე გამართულ ვაჭრობაში: იმერეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ბაღდათისა და ვანის სატყეო უბნების ზეკარის, წყალთაშუას, სულორის, საირმე-ვანის, ზეინდრის სატყეოების ლოტზე; მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს თიანეთის სატყეო უბნის არტანისა და ახალსოფლის სატყეოების ლოტზე; კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახმეტის სატყეო უბნის ილტოს სატყეოს ლოტზე; კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს თელავის სატყეო უბნის ფშაველის სატყეოს ლოტზე; კახეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს ახმეტისა და თიანეთის სატყეო უბნების ახმეტისა და ბოჭორმის სატყეოების ლოტზე.

2008 წლის 10 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მორიგი ბრძანება, რომლითაც გამოცხადდა აუქციონი გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით. აუქციონზე გამოტანილია 64 ლოტი, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით მოიცავდა 165752 ჰა-ს. აუქციონი დაინიშნა 2008 წლის 11 დეკემბერს. სწორედ ამ დღეს, მწვანე ალტერნატივას და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობის შედეგად (იხ. თავი I, თარიღი: 5–11 დეკემბერი 2008 წ.), ეკონომიკური განვითარების ახალდანიშნულმა მინისტრმა ლაშა ჟვანიამ გამოსცა ბრძანება აუქციონის გაუქმების თაობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა აუქციონის გამოცხადებასა და ჩატარებას მუდმივად თან ახლდა საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევები: ირღვევოდა მოქალაქეთა უფლება, მიეღოთ მონაწილეობა გარემოსთან, კერძოდ ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ირღვევოდა სალიცენზიო პირობების დადგენასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რის გამოც ეს პირობები ვერ უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემების დეგრადაციისაგან დაცვას; ხე-ტყის დამზადებისათვის ტყეების გამოყენების გადაწყვეტილება მიიღებოდა მათი კონსერვაციული მნიშვნელობის შეფასების, რის შედეგადაც

[41] გარდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელთა განცხადებებისა, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის პროგრამებიც (2004–დან 2009 წლის იანვრამდე მიღებულია 10 პროგრამა), სადაც ეს საკითხი ხაზგასმულად იყო აღნიშნული.

მოჭრის მიზნით გაცემული ლიცენზიების არეალში მოექცა განსაკუთრებით მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულებების, ეკოლოგიურად სენსიტიური და დაცვითი მნიშვნელობის ტყეები.

სწორედ ასეთი დარღვევების გამო ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ, ისარგებლა რა თავისი კანონიერი უფლებით, ყველა აუქციონის გამოცხადებისა და შედეგების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური სამართველებრივი აქტი გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსა და/ან სასამართლოში (ქრონოლოგია მოცემულია I თავში). აქვე განვმარტავთ, რომ "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (ანუ ორჰუსის კონვენციის) მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ გარემოს დაცვის საკითხებზე, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული საზოგადოება (სუბიექტი). ტყეების მომავალთან დაკავშირებით, დაინტერესებულ საზოგადოებაში იგულისხმება ადგილობრივი მოსახლეობა, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები და სამეცნიერო დაწესებულებები, სატყეო დარგისა და ბიომრავალფეროვნების ექსპერტები.

მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივრებისა და სასამართლოში წარდგენილი სარჩელების განხილვებისას სამთავრობო უწყებები უარყოფდნენ დაინტერესებული საზოგადოების უფლებების შელახვისა და კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს. როგორც ამ ტიპის, ისე სხვა დარღვევებთან მიმართებაში მოპასუხე სახელმწიფო უწყება მწვანე ალტერნატივას არგუმენტებს უპირისპირებდა კანონმდებლობის თავისთვის მოსახერხებელ ინტერპრეტაციას, ან საერთოდ უპასუხოდ ტოვებდა, ხოლო საჩივრის განმხილველი (მთავრობის კანცელარია) უპირობოდ ეთანხმებოდა სამინისტროებს. მიგვაჩნია, რომ რაციონალურ აზრს მოკლებულია ამ პუბლიკაციაში დაწვრილებით განვიხილოთ და კიდევ ერთხელ დავასაბუთოთ სამინისტროების თითოეული არგუმენტის არამართებულობა და არაკომპეტენტურობა. მით უმეტეს, რომ 2008 წლის ბოლოს და 2009 წლის დასაწყისში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელებმა, ასევე საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა აღიარა მწვანე ალტერნატივას არგუმენტების სიმართლე და ეს პოზიცია ასახა პოზიციის გამომხატველ დოკუმენტებში.

ქვემოთ დეტალურადაა განხილული ტყითსარგებლობის გრძელვადიან ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი განმაპირობებელი ფაქტორები.

- ***<u>საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა</u>.*** საქართველოს კანონმდებლობით, ხანგრძლივვადიანი ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების მონაწილეობით უნდა ხდებოდეს. ტყის კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, "მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ; მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე". ამავე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, შესაბამისი რეგიონების მიხედვით უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის 5 და მეტი წლით სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ. ამავდროულად, კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას."

ორჰუსის კონვენცია, რომელსაც საქართველო მიუერთდა 2003 წელს, არის ნორმატიული აქტი, რომელიც კონსტიტუციის შემდეგ, ქმნის გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის იმპერატიულ გარანტიებს. გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებამდე და მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უფლება მოცემულია კონვენციის მე-6 მუხლში, რომელიც ამბობს, რომ "დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინებების მეშვეობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. ყოველი მხარე (ანუ კონვენციის ხელმომწერი ქვეყანა) უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა". ორჰუსის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების ეფექტურ მონაწილეობას შესაბამის საფეხურზე, სანამ არჩევანის გაკეთება ჯერ კიდევ შესაძლებელია (დედანში - while options are still open) სახელმწიფო ორგანოების მიერ იმ აღმასრულებელი დებულებების და სხვა კანონით სავალდებულო ნორმების მომზადების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე (კონვენციისეული "აღმასრულებელი დოკუმენტები", სხვა არაფერია თუ არა ერთჯერადი ან/და ინდივიდუალური აქტები, მათ შორის სამინისტროების ადმინისტრაციული აქტები ხე-ტყის გრძელვადიანი ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის შედეგების დაკანონების შესახებ). იგივე მუხლი ამბობს, რომ "საზოგადოებას უნდა მიეცეს შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა და საზოგადოების მონაწილეობის შედეგი შეძლებისდაგვარად იქნეს მიღებული მხედველობაში".

უდავოა, რომ სახელმწიფო უწყებების ყოველი გადაწყვეტილება, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე 20 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მერქნის დამზადებას გულისხმობს, მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს გარემოზე. მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ამ გადაწყვეტილებას წინ არ უძღვის მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობის დადგენა და გარემოსდაცვითი შეფასება. ასეთი გადაწყვეტილება ასევე იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული უფლება მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან და კერძოდ, ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არც ერთი ტყითსარგებლობის გრძელვადიანი აუქციონის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფო ორგანოებმა არ უზრუნველყვეს დაინტერესებული საზოგადოების წინასწარი ინფორმირება და მით უმეტეს, არც მონაწილეობა. აუქციონის გამართვის შესახებ, ანუ კონკრეტული სატყეო კვარტლების ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების მეშვეობით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებული იქნა დაინტერესებული საზოგადოების ყოველგვარი წინასწარი ინფორმირების გარეშე და გაუმჭვირვალედ. ამის გამო, საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე, არ ეძლეოდა საშუალება მიიღო სათანადო ინფორმაცია და მოეხდინა ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ვინაიდან აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მათთვის პოსტ ფაქტუმ (მხოლოდ აუქციონის გამართვის შესახებ შესაბამისი სამინისტროს განცხადების გამოქვეყნების შედეგად) ხდებოდა ცნობილი.

იმის პარალელურად, რომ დაინტერესებული ფართო საზოგადოება, მათ შორის ტყის რესურსებზე დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობა, პოსტ ფაქტუმ იგებდა მთავრობის გადაწყვეტილებას ხანგრძივვადიანი ლიცენზიების მეშვეობით ტყის რესურსების გაყიდვის თაობაზე, ზოგიერთი კომპანიისთვის ეს ინფორმაცია აუქციონის შესახებ საგაზეთო განცხადების გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე იყო ხოლმე ცნობილი. 2008 წლის 15 სექტემბერს საქალაქო სასამართლოში გამართულ განხილვაზე 20-წლიანი ლიცენზიების მფლობელებმა აღნიშნეს, რომ მათ გაზეთში გამოცხადებამდე ქონდათ ინფორმაცია დაგეგმილ აუქციონზე, თუმცა ვერ დაასახელეს რაიმე ოფიციალური საინფორმაციო წყარო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში ლიცენზიით გამოსაყოფი ტყეების, სალიცენზიო მოთხოვნებისა და აუქციონის საწყისი ფასის დადგენა ხდება კონკრეტულ ინვესტორზე მორგებულად, მათთან წინასწარი მოლაპარაკების შედეგად.

გადაწყვეტილების მიღების ასეთი გაუმჭვირვალე პრაქტიკის გამო დაინტერესებულ საზოგადოებას არანაირი საშუალება არ რჩება, რომ ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად იმოქმედებს გარემოზე. ასეთ პირობებში საქართველოს მოსახლეობას საკუთარი უფლებების დასაცავად და აზრის გამოსახატავად მხოლოდ პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმები რჩება. სამწუხაროა, რომ გამჭვირვალე პროცედურის დამკვიდრება, რომელიც მხოლოდ წაადგებოდა ინტერესთა კონფლიქტების აღმოფხვრასა და ხელს შეუწყობდა სამოქალაქო კონფრონტაციის დარეგულირებას, 2008 წლის ბოლომდე არ წარმოადგენდა სატყეო სექტორთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიმღებთა პრიორიტეტს. ამით, ნებსით თუ უნებლიედ, ისინი ხელს უწყობენ კორუფციის შესაძლებლობის გაჩენას და საზოგადოებაში დაძაბულობის კერის გაღვივებას.

- ***<u>ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი სალიცენზიო პირობები.</u>*** საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ტყითსარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს ტყეთმოწყობის (ინვენტარიზაციის) მონაცემების საფუძველზე, რომელიც უნდა ახლდებოდეს მინიმუმ 10 წელიწადში ერთხელ. ტყეთმოწყობის საფუძველზე დგინდება ტყის ფონდის საზღვრები (ფართობები), სახეობრივი შემადგენლობა, მერქნითი მარაგები, მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და ოდენობა (კვოტები), ტყით სარგებლობის ეკოლოგიური მოთხოვნები, ტყის დაცვის, მოვლის, კვლავწარმოებისა და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის ღონისძიებები და ა.შ. როგორც წესი, 2007-08 წლებში აუქციონზე გადიოდა ისეთი სალიცენზიო ობიექტები, რომლებზეც ტყეთმოწყობის ვადა გასული იყო. ამ გარემოებამ წარმოშვა შემდეგი პრობლემები: ინვესტორებმა მიიღეს არასწორი მონაცემები სალიცენზიო ობიექტების შესახებ; აუქციონებზე გამოტანილი ასათვისებელი რესურსის ოდენობა განსხვავებული იყო რეალურისგან, რაც ერთის მხრივ საფრთხეს უქმნის ტყის ეკოსისტემებს, ხოლო მეორეს მხრივ ლახავს ინვესტორთა (ლიცენზიის მფლობელთა) ინტერესებს; სალიცენზიო პირობებში მოცემული ლიცენზიანტების ვალდებულებები არ შეესაბამება მათ უფლებებს. უმეტესი სალიცენზიო პირობების შესრულება შეუძლებელია, რის გამოც ლიცენზიის გამცემმა ან ლიცენზიის გაუქმების საკითხი უნდა დასვას პირობების შეუსრულებლობის გამო, ან თვალი დახუჭოს მათ დარღვევაზე. ასეთი ურთიერთობა ლიცენზიის გამცემსა და მიმღებს შორის კორუფციულ გარემოს ქმნის. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ინვესტიციას მხოლოდ ის ჩადებს, ვისაც გარკვეული წინასწარი გარანტია ექნება, რომ ლიცენზიის პირობების დარღვევის გამო მას საქმიანობის უფლებას არ ჩამოართმევენ. აღსანიშნავია, რომ 2007–08 წლებში დამკვიდრებული პრაქტიკით, ურთიერთობა ლიცენზიანტსა და სახელმწიფოს შორის ლიცენზიით განსაზღვრული რესურსების მართვის საკითხში, დამყარებულია ინტერესთა კონფლიქტებზე: ლიცენზიების მიღების შემდეგ ლიცენზიის მფლობელი, ანუ დაინტერესებული მხარე, ატარებს ტყეების სრულ ინვენტარიზაციას და ადგენს მის მიერვე მოსაპოვებელი

რესურსის ოდენობას[42]. ტყის მართვასთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება, რომელიც საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო უნდა ასრულებდეს – წინასწარ განახორციელოს ტყის ფონდის დეტალური ინვენტარიზაცია, განსაზღვროს და დაადგინოს ხე-ტყის დამზადების უბნების რიგითობა და ვადები, დაგეგმოს ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ღონისძიებები ინვენტარიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, განახორციელოს უკანონო ჭრების კონტროლი და ტყის ფიზიკური დაცვა და ა.შ., ინტერესთა კონფლიქტია, იმ წესშიც, რომლის მიხედვითაც ლიცენზიანტის ტყითსარგებლობის გეგმა, ეყრდნობა მისივე, ანუ დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ მონაცემებს. უფრო მეტიც, თავად ლიცენზიანტი ადგენს მის მიერ შესასულებელი სამუშაოს ტექნიკურ დავალებას. ამ შემთხვევაში ერთადერთი დამცავი მექანიზმი არის იმ პირების (მეტყევეების, ტაქსატორებისა და სხვა სპეციალისტების) პიროვნული კეთილსინდისიერება და პრინციპულობა, რომლებიც ლიცენზიანტის შეკვეთით უშუალოდ ახორციელებენ ინვენტარიზაციას (ტყეთმოწყობას) და ადგენენ ტყითსარგებლობის გეგმას.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ 2007–2008 წლებში ტყითსარგებლობის აუქციონის საწყისი ფასის დადგენის პრაქტიკაზე. კანონმდებლობით, სარგებლობის ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი დგინდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული "სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად (ამ აქტის გამოსვლამე დგინდებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ანალოგიური შინაარსის ბრძანებით). აუქციონის საწყისი ფასის დადგენა ხდება სპეციალური ფორმულით და ემყარება ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი რესურსის მთლიანი მოცულობას, ანუ 20 წლის განმავლობაში მოსაპოვებელი მერქნის ოდენობას. 2007 წლის 1 მაისის ტყითსარგებლობის აუქციონთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საჩივრებსა და სასამართლოს სარჩელებში მწვანე ალტერნატივა მიუთითებდა, რომ ვინაიდან მოსაჭრელი მერქნის მოცულობის დადგენა ხდება ვადაგასული ტყეთმოწყობის მონაცემებით და ბრძანებაში მოცემული წესით (ფორმულით) დადგენილი საწყისი ფასი არ შეესაბამება სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეს არგუმენტები ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას არ იქნა გაზიარებული, დარღვევა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ მომდევნო აუქციონების ფასის დაანგარიშებისას ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ „მეთოდები შეცვალა".

2008 წლის ოქტომბერში გამართულ აუქციონებზე გატანილი ლოტების საწყისი ფასი დადგინდა არა ზემოხსენებული მინისტრის ბრძანებაში მოცემული ფორმულის გამოყენებით, არამედ საქართველოს მთავრობის სხდომის №33 საოქმო ჩანაწერით. ამ ჩანაწერის მიხედვით, მთავრობამ მოიწონა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინადადება აუქციონის საწყისი ფასის შესახებ. შეგახსენებთ, რომ პირველ თავში აღვნიშნეთ, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2008 წ 2 სექტემბერს მიაწოდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აუქციონზე გასატანი ტყის ფართობების ჩამონათვალი. უკვე მეორე დღეს, 2008 წლის 3 სექტემბერს წარადგინა ამ უწყებამ მთავრობის სხდომაზე წინადადებები აუქციონის საწყის ფასთან დაკავშირებით, ხოლო აუქციონი მომდევნო დღეებში, 2008 წლის 4 და 5 სექტემბერს გამოცხადდა. რითი იყო ასეთი სიჩქარე გამოწვეული და ვის ინტერესებს ემსახურებოდა, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არანაირი ოფიციალური დოკუმენტი არ მოიპოვება იმის თაობაზე, თუ რა მეთოდით დადგინდა აუქციონის ლოტებისთვის ფასები. შეგახსენებთ, რომ ამ პერიოდში ნახევარი საქართველო ოკუპირებული იყო რუსეთის რეგულარული არმიის მიერ, ხოლო ბორჯომისა და ატენის ხეობის ტყეებში სამხედრო აგრესიით გამოწვეული ხანძარი ჯერ კიდევ მძვინვარებდა!

იგივე „მეთოდით", ანუ მთავრობის და არა ეკონომიკური განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებით, დადგინდა ფასი 2008 წლის 11 დეკემბერს დანიშნული აუქციონისათვის, თუმცა ამ შემთხვევაში გამოიცა მთავრობის განკარგულება (იხ. თავი I).

2008 წლის 13 ნოემბერს მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მოითხოვა 11 დეკემბერს დანიშნული აუქციონის ლოტებზე საწყისი ფასის დადგენის ამსახველი დოკუმენტების ასლების მოწოდება. მოთხოვილი დოკუმენტების ნაცვლად (სადაც ნაჩვენები იქნებოდა საწყისი ფასის დადგენის მეთოდოლოგია), ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განმცხადებელს გაუგზავნა „გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის №732 განკარგულების ასლი. აღნიშნულ განკარგულებაში არაფერი იყო ნათქვამი იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა ამ კონკრეტული აუქციონის საწყისი ფასის დადგენა. მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მიმართა

[42] გაურკვეველია რა ხდება, როდესაც ფიქსირდება ცდომილება ლიცენზიის გაცემისას დადგენილ კვოტასა და ინვენტარიზაციის შედეგად მიღებულ მონაცემს შორის, რასაც აქვს ადგილი ახლა მოქმედ ლიცენზიატებთან. ერთ-ერთი 20 წლიანი ლიცენზიის მფლობელის - „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტის" ლიცენზიით (სამეგრელო–ზემო სვანეთი) დამაგრებული ტყეების ინვენტარიზაციის შედეგად დადგინდა, რომ ყოველწლიურად მოსაპოვებელი რესურსის ოდენობა ლიცენზიაში დაფიქსირებული ოდენობის ნახევარსაც ვერ აღწევს. ასეთივე ვითარებაა მეორე ლიცენზიანტის – „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანიის" ლიცენზიის (ყვარელი) შემთხვევაში

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია, თუ რა მეთოლოგიით მოხდა აღნიშნული აუქციონის ლოტებზე საწყისი ფასის დადგენა და ამ მეთოდოლოგიის გამოყენების ამსახველი დოკუმენტაციის ასლი. საპასუხო წერილში, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გაიმეორა, რომ „აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვრა „გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის №732 განკარგულებით“ და ამ წერილს ამ განკარგულების ასლი დაურთო.

ვინაიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გადაწყვეტილების მიმღებად პრემიერ-მინისტრს ასახელებდა, 2008 წლის 8 დეკემბერს მწვანე ალტერნატივამ მას მიმართა თხოვნით, მოეწოდებინა იმ დოკუმენტების ასლები, რომელთა საფუძველზეც მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის №732 განკარგულების დანართში წარმოდგენილ თითოეულ ლოტზე აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრის თაობაზე. ეს განცხადება მთავრობის კანცელარიამ გადაუგზავნა ისევ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და დაავალა მწვანე ალტერნატივასთვის პასუხის გაგზავნა. სამინისტრომ 2008 წლის 12 დეკემბერს მოთხოვნილი ინფორმაციის ნაცვლად, უკვე მერამდენედ მწვანე ალტერნატივას გაუგზავნა „გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 6 ნოემბრის №732 განკარგულების ასლი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანების „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე“ ასლი. ამდენად, ცხადი გახდა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არანაირი დოკუმენტი არ შექმნილა აუქციონის საწყისი ფასის გაანგარიშებასთან დაკავშირებით. ეს ბადებს ეჭვს, რომ ფასის დადგენა ხდება ინვესტორებთან წინასწარი მოლაპარაკებით, პრინციპით „რამდენის გადახდა შეგიძლია“.

მწვანე ალტერნატივას მიერ პრემიერ-მინისტრთან წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში, (3.10.2008, სარეგისტრაციო ნომერი 25/203), გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ სალიცენზიო პირობები მისადაგებულია კონკრეტულ პრეტენდენტზე, აუქციონის გამოცხადებამდე კერძო მოლაპარაკების შედეგად. განსაკუთრებით, ეს იკვეთებოდა სალიცენზიო პირობაში, რომელიც ავალდებულებდა გამარჯვებულ პირს იმერეთის რეგიონში 3 წლის ვადაში ხის გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას. ეს ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ლიცენზია მიიღო ორგანიზაციამ, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი არის სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე ზ. ჭეიშვილი. მოგაგონებთ, რომ სწორედ ზ. ჭეიშვილმა, როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ, რომელიც ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებას კურირებდა, აცნობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილება აღნიშნული აუქციონის გამართვის შესახებ და მოითხოვა ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ტყის ფართობებისა და სალიცენზიო პირობების შესახებ (იხ. თავი I, თარიღი–22.05.08).

- ***ინტერესთა კონფლიქტი***. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მიხედვით, „განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე განთავისუფლების დღიდან 3 წლის მანძილზე არ შეიძლება სამსახურში შევიდეს იმ დაწესებულებაში ან საქმიანობას ეწეოდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე არ აქვს უფლება ასეთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მიიღოს შემოსავალი“.

ქართულ-ჩინური საწარმოს „ჯორჯიან ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტის“ (ხე-ტყის დამზადების მოქმედი 12 ხანგრძლივვადიან ლიცენზიიდან ეს ორგანიზაცია 6–ს ფლობს, რაც მოიცავს ლიცენზიით გაცემული ფართობების 76%–ს. ამ ლიცენზიებისათვის გამართულ არც ერთ აუქციონზე მას კონკურენტი არ ჰყოლია) ერთ-ერთი ხელმძღვანელი ზემოთ არის არაერთხელ ნახსენები ზვიად ჭეიშვილი[43]. თავად ჭეიშვილი იმით იმართლებს თავს, რომ სრული სამი წელი არ ზედამხედველობდა სატყეო სექტორს და ამდენად უფლება ჰქონდა ამ სამსახურში გადასულიყო. თუ ასეთი მსჯელობა სწორია (რასაც ბევრი იურისტი არ ეთანხმება), ეს ნიშნავს, რომ კანონმდებლობა უშვებს ინტერესთა კონფლიქტს და კორუფციული კანონმდებლობა გვაქვს. მეორეს მხრივ, ყველასათვის ცნობილია, რომ ეს პიროვნება როგორც კახა ბენდუქიძის გუნდის წარმომადგენელი, 2005 წლიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მთავარი გადაწყვეტილების მიმღები იყო, განსაკუთრებით სატყეო სექტორთან მიმართებაში. იგი ჯერ იყო ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი (ანუ უშუალოდ ეხებოდა ლიცენზირება), შემდეგ მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსი (ხელმძღვანელობდა სატყეო რეფორმას), შემდეგ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარე, შემდეგ კი ჯერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ხოლო მოგვიანებით, ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის რანგში კურირებდა სატყეო სექტორს.

---

[43] წყარო: კონტრაქტები ამ ორგანიზაციასა და გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტს შორის, ასევე დანიურ „ნეპკორთან“; ასევე იხ. ვებ-პოტალი: humanrights.ge – „ტყის რეფორმის სავალალო შედეგები”, თეა თოფურია.

ამ საკითხთან დაკავშირებით კონტროლის პალატის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის პოზიცია ასეთია: "ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია. პრობლემა მართლაც არსებობს და აუცილებლად საჭიროებს სათანადო ყურადღებას. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს ერთობლივი მონიტორინგი და ყოფილი თანამდებობის პირების მიერ საჯარო სამსახურის შესახებ. საქართველოს კანონის 65-ე მუხლის დარღვევაზე, შესაბამის ზედამხედველობასა და რეაგირებას, უპირველესად უნდა აკეთებდეს უწყება, სადაც ეს პირი ადრე მუშაობდა. ასევე, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ამ საკითხით აუცილებლად უნდა ინტერესდებოდეს სამართალდამცავი ორგანოებიც. რაც შეეხება საქართველოს კონტროლის პალატას, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჩვენც შეგვიძლია ჩვენი წვლილის შეტანა და სხვადასხვა უწყებებში სათანადო შემოწმებების განხორციელებისას, შესაძლებელია ვუზრუნველყოთ თქვენს მიერ დასმული საკითხის შემოწმება და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება"[44].

ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხს სამართლებრივ შეფასებას მისცემენ იურისტები, არა მხოლოდ "საჯარო სამსახურის შესახებ კანონის", არამედ "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული ისეთი კონვენციების ჭრილში, როგორებიცაა "გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ," "კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენცია", "კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია".

ამრიგად, ტყითსარგებლობის ლიცენზირებისას სახეზეა ინტერესთა კონფლიქტების აშკარა ნიშნები, რაც განაპირობებს სექტორში მონოპოლისტი კომპანიის ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს არ უწყობს ხელს სატყეო სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ჯანსაღ კონკურენციასა და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

- ***<u>გარემოსდაცვითი საკითხების უგულებელყოფა.</u>*** ხე-ტყის დამზადების სალიცენზიო ობიექტების შერჩევისას საერთოდ არ ხდება შეფასება, თუ რამდენად მიზანშეწონილია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით კონკრეტული ტყის ფართობის გამოყოფა ხე-ტყის დამზადების მიზნით. შედეგად, ტყის ჭრისთვის გაიცემა მაღალი კონსერვაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების ტყეები, რომლებიც ისეთივე გაფრთხილებას საჭიროებენ, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; ამასთანავე როგორც პოტენციურ დაცულ ტერიტორიებსა და კურორტებს, უდიდესი რეკრეაციული და ტურისტული პოტენციალი გააჩნიათ. კავკასიონზე შემორჩენილი ტყის მასივებს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ეს არის ზომიერ სარტყელში შემორჩენილი უკანასკნელი ხელუხლებელი ტყეები. საქართველოში ინტაქტური ტყეები შეადგენენ მთლიანი ტყის ფართობების 17,2 %-ს, ხოლო მათგან დაცული სტატუსი მხოლოდ 2%-ს გააჩნია[45]. დანარჩენი შედის სამეურნეო ტყის ფონდში. ტყითსარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების პირობებში გარემოსდაცვითი მოთხოვნები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მართალია, აღნიშნულია, რომ „ლიცენზიანტი ვალდებულია დაიცვას მაღალი კონსერაციული (გარემოსდაცვითი) ღირებულების ტყეები“, მაგრამ ასეთი სტატუსის იდენტიფიცირება ისევ ინვესტორზეა მინდობილი. გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებისათვის სახელმწიფო წინასწარ უნდა ადგენდეს, თუ რომელია დასაცავი ტყეები და არ შეიტანოს სალიცენზიო ობიექტებში, ან ასეთის გარდაუვალობის შემთხვევაში, მოახდიოს ლიცენზიაში მათი იდენტიფიცირება (სატყეო კვარტლების მითითებით) და დააწესოს მკაფიო მოთხოვნები ლიცენზიანტისადმი ამ ტყეებში ინ-სიტუ კონსერვაციული ღონისძიებების გასატარებლად.

ზემოხსენებული მოთხოვნების უგულებელყოფით ირღვევა ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები, რომელიც მას აღებული აქვს გარემოს დაცვასა და ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებით: კონვენცია „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ და მისი დოკუმენტები (“ტყეებთან დაკავშირებული სამოქმედო პროგრამა” CBD COP 6 Decision VI-22 და სხვ.), ორჰუსის კონვენცია, ევროკავშირის დირექტივები (მაგ. „ჰაბიტატების დირექტივა“), ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის (MCPFE) გადაწყვეტილებები, “ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის სატყეო სექტორში კანონაღსრულებისა და მმართველობის” დეკლარაცია (ENA-FLEG) და სხვ. თითოეულ მათგანში ეკოლოგიურ მოთხოვნებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოების მონაწილეობას და ტყის მართვის გამჭვირვალობას. ამგვარი ქმედებები, მით უმეტეს, როდესაც ისინი მოტივირებულია კერძო ინტერესების ლობირებით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ავტორიტეტს. ასეთი ნაბიჯების პოლიტიკური ფასი გაცილებით აღემატება ბიუჯეტის მიერ მიღებულ ერთჯერად შემოსავალს.

- ***<u>ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა ტყის რესურსებით.</u>*** წინა თავებში დაწვრილებით განვიხილეთ, რომ დაუხვეწავი კანონმდებლობისა და სატყეო სამსახურების გაუმართავი სტრუქტურის გამო, კანონიერად მერქნის მოპოვება მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის ფიზიკურად შეუძლებელია. ამ პირობებში გაურკვეველი წარმოშობის ინვესტორებზე ტყეების გადაცემა უდიდეს აგრესიას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში.

---

[44] იხ. commersant.ge –11.12.2008; http://commersant.ge/index.php?pg=nt&id=3379&ct=18

[45] წყარო: http://www.intactforests.org/statistics/countries/georgia.htm

- ***<u>სალიცენზიო პირობების შესრულების სუსტი კონტროლი.</u>*** 2007–08 წლებში სატყეო სექტორის მონიტორინგმა ნათლად აჩვენა, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევს სალიცენზიო პირობების შესრულებას და არ ახდენს სათანადო რეაგირებას მათ დარღვევაზე.

მე–6 თავში აღვწერეთ შემთხვევა, როცა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების „წითელ ნუსხაში“ შეტანილი წაბლის მერქნის მოპოვებაზე 2005 წელს დადებული ხელშეკრულების პირობები არ შესრულდა, მიუხედავად ამისა, 2008 წლის ოქტომბერში მთავრობამ გადაწყვიტა ამ ხელშეკრულების გაგრძელება.

არანაკლებ სავალალო მდგომარეობაა ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. მწვანე ალტერნატივამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ტყით სარგებლობის ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების პირობები ვერ უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემების დაცვას და უგულვებელყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს; ზოგიერთი პირობა შეუსრულებელი დარჩებოდა და მათი გაცემიდან ერთი წლის შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლება იძულებული გახდებოდა ან გაეუქმებინა ლიცენზიები, ან თვალი დაეხუჭა მათ დარღვევებზე.

პირველი ლიცენზიების გაცემიდან რამდენიმე თვეში მოხდა სალიცენზიო პირობების გაიოლება. 2007 წლის 24 სექტემბერს გამოიცა მთავრობის №203 დადგენილება ,,ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ". ამ აქტით ტყითსარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა: ამოღებული იქნა მოთხოვნა ტყითსარგებლობის მართვის გეგმის სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) პრინციპებთან შესაბამისობის შესახებ; „სალიცენზიო პირობები“ ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, სადაც ლიცენზიის მფლობელთა მიერ წარმოსადგენ გეგმასთან დაკავშირებით განისაზღვრა განსხვავებული ვადები და მოთხოვნები, კერძოდ: „ე) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა; ვ) ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად წარადგინოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა“. ამრიგად, მთავრობის დადგენილების ამ რედაქციით, 2007 წლის 3 მაისს გაცემული ლიცენზიანტების მიერ ტყით სარგებლობის გეგმის წარმოდგენა უნდა მომხდარიყო ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა, ანუ არა უგვიანეს 2008 წლის 4 მარტისა. ვადებთან დაკავშირებით სხვა კონკრეტული თარიღი ან გამონაკლისი არ არის ამ დებულებაში, რომელიც იტყოდა, რომ ამ კონკრეტული ლიცენზიებისთვის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს სხვა თარიღიდან და არა 2007 წლის 3 მაისიდან.

მიუხედავად იმისა, რომ მოხდა სალიცენზიო პირობების გაიოლება, ისინი მაინც არ შესრულებულა განსაზღვრულ დროში. არსებობდა ყველანაირი საფუძველი იმისა, რომ შესაბამის უწყებებს დაეყენებინათ ლიცენზიანტების პასუხისმგებლობის საკითხი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის გამო, ამ ლიცენზიების გაუქმების ჩათვლით. ამის ნაცვლად, 2008 წლის 26 ივნისს გამოცემული საქართველოს მთავრობის №140 დადგენილებით განისაზღვრა: „ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე გაცემული ხანგრძლივვადიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2009 წლის 1 იანვრამდე წარუდგინონ დასამტკიცებლად ტყით სარგებლობის გეგმა.“

მოქმედი კანონმდებლობა მეტად მწირ შესაძლებლობებს ქმნის გაცემული ლიცენზიების საკონტროლებლად. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 21–ე მუხლის 10–ე პუნქტის თანახმად, სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. თუმცა ამ შესაძლებლობის გამოყენებაც არ ხდება სრულად. ამ პერიოდში სულ ხე-ტყის დამზადების ხანგრძივვადიანი 3 მოქმედი ლიცენზია იყო, მაგრამ მხოლოდ ერთს ჩაუტარდა "შერჩევითი შემოწმება".

- ***<u>ზოგიერთი სხვა პრობლემა რომელიც ხელს უწყობს ტყეების დეგრადაციას.</u>*** ინვენტარიზაციის განახლებული მონაცემების არარსებობის გამო შეუძლებელია ქვეყნის ტყეების საერთო მდგომარეობის ობიექტური სურათის დადგენა. ამ პირობებში შეუძლებელია ტყითსარგებლობის დაგეგმვა და სწორი სტრატეგიის განსაზღვრა. სამაგიეროდ, ტყის ჭრის ლიცენზირების ფართომასშტაბიანი კამპანიის გასამართლებლად, ხდება მოძველებული რიცხობრივი მონაცემებით არასწორი მანიპულირება: თითქოს საქართველოს ტყის ფონდი მოიცავს დაახლოებით 3 მილიონ ჰა-ს მოიცავს, სადაც წლიური შემატება 3,5 მილიონი კუბური მეტრია და შესაძლებელია ამ რიცხვთან მიახლოებული მოპოვების კვოტის დაწესება, რისი მტკიცებაც არ მიგვაჩნია მართებულად. ამ რიცხვებით მანიპულირება მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებზეა გათვლილი. საქმე ისაა, მონაცემები ტყით დაფარული ფართობების, მერქნული რესურსის საერთო მოცულობისა და მთლიანი საშუალო წლიური შემატების შესახებ ეყრდნობა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მიღებულ მონაცემებს. ამ პერიოდის შემდეგ კი საქართველოში ტყეების ჩეხვამ უპრეცენდენტო მასშტაბებს

მიაღწია. ამასთანავე, ქვეყნის ტყით დაფარული ფართობის ამ რაოდენობაში (3 მლნ ჰა) შედის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონის ტყეებიც (დაახლოებით 530000 ჰა), ასევე დაცული ტერიტორიები (370000 ჰა); უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოს ტყეების უმეტესობა განლაგებულია დიდი დაქანების ფერდობებზე, სადაც გარემოსდაცვითი მოსაზრებებითა და ტყის ჭრის წესებით, ხე-ტყის მოპოვება აკრძალულია (კერძოდ, ტყეებს რომლებიც განლაგებულია 36 გრადუსზე მეტი დაქანების ფერდობებზე და ჭრა აკრძალულია, უკავიათ 710000 ჰა, ხოლო 31–35 გრადუსით დაქანებულ ფერდობებზე განლაგებულ ტყეებს, სადაც ჭრა შეზღუდულია – 589000 ჰა); 530 000 ჰა უკავია ყოფილ საკოლმეურნეო ტყეებს, სადაც მექნის რესურსები პრაქტიკულად მთლიანად განადგურებულია. წლიური შემატების საერთო მოცულობა არანაირ პირდაპირ კორელაციაში არ არის ყოველწლიურად დასაშვებ მოპოვების კვოტასთან. საქართველოს პირობებში წიწვოვანი ხე-მცენარე მოსაჭრელ კონდიციას აღწევს დაახლოებით 70 წლის, ხოლო ფოთლოვანი - 100-150 წლის ასაკში, (ანუ საშუალოდ 100 წელი სჭირდება ხეს, რომ მოსაჭრელი გახდეს). ელემენტარული გამოთვლით, თუ ყოველი 100 ხიდან 100 წელიწადში იჭრება 1-ზე მეტი, ადგილი აქვს ეკოსისტემის დეგრადაციას. ამდენად, საქართველოში ხე-ტყის მრეწველობის განვითარებისა და ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგად გადაქცევაზე გაკეთებული პროგნოზები ზედმეტად გაზვიადებული თუ არა, ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტურად დაუსაბუთებელია. ასევე არასწორია ფართომასშტაბიანი ლიცენზირების დასაბუთება სამუშაო ადგილების შექმნით. მართალია სალიცენზიო პირობებში აღნიშნულია, რომ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, რომ დასაქმებულთა 98% იყოს საქართველოს მოქალაქე, მაგრამ არავინ სვამს კითხვას, რამდენი ადამიანი შეიძლება იყოს ეს 98%. მეწარმემ, რომელიც ფლობს ხანგრძლივვადიან ლიცენზიას რომელიმე რაიონში, შეიძლება დაასაქმოს დაახლოებით 70 ადამიანი, მაშინ როდესაც თითოეულ რაიონში ტყეს იყენებს რამდენიმე ათასი მოსახლე. ამდენად, ტყითსარგებლობის პოლიტიკის დაგეგმვისას უნდა გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ტყეს საქართველოში უფრო სოციალური ფუნქცია გააჩნია, ვიდრე ეკონომიკური.

ტყეების დეგრადაციას და რესურსების არამდგრად გამოყენებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ დამამზადებლები ტყეში მუშაობისას იყენებენ მოძველებულ ტექნიკას (ყოფილი „ტყემრეწვის“ ბალანსიდან ჩამოწერილი ტექნიკა, რომლის გამოყენებას იწვევს დასაშვებ ნორმაზე მეტი ხეების დაზიანებას, მოზარდის განადგურებას, ნიადაგის საფარის მოხსნას და ა.შ.); ხე-ტყის დამზადება-გადამუშავებას აწარმოებენ პირები, რომლებსაც არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ ამ სფეროში (არ არსებობს სერტიფიცირებული მეტყევეების ინსტიტუტი).

საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ აუქციონის ლოტებად ტყეები ისეა დაყოფილი, რომ უცილობლად გამოიწვევს ეკოსისტემების რღვევას; 20–წლიანი ლიცენზიებით ამორჩევით არის გაცემული ტყის საუკეთესო კვარტლები, რომლებიც ხშირად დიდი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისგან. ასე დაყოფილი ტყეებისათვის შეუძლებელია ერთიანი მართვის გეგმის შემუშავება, ხოლო ლიცენზიით მოცულ ტერიტორიებს შორის არსებული ტყის ფართობები პრაქტიკულად დაუცველია უკანონო ჭრებისგან.

ტყითსარგებლობის არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდება: ინვესტორები, რომელთა ბიზნესსაც ხე-ტყის დამზადება წარმოადგენს, მოიპოვებენ იმდენ მერქანს, რამდენიც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ მოგებას; მათი ბიზნეს გეგმები გათვლილია ლიცენზიაში დაფიქსირებულ კვოტაზე, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეალურად არსებულ მერქნის მარაგებს – ამაზე მეტის მოპოვება კი არ არის დასაშვები ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ვინაიდან ტყის ეკოსისტემები სწრაფად დეგრადირდება. ამავე ტყეებში ადგილობრივი მოსახლეობა მოიპოვებს იმდენს, რამდენიც აუცილებელია მათთვის და მეტსაც, ხოლო ლიცენზიის მფლობელი ამაში წინააღმდეგობას ვერც გაუწევს (ვინაიდან არ გააჩნია უფლებამოსილება) და არც იქნება დაინტრესებული ამაში, ვინაიდან შესაძლებლობა ექნება ხე-ტყე თავადაც უკანონოდ მოიპოვოს და ადგილობრივ მოსახლეობას გადააბრალოს, ან ადგილობრივი მოსახლეობისგან თავად ჩაიბაროს უკანონოდ მოპოვებული ხე–ტყე გადასამუშავებლად. ლიცენზიების კონტროლის მექანიზმი სუსტია: მაკონტროლებელს მხოლოდ ლიცენზიის აღებიდან ერთი წლის შემდეგ შეუძლია სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმება, ისიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ. უკანონო ჭრები გაიზრდება ლიცენზიით გაცემული ფართობების მიმდებარე ტყეებში (საქმე ისაა, რომ დღეისათვის უკანონო ჭრების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არის სატყეო გზების არარსებობა. ლიცენზიანტების მიერ გაყვანილი გზებით შესაძლებელი იქნება ტყის იმ კვარტლებში მიღწევაც, რომლებსაც არ მოიცავს ეს ლიცენზია. იმ პირობებში, როდესაც ერთ ფეხოსან ტყის მცველს ევალება ხუთი ათასი ჰექტარი ტყის გაკონტროლება, ძნელი სავარაუდო არ არის, რომ უკანონო ჭრების აღკვეთა პრაქტიკულად შეუძლებელი ამოცანა იქნება). საბოლოო ჯამში, ასეთი პრაქტიკა გამოიწვევს რესურსის ამოწურვას, ამ რესურსზე დამოკიდებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბებას და უარყოფითი გეოლოგიური პროცესების პროვოცირებას, საბოლოოდ - მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას-ეკომიგრაციას.

დასასრულს, წარმოგიდგენთ რამდენიმე ციტატას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2006-07 წლებში მომზადებული დოკუმენტიდან „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია სახელმწიფო ტყეების მართვისა და რესურსებით სარგებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით (რეფორმის კონცეფცია). ეს დასკვნები გამოტანილი იქნა ტყითსარგებლობის საერთაშორისო პრაქტიკისა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ანალიზის შედეგად: „ტყითსარგებლობის

უფლების გრძელვადიანი პერიოდით გადაცემასთან დაკავშირებული კონტრაქტები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი შემოსავლების გენერირებას და ტყეების მდგრადი მართვის გაუმჯობესებას. ასეთი წარუმატებლობის განმაპირობებელი მიზეზები ძირითადად შემდეგია: სარგებლობაში გადაცემული რესურსების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და არასანდოობა; იმ ორგანიზაციების შერჩევასთან დაკავშირებულ პროცედურების ნაკლოვანებები, რომლებსაც ტყის რესურსებით სარგებლობის უფლება გადაეცემა; ამ ორგანიზაციების მიერ გადასახდელი გადასახადების მოცულობის არასწორი განსაზღვრა; კონტრაქტის პირობებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, რის შედეგადაც არასათანადოდ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები; კონტრაქტის შესრულებაზე არასათანადო მონიტორინგი და კონტრაქტის პირობების შესრულების თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებები ... ტყითსარგებლობის უფლების გრძელვადიანი პერიოდით გადაცემა მხოლოდ სატყეო სექტორის ეროვნული პოლიტიკისა და იმ სექტორების პოლიტიკის განსაზღვრისა და მიღების შემდეგ უნდა განხორციელდეს, რომლებიც სატყეო სექტორთან არიან დაკავშირებული ... გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შესაძლებელია დეტალური ინვენტარიზაციის ჩატარება ტენდერში მონაწილეს დაავალოს. შედეგად, შეიძლება ზოგმა კომპანიამ აღარ გამოხატოს ტენდერში მონაწილეობის სურვილი. ამიტომ, კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, უკეთესია, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავად ჩაატაროს ინვენტარიზაცია. სამინისტრო გაწეულ დანახარჯებს ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებით დაწესებული გადასახადიდან ამოიღებს. ტენდერების სისტემა ისე უნდა შემუშავდეს, რომ საუკეთესო წინადადება შეირჩეს, რომელიც სრულად უპასუხებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მიზნებს. არ არის სავალდებულო, რომ წინადადება ყველაზე მაღალ ფასს სთავაზობდეს“.

ამ ამონარიდების წაკითხვისას უნებურად იბადება აზრი, რომ სატყეო სექტორის რეფორმის ინიციატორებმა ჯერ საფუძვლიანად შეისწავლეს, რა უნდა გაკეთდეს ტყის მდგრადი მართვის არაკორუმპრებული სისტემის შესაქმნელად და შემდეგ მიზანმიმართულად, საპირისპიროდ მოიქცნენ.

VIII. დასკვნა და რეკომენდაციები

ბოლოს კიდევ ერთხელ შევაჯამოთ 2007–2008 წლებში საქართველოს სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესები და მათი შედეგები:

- ეროვნული სატყეო პოლიტიკის შემუშავების პროცესი ჩაიშალა. ქვეყანას ამ მომენტისთვის არ გააჩნია სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი რაიმე დამტკიცებული ეროვნული დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის არარსებობის გამო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ცვლილებების მიხედვით, რამდენჯერმე შეიცვალა ე.წ. "რეფორმის" გეზი.
- ჩაიშალა ახალი ტყის კოდექსის შექმნის მცდელობა. სატყეო სექტორთან დაკავშირებული მოქმედ კანონმდებლობაში შევიდა არაერთი უსისტემო ცვლილება. ამ ეტაპზე სატყეო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ შეესაბამება ტყეების მდგრადი მართვის პრინციპებს, სხვადასხვა დროს მიღებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან.
- ამ პერიოდში სატყეო დეპარტამენტში განხორციელდა სტრუქტურული და საკადრო (საკმაოდ ხშირი) ცვლილებები, დასაქმდნენ სატყეო და გარემოსდაცვითი განათლებისა და შესაბამისი გამოცდილების არმქონე ადამიანები. ჩამოყალიბდა ტყის მართვის გაუმართავი ინსტიტუციური მოდელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ტყეების მდგრად მართვას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დროულად და შეუფერხებლად სატყეო რესურსების ხელმისაწვდომობას და ტყეების დაცვას; საერთოდ შეწყდა ტყეების გაშენება–აღდგენის, ტყის ხანძრების პრევენციის, მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები.
- ვერ განხორციელდა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადაცემა;
- 2007 წლის დასაწყისში გარკვეულწილად შემცირდა უკანონო ჭრები, ძირითადად გდი–ს და სატყეო დეპარტამენტში კადრების ცვლისა ("ახალი ცოცხი კარგად გვის") და მათი დამსჯელი ღონისძიებების გააქტიურება–გამკაცრების ხარჯზე. 2007 წლის ბოლოდან ისევ მოიმატა ტყის ჭრისა და დეგრადაციის მასშტაბებმა, რაც განპირობებული იყო ე.წ. "შეშის ვაუჩერის" კამპანიით, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების გამო კონტროლის შესუსტებით, ერთწლიანი ლიცენზიებისთვის დაუსაბუთებლად ვადის გაგრძელებით, ტყის მცველების რაოდენობის გაუმართლებელი შემცირებით, ტყის რესურსების მოპოვების ლეგალური ბაზის გაუმართავობით და სხვ.
- 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო აგრესიამ როგორც პირდაპირი, ისე ირიბი უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს ტყეებზე. პირდაპირ ზეგავლენაში იგულისხმება უშუალოდ სამხედრო მოქმედებებით მიყენებული ზიანი. ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბორჯომისა და ატენის ხეობებში გაჩენილი ტყის ხანძრის შედეგად დაიწვა შესაბამისად 1000–მდე და 50 ჰა ტყე; მცირე

მასშტაბის ხანძარი იყო სურამის, ხარაგაულის, კოჯრის, ხაიშის ტყის მასივებში. არაპირდაპირ ზეგავლენას შეიძლება მიეკუთნოს ომის შედეგად წარმოშობილი პრობლემების მოსაგვარებლად ტყის რესურსების სწრაფი და მასშტაბური ათვისება. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გამოიყო 146000 კუბურ მეტრამდე საშეშე და 40000 კუბურ მეტრამდე სამასალე მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფები. ამ გადაწყვეტილებებით მოჭრილი ხე–ტყის რაოდენობა გაცილებით აღემატება უშუალოდ სამხედრო აგრესიის შედეგად გადამწვარ ტყის მასივების ოდენობას.

- მნიშვნელოვნად გაუარესდა მდგომარეობა სატყეო საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით. 2007 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს სატყეო დეპარტამენტსა და სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) შორის, თუმცა ამ მემორანდუმის შესასრულებლად სატყეო დეპარტამენტს არაფერი არ გაუკეთებია. ასევე არაფერი არ გაკეთებულა ისეთი საერთაშორისო ინიციატივების გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, როგორებიცაა "ევროპისა და ჩრდილოეთ აზიის სატყეო სექტორში კანონაღსრულებისა და მმართველობის" (ENA FLEG) დეკლარაცია და „ევროპის სატყეო სექტორთან დაკავშირებული მინისტრთა კონფერენცია" (MCPFE). მთავრობის მიერ ხელშეკრულების პირობების სისტემატიური დარღვევის გამო შეწყდა მსოფლიო ბანკისა და FAO–ს პროექტები. დაუხარჯავი დარჩა და დონორებმა დაიბრუნეს 11 მილიონ დოლარზე მეტი კრედიტისა და რამდენიმე ასეული ათასი დოლარი გრანტის თანხა. ამ პროექტების შეწყვეტის შედეგად საქართველომ ხელიდან გაუშვა სატყეო სექტორის რეფორმირებისა და ტყეების ინვენტარიზაციის ჩატარების კარგი შანსი[46]. 2008 წლის ბოლოს სატყეო დეპარტამენტმა, მეტად გაურკვეველი საბაბით, სამინისტროს წინაშე დააყენა KFW-ს დაფინანსებული ხარაგაულის სათემო ტყეების პროექტის შეწყვეტის საკითხი.
- სატყეო სექტორში სამუშაო დაკარგა დაახლოებით 20 ათასმა ადამიანმა. სატყეო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატსა და რეგიონულ სამსახურებში შეამცირეს 1000–ზე მეტი თანამშრომელი, საერთოდ გაუქმდა სატყეო სექტორთან დაკავშირებული ზოგიერთი დაწესებულება (მაგალითად "ტყეპროექტი", დაწესებულება, რომელიც ახორციელებდა ტყეთმოწყობის სამუშაოებს. ბევრმა მაღალი დონის პროფესიონალმა დატოვა ქვეყანა და ტყეთმოწყობის სამუშაოებს სხვა ქვეყნებში ატარებს, განიავდა და განადგურდა უნიკალური მასალები: არქივები, რუკები და ა.შ.). 2007 წლამდე კერძო სექტორში დასაქმებული იყო დაახლოებით 15-20 ათასი ადამიანი (წელიწადში გაიცემოდა დაახლოებით 500 ლიცენზია, მუშაობდა რამდენიმე ასეული სახერხი). 2008 წლის ბოლოსთვის არსებობდა სულ 12 მოქმედი ლიცენზია, რომელთა საფუძველზე ჯამში საქმიანობდა არაუმეტეს 300 ადამიანი.
- 2008 წლის ბოლოსთვის ქვეყანაში მოქმედია ხე–ტყის დამზადების 12 ოცწლიანი ლიცენზია. ლიცენზიით მოცული ფართობები მოიცავენ სამეურნეო ტყის ფონდის 111397 ჰა–ს. 12 ლიცენზიიდან 6 ეკუთვნის ქართულ–ჩინურ შპს "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტს" (84770 ჰა, ლიცენზიით გაცემული ფართობების 76%). აუქციონების გამოცხადებისა და ჩატარების პროცესი ჩატარდა საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევებით, შეიზღუდა (უფრო ზუსტად, საერთოდ გაუქმდა) გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

ამრიგად, საქართველოში დღეისათვის დამკვიდრებული ტყითსარგებლობის პრაქტიკა ხელს უშლის სატყეო სექტორში დასაქმებულ მეწარმეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას, პრობლემებს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას; არ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი შედეგები, რამაც შესაძლებელია ტყის ეკოსისტემების დეგრადაცია და საბოლოოდ ადამიანის მიერ პროვოცირებული ეკოლოგიური კატასტროფები გამოიწვიოს. მთავრობა არ ცნობს დაინტერესებული საზოგადოებისა და ქვეყნის მთელი მოსახლეობის კანონით დადგენილ უფლებას, მიიღოს მონაწილეობა საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უმნიშვნელოვანეს ნაწილთან - ტყეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რითაც საქართველოს მოსახლეობას საკუთარი უფლებების დასაცავად ყველა კანონით დადგენილ გზას უჭრის და მხოლოდ პროტესტის გამოხატვის უკიდურეს ფორმებს უტოვებს. ასეთ ნაბიჯზე მთავრობა მხოლოდ კონკრეტული კერძო ინტერესების სასარგებლოდ მიდის. სახეზეა ინტერესთა კონფლიქტისა და კორუფციის აშკარა ნიშნები. ასეთი ტენდენცია სავალალო შედეგებს მოიტანს როგორც გარემოსდაცვითი, ისე სოციალური თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სატყეო სექტორი საჭიროებს დაუყოვნებლივ რეფორმირებას პოლიტიკურ, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე. რეფორმის შესახებ არაერთი

---

[46] ამ პროექტების წარუმატებლობის შედეგად კიდევ ბევრი დიდი თუ მცირე პრობლემა წარმოიშვა. მაგალითად, 2006 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დაიწყო პროგრამა, რომელიც გულისხმობდა 2 მილიონი ნერგის დარგვას. მათი მოვლის ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო მსოფლიო ბანკის პროექტით. ამ პროექტის შეწყვეტის გამო, პროგრამა 2 მილიონი ნერგის გახმობის კამპანიად გადაიქცა.

განცხადების მიუხედავად, პროცესმა გაუგებარი და წინააღმდეგობრივი ხასიათი მიიღო. წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებას ზემოთ აღწერილი პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ:[47]

1. პირველ რიგში, უნდა შეიქმნას საქართველოს სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი და დამტკიცდეს პარლამენტის დადგენილებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები (ხშირ შემთხვევაში საშუალო დონეზეც კი) არ იწვევდეს ტყეებთან დაკავშირებული პოლიტიკის ავტომატურ ცვლილებას. ამავე დადგენილებით საქართველოს მთავრობას უნდა დაევალოს, რომ სატყეო პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით შეიმუშაოს ახალი ტყის კოდექსი.
2. ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომელიც რეგულირდებოდა 1999 წელს მიღებული ტყის კოდექსით, მნიშვნელოვნად შეცვალა 2005 წელს "ლიცენზიებისა და ნებართვების" შესახებ კანონმა და მისგან გამომდინარე ნორნატიულმა აქტებმა. აღნიშნული გარემოება ქმნის კოლიზიებს და ბევრ გაუგებრობას. ამ ვითარებაში, გაუმართლებელია ახალი ტყის კოდექსის ამოქმედებამდე დიდი რაოდენობის ტყის ფართობების გადაცემა კერძო სექტორზე ხანგრძლივი ვადით. არ შეიძლება დიდი მასშტაბის ლიცენზიების გაცემა მანამდე, სანამ არ არის ჩატარებული ტყეების ინვენტარიზაცია-კატეგორიზაცია. არსებული ტყის კოდექსით გათვალისწინებული კატეგორიზაციის სისტემა გაუგებარია და შეუთავსებელია თანამედროვე ტყის მდგრადი მართვისა და ეკოსისტემური მიდგომის პრინციპებთან. აქედან გამომდინარე, მოქმედ ტყის კოდექსში დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ცვლილებები და დადგინდეს ტყეების კატეგორიზაციის სისტემა, რომლითაც ტყეები, „ევროპის სატყეო სექტორთან დაკავშირებული მინისტრთა კონფერენციის" (MCPFE) ვენის რეზოლუციის შესაბამისად, დაიყოფა დაცულ, დაცვით და სამეურნეო დანიშნულების (ზოგადი სარგებლობის) ტყეებად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი ტყის კოდექსი უნდა შემუშავდეს ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე.
3. ტყის კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე დადგენილი ტყეების კატეგორიზაციით (ზონირებით) უნდა გაიმიჯნოს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი/კრიტიკული ტყეები და გამოიყოს ის სამეურნეო ტყეები, სადაც მერქნის მოპოვება ჯერ კიდევ დასაშვებია. ეს იქნება ტყეები, სადაც სიხშირე ოპტიმალურია და ამავე დროს არ წარმოადგენს მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეს. მერქნის დამზადებისათვის დასაშვები ტყეების ხარჯზე პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებები (საშეშე და სამასალე მერქანი) და მხოლოდ დარჩენილი მერქნული რესურსის ოდენობა გაიცეს კომერციული მიზნით.
4. სახელმწიფო ვალდებულია ტყით სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე განახორციელოს ტყეების ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა). ამით სახელმწიფო მიიღებს იმ ინფორმაციას, რაც საკმარისია ტყით სარგებლობის დაგეგმვისათვის - ფართობები, საზღვრები, სახეობრივი შემადგენლობა, მარაგები და ა.შ. ინვენტარიზებულ ტყის ფართობებში ლიცენზიის გაყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ინვენტარიზაციაზე დახარჯული თანხის ანაზღაურება უნდა დაეკისროს ლიცენზიანტს, როგორც ეს ხდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის დროს.
5. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად, უნდა გამოიყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადასაცემი ტყეები და დაიწყოს დეცენტრალიზაციის პროცესი. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები ძლიერ დეგრადირებულია და მხოლოდ მათ ხარჯზე ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ტყეების გადაცემა, თუ ამის განხორციელება გადაწყდა, უნდა განხორციელდეს მოსახლეობის რეალური საჭიროებების შეფასებისა და ტყეების ინვენტარზაციის შედეგების შესაბამისად. პროცესს წინ უნდა უძღვოდეს უფლება-მოვალეობების მკვეთრი გამიჯვნა, ტყითსარგებლობის წესების ჩამოყალიბება და ადგილობრივი ტყის ფონდის დაფინანსების წყაროების დადგენა. ამ ეტაპების გარეშე ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ტყის ფართობების გადაცემის საკითხის განხილვა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ტყეებისათვის სავალალო შედეგს გამოიღებს.
6. საქართველოს ტყეების ეკონომიკური ღირებულების შეფასებისას სახელმწიფომ ჯეროვნად უნდა შეაფასოს ტყეების გარემოსდაცვითი ღირებულება; ამ ფაქტორის გათვალისწინებით საქართველოს ტყეებს გაცილებით მაღალი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნიათ, ვიდრე პრიმიტიული ხე-ტყის დამზადებაა. ეს ღირებულებები დაცული უნდა იყოს. ამისათვის უახლოეს მომავალში საქართველოს სამეურნეო ტყის ფონდის დამატებით სულ მცირე 15% ფართობზე უნდა ჩამოყალიბდეს მაღალი კონსერვაციული სტატუსის დაცული ტერიტორიები (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი–ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) I-IV

[47] რეკომენდაციებს საფუძვლად დაედო მწვანე ალტერნატივას მომზადებული წინადადებები. მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ: ნ. ბურდული, გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, გ. გაგოშიძე, პროფესორი, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მ. მაჭავარიანი, ბიოლ. მეც. კანდიდატი, გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი, არჩილ სუპატაშვილი, ბიოლ.მეც. კანდიდატი, გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი, ი. მაჭარაშვილი, მწვანე ალტერნატივა, ბიოლ. მეც. კანდიდატი; აღნიშნული შეფასებები და რეკომენდაციები გაიზიარა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა.

კატეგორიები); კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესასამისად დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებამდე (თითოეული დაცული ტერიტორია იქმნება სპეციალური კანონით), მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებს სამართლებრივი აქტის საფუძველზე (პარლამენტის დადგენილება ან პრეზიდენტის ბრძანებულება) უნდა მიენიჭოს „სარეზერვო დაცული ტერიტორიების" სტატუსი და აიკრძალოს მერქნის ინდუსტრიული დამზადება. სარეზერვო და ახალი დაცული ტერიტორიების გამოცხადების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროკავშირის რეკომენდაციები, ევროპის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელში ("ზურმუხტოვანი ქსელი", „NATURA 2000")[48] ჩართვასთან დაკავშირებით.

7. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელებამდე ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, უნდა შეწყდეს მერქნული რესურსის ფართომასშტაბიანი გამოყენება/ხანგრძლივვადიანი ლიცენზირების პრაქტიკა. ამაში არ იგულისხმება ადგილობრივი მოსახლეობისათვის აუცილებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელების შემდგომ არის შესაძლებელი, რომ კერძო პირებს გადაეცეთ ხანგრძლივი ვადით საქართველოს სამეურნეო ფონდის ნაწილი (ლიცენზიის, იჯარის ან კერძო საკუთრების ფორმით, საქართველოს სატყეო პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად)[49].

9. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო ტყის ფონდის იმ ნაწილს, რომელსაც არ გააჩნია მაღალი კონსერვაციული ღირებულება, ასევე არ არის კომერციულად საინტერესო, წარმოდგენილია დეგრადირებული და ახლო წარსულში ჭრას დაქვემდებარებული ტყეებით. იმისათვის, რომ არ მოხდეს იგივე, რაც ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული რეფორმების პირველ წლებში, როცა "უპატრონოდ" დარჩა სატყეო ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს სახელმწიფო სატყეო-სამეურნეო ერთეული (საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოების სახით), რომელსაც სამართავად გადაეცემა ეს ტყეები. სატყეო მეურნეობის წარმოება გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, რასაც დღეისათვის ვერ ახორციელებენ სატყეო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები, ხოლო <u>სახელმწიფო სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციას</u> ამისათვის მეტი შესაძლებლობა ექნება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მაკონტროლებელი სტრუქტურების (გენერალური ინსპექცია, საგამოძიებო დეპარტამენტი და გარემოს დაცვის ინსპექცია) არსებობის პირობებში ამ სამსახურის გაკონტროლება არ იქნება დიდ სიძნელესთან დაკავშირებული. ამ გზით შეიძლება მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფის დღეისათვის გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება. ამასთანავე, მართვის სხვა ფორმების პარალელურად, უნდა აღდგეს ტყეებზე კერძო, საეკლესიო და სათემო საკუთრება.

10. საქართველოს ტყის ფონდის მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად საკუთრების და მართვის ფორმებისა, უნდა მოქმედებდეს ტყითსარგებლობის უნიფიცირებული წესები; კანონქვემდებარე რეგულირება საფუძვლიანად უნდა გადამუშავდეს: ყველა ტყითმოსარგებლისათვის აუცილებელი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელება სერტიფიცირებული მეტყევეების მეშვეობით; დაწესდეს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებით; ჩამოყალიბდეს ეკოსისტემურ მიდგომაზე დამყარებული მკაფიო სალიცენზიო პირობები, რომლებიც რეალურად და არა პროფანაციულად უზრუნველყოფენ გარემოს შენარჩუნებას, მდგრადი მეტყევეობის განვითარებას და სერიოზული ინვესტორების მოზიდვას. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სატყეო განათლებასა და კადრების მომზადებას.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელებისას, ანუ სატყეო სექტორის რეფორმის ყველა ეტაპზე თანმიმდევრულად უნდა სრულდებოდეს კონვენციებისა და საერთაშორისო ინიციატივების მოთხოვნები, ვინაიდან ამ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფს საქართველოში მდგრადი მეტყევეობის განვითარებასა და ტყის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მისგან შემოსული შემოსავლების სამართლიანად გადანაწილებას. თითოეულ მათგანში ეკოლოგიურ მოთხოვნებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოების მონაწილეობას და პროცესების გამჭვირვალობას. ტყის მართვასთან დაკავშირებული ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილება უნდა იყოს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი მათ მიღებამდე/დამტკიცებამდე. ამასთან, საზოგადოების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა თუ მოსაზრებების გაუზიარებლობის შემთხვევაში, ხელისუფლებამ საჯაროდ უნდა დაასაბუთოს თითოეულის გაუთვალისწინებლობის მიზეზი.

---

[48] ამ ეკოლოგიური ქსელის წევრობა სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისათვის.

[49] დღეს არსებული პოლიტიკა კი საპირისპირო მიმართულებით მიდის - გრძელვადიანი ლიცენზიებით ხდება საუკეთესო ტყის მონაკვეთების გასხვისება და მხოლოდ ნარჩენები ხვდება ადგილობრივ მოსახლეობას .

IX. მონიტორინგისა და ლობირების შედეგები

მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ მონიტორინგის მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ პროცესებზე პასიური დაკვირვება, ან თუნდაც ანალიტიკური ნაშრომების მომზადება, არამედ გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით გამართლებული ალტერნატივების შეთავაზება, მათი ლობირება და რეალური გავლენის მოხდენა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით არასწორ პოლიტიკაზე. სატყეო სექტორის მონიტორინგის პროცესში მწვანე ალტერნატივა მიმართავდა ლობირებისა და ადვოკატირების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შეხვედრები გადაწყვეტილების მიმღებებთან, საჯარო განხილვების ორგანიზება, კვლევების, სტატიების, პრეს-რელიზებისა და პოზიციის გამომხატველი განცხადებების გამოქვეყნება. ცალკეულ შემთხვევაში საჭირო გახდა ისეთი ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა ადმინისტრაციული საჩივრები, სასამართლო სარჩელები, საპროტესტო აქციები. მონიტორინგმა და მისგან გამომდინარე ქმედებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთავრობის სატყეო პოლიტიკაზე და გადაწყვეტილებებზე:

- 2006 წლის აგვისტოში და 2007 წლის მაისში ხე–ტყის დამზადების 20–წლიანი ლიცენზიების გაიყიდა მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეებში. მწვანე ალტერნატივას აქტიური პროტესტისა და სასამართლო პროცესების შედეგად, ახალ სალიცენზიო განაცხადებში (მომდევნო პერიოდში აუქციონი გამოცხადდა ოთხჯერ) აღარ ყოფილა შეტანილი მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეები;
- გაუქმდა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევებით გამოცხადებული აუქციონები 2008 წლის თებერვალში და დეკემბერში, რომლებზეც განზრახული იყო ხე-ტყის დამზადების 20–წლიანი ლიცენზიების ყველაზე მასშტაბური გაცემა;
- გაუქმდა მსოფლიო ბანკის "სატყეო სექტორის განვითარების პროექტი", იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ არაერთგზის დაარღვია ხელშეკულების პირობები, არ დაამტკიცა ეროვნული სატყეო პოლიტიკა და უარი თქვა ტყეების ინვენტარიზაციაზე, ხოლო ამ საქმისათვის გამოყოფილი თანხის დახარჯვას სხვა მიზნებისთვის აპირებდა.
- პირადი მოხმარების მიზნით ტყის ფონდის მიწებისა და ტყის რესურსებით სარგებლობა (სამასალე და საშეშე მერქნის, ასევე ლიცენზირებას დაქვემდებარებული არამერქნული რესურსების გარდა) ადგილობრივი მოსახლეობისათვის უსასყიდლო გახდა.
- ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშეშესთან ერთად პირადი მოხმარების მიზნით სამასალე მერქნის მოპოვება ლეგალურად შესაძლებელი გახდა. გარკვეული უფლებების გადაცემა მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზეც, ადგილობრივი მოსახლეობისავის მერქნის გაცემასთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროცედურა შემდგომ დახვეწას მოითხოვს;
- 2008 წლის მიწურულს მთავრობამ შეცვალა საკუთარი ხედვა სატყეო სექტორთან მიმართებაში: უარი თქვა მომავალში ინვენტარიზაციის გარეშე ხე–ტყის დამზადების ლიცენზიების გაცემაზე და დაიწყო ქვეყნის ტყეების ინვენტარიზაცია; ამავდროულად მიიღო გადაწყვეტილება განეხორციელებინა საპილოტე პროექტი და გამოეცადა სახელმწიფოს მიერ მართული ტყეების მოდელი; მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე (2009 წლის დასაწყისი) ტყეებთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკა დადებითი მიმართულებით შეიცვალა.
- სატყეო სექტორის მონიტორინგის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება და საზოგადოებაში სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კიდევ ერთხელ გვინდა მადლიერება გამოვხატოთ მესტიისა და ლენტეხის მოსახლეობისადმი, რეგიონის მთელი საზოგადოებისადმი, ხაზი გავუსვათ მათ სამაგალითო სამოქალაქო აქტიურობას, როდესაც უბრალო მოსახლეობამ, ადგილობრივმა და სამხარეო ხელისუფლებამ ერთად გამოხატეს პოზიცია და მოახერხეს დაეცვათ საკუთარი ინტერესები და შეეცვალათ ცენტალური ხელისუფლების უკანონო და გაუაზრებელი გადაწყვეტილება 2008 წლის 11 დეკემბერს ხე–ტყის დამზადების ხანგრძლივვადიანი აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით. თბილისში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციისა და რეგიონის მოსახლეობის სწორედ ასეთი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი ტყეებთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ძირეული ცვლილება.

თბილისი, 2009 წ. იანვარი

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არის არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2000 წელს. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის გზით, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საშუალებით.

დაარსების დღიდან ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში; გარდა ამისა, ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ენერგეტიკა/კლიმატის ცვლილება და სიღარიბის დაძლევა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა, ხე-ტყის არალეგალური ჭრის და ველური ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობა.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრი. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. ასოციაცია არის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის წევრი (CEE Bankwatch Network); მჭიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის "გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის" წევრი, რომელიც დაარსდა 2008 წელს. 2009 წლიდან მწვანე ალტერნატივა იწყებს "საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის ქსელის" ჩამოყალიბებას (Georgian Advocacy Network for Environmental and Social Justice).

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის. 2005 და 2007 წლებში მწვანე ალტერნატივას მიენიჭა საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეთიკის კოდექსის ვერცხლის ხუთი პრინციპის კავალერის წოდება.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

საფოსტო მისამართი თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. №62
ტელეფონი: 22 38 74 / 22 16 04
ფაქსი: 22 38 74

ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org